

ლაშა ხოზრევანიძე

თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე
ასპექტები

თბილისი - 2019

წიგნში განხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები.

წიგნი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტებისათვის, აგრეთვე თურქოლოგების, აღმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსების, სტუდენტებისა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

აღნიშნულ კვლევას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ, 2018 წლის 14 ივლისის, №1 გადაწყვეტილებით, ლაშა ხოზრევანიძეს (ნაშრომი: თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები) მიანიჭა საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

რედაქტორები: **ემზარ მაკარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

იგორ კვესელავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები: **ირაკლი გორგილაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მანუჩარ ლორია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჯემალ კარალიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

© E-mail : OS@bsu.edu.ge

გამომცემლობა „დან“ 2018.

ქ. თბილისი ა. წერეთლის №112.

ტელ: 599 789 003.

ISSB 978-9941-9642-1-3

წიგნი ეძღვნება ჩემს მშობლებს,
გულნარა ქათამაძეს და ზურაბ ხოზრევანიძეს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	4
თავი I. თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისლამი და პოლიტიკური სისტემა -----	19
§1.თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა და პოლიტიკური სისტემა -----	19
§2.ისლამის გავლენა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაზე -	29
თავი II. თურქეთის საგარეო პოლიტიკური ასპექტები ზესახელმწიფოებთან, ევროკავშირთან და სამხრეთ კავკასიასთან ---	35
§1.თურქეთის საგარეო პოლიტიკა აშშ-თან -----	35
§2.თურქეთის საგარეო პოლიტიკა რუსეთის ფედერაციასთან-	69
§3.თურქეთის საგარეო პოლიტიკა ევროკავშირთან -----	99
§4.თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან ----	120
თავი III. თურქეთის საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან XXI საუკუნის დასაწყისში -----	140
§1.თურქეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანები 1980-2000 წლებში და პოლიტიკური ანალიზი -----	140
§2.2000-2010 წლების თურქეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანები და პოლიტიკური ანალიზი -----	150
დასკვნა -----	157
გამოყენებული ლიტერატურა -----	164

შესავალი

რესპუბლიკური თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის და მისი მთავრობის მიერ შემუშავებული ე.წ. „ახალი ოსმანიზმის დოქტრინას“ რამოდენიმე წელია გულდასმით ანალიზებენ მსოფლიოს ანალიტიკური ცენტრები, თურქეთის რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ძალის - „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის“ ისლამისტური პრინციპები მათი მეცნიერული კვლევების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქცა. პოლიტოლოგები კი, ამის მთავარ მიზეზად თურქეთის მმართველი ძალის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის გადახედვას და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას ასახელებენ.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. თუ დავაკვირდებით, ცხადი ხდება, რომ თურქეთის მოქმედი ხელისუფლების ყოველდღიური ნაბიჯები მთლიანად ცვლის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შინაარსს და საძირკველს უყრის ისტორიულ, ნეოსმანურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოტომანთა განახლებულ იმპერიას.

სრულიად ნათელია, რომ ჩვენს გვერდით ახალი თურქეთია - სხვა მიზნებითა და ამბიციებით, რომელიც აღარ მალავს, რომ განსხვავებულად ხედავს საკუთარ გეოპოლიტიკურ ფუნქციას. აქედან გამომდინარე მკვეთრად შეიცვალა მისი როლი ნატოში, ისევე - როგორც ევროკავშირში გაწევრიანების გეგმები, ასეთივე ამბიციური გეგმები აქვს სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონშიც, სადაც „კომფორტული პოზიციის“ შექმნისთვის, რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში რადიკალურად შეცვალა პოლიტიკური კურსი.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მკვლევარი მეცნიერები თანხმდებიან, რომ თურქეთის პოლი-

ტიკური ცხოვრების სრული ისლამიზაციის პროცესმა შესაძლოა უახლოეს მომავალში ზენიტს მიაღწიოს. აშშ-ში მცხოვრები რელიგიური სწავლულის - ფეთჰულაჰ გიულენის რელიგიური პანსიონების ნაცვლად, რ. თ. ერდოღანი ქვეყანაში სახელისუფლებო, რელიგიურ საქმეთა სამმართველოზე დაქვემდებარებულ სუნიტურ სკოლა-პანსიონებს ხსნის, გახსნის ცერემონიალზე კი პერიოდულად საჯაროდ თვითონ ადავლენს ლოცვებს და ახდენს ისლამის პოპულარიზაციას. მოქმედი ხელისუფლების წყალობით, ისლამი თურქეთის ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრა. ახალი ისლამური პოლიტიკის გატარებით სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ თურქეთი ირანის ისლამური რესპუბლიკის მსგავსად, მსოფლიო პოლიტიკურ დაფაზე ახალი, დომინანტური, სუნიტური ხაზის თეოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას გეგმავს, რაც ევროკავშირთან ამ უკანაკსნელის დაახლოების საკითხს სულ უფრო და უფრო უტოპიურს ხდის.

თურქეთის მოქმედ ლიდერებს - რეჯეფ თაიფ ერდოღანსა და ყოფილ პრემიერ ბინალ ილდირიმს სჯერათ, რომ რეგიონში ქვეყნის როლის ზრდა ევროკავშირისთვისაც უფრო ღირებული იქნება. ზოგიერთი მკვლევარი შიშობს, რომ ანკარა უფრო მკვეთრად აქცევს ზურგს დასავლეთს და აქტიურად დაიწყებს ე.წ. „ნეო-ოსმანიზმის“ საგარეო პოლიტიკის გატარებას. მეორე მხრივ, თურქეთს აუცილებლად სჭირდება დასავლეთისკენ კურსის შენარჩუნება, რათა უფრო პატივსაცემი და აღიარებული მოთამაშე გახდეს. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს შევაფასოთ თურქეთის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებისთვის მოხერხებული პლაცდარმი, რაც თურქეთს ევროკავშირისთვისაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის. თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავითოღლუს აზრით, თურქ-

ეთის სტრატეგიული მდებარეობა, არ იძლევა რეგიონული პოლიტიკის ფორმირების საშუალებას „თურქეთის გარეშე“.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის თანამედროვე ასპექტების კვლევა აქტუალურია ევროკავშირთან ურთიერთობასთან მიმართებაშიც. უკანასკნელ პერიოდში ევროკავშირის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სირთულეების ფონზე, თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკა ინტენსიურად ვითარდება. თურქეთის ეკონომიკურმა აღმავლობამ და მისმა გაძლიერებამ, როგორც რეგიონულმა სახელმწიფომ, ქვეყანაში თავისი პოლიტიკური ძალის შეგრძნება გააჩინა. მნიშვნელოვანია განვიხილოთ თურქეთი, როგორც მსუბუქი ძალა, რომელიც გულისხმობს მძლავრი ეკონომიკური და ენერგო კავშირების განვითარებას და ამ სფეროში რეგიონის ლიდერობის განმტკიცებას. თურქეთი შესამჩნევ ეკონომიკურ პროგრესს აღწევს, რომელსაც აქვს პოტენციალი ევროკავშირში გერმანიის შემდგომ გახდეს მეორე უმსხვილესი ქვეყანა. უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა თურქეთის მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობის უფრო მეტად ზრდა, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ბოლო პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკურ კურსზე დაკვირვებით, ნათელია, რომ თურქეთს საგარეო პოლიტიკაში ახალი მისწრაფება - ენერგო ცენტრად ქცევის ამბიციაც გაუჩნდა, რაც ევროგაერთიანების წევრ წამყვანს სახელმწიფოებს ხელს არ აძლევს. ამ კუთხით თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ე.წ. „ნაბუქოსა“ და „სამხრეთის ენერგო პროექტებზე“, რომელიც ევროკავშირისთვის თურქეთს უფრო სასურველს ხდის.

აღნიშნული ფაქტორებითაა განპირობებული მოცემული წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა, შინაარსი და მიმართულება.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანია თურქეთის საგარეო პოლიტიკური შტრიხების გამოკვეთა XX

საუკუნის დასასრულს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

ზოგადი საგარეო პოლიტიკური კურსის თვალსაზრისით, უახლოესი პოლიტიკური ურთიერთობების და ამოცანების ანალიზი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რუსეთის ფედერაციასთან, სამხრეთ კავკასიის რეგიონთან და ევროკავშირთან მიმართებაში. ნაშრომის მიზანია შეაფასოს და აჩვენოს თურქეთის უახლოესი პერიოდის ხელისუფალთა საგარეო პოლიტიკური ხედვები სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ (როგორცაა: თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება, ქურთების საკითხი და კვიპროსის პრობლემა, აშშ-გან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება რეგიონში და ე.წ. „დამოუკიდებელი მოთამაშის“ როლის მორგების მცდელობა და ა.შ.).

ნაშრომი არის მრავალმხრივი, კომპლექსური და ფუნდამენტური კვლევა თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ვერტიკალების, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, საერთაშორისო სამართლებრივი და ნორმატიული აქტების, საერთაშორისო შეთანხმებების, სტატისტიკური მონაცემების, ექსპერტთა დასკვნების განხილვებითა და შეჯერებით წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უახლოესი ასპექტების შეფასებას, მათ გამომწვევ მიზეზების კვლევასა და სამომავლო ორიენტირების პროგნოზირებას.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ამერიკის შეერთებულ შტატების და თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის უახლოესი, გასაჯაროებული მონაცემები, რომელიც აკადემიურ სფეროში საკვლევ თემასთან მიმართებაში ასევე სიახლეს წარმოადგენს.

კვლევის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს თურქეთის კონსტიტუცია და სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი ადგილობრივი კანონმდებლობა, მათ შორის კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა შესახებ.

საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხო ქვეყნის სპეც.-სამსახურების საჯარო მსალეების გამოყენებამ და მათმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა შეგვეფასებინა თურქეთის რეპუბლიკის ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, განგვესაზღვრა თურქეთის საგარეო პოლიტიკის უახლოესი შტრიხები და ასპექტები.

ნაშრომში გამოყენებულია ის საერთაშორისო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში სახელმწიფოთა ურთიერთობის ცნებას, ასევე გამოყენებულია თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ სხვადსხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ გასამხედროებულ წარმომადგენლობებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ოფიციალიური მოლაპარაკებების ამსახველი დოკუმენტები და ღია წყაროები.

ნაშრომში გამოყენებული და გაანალიზებულია მრავალი სამეცნიერო კვლევა და სახელმძღვანელო, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათა მანჩხაშვილის მონოგრაფია: „თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2014.

ნაშრომი ეხება XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დამდეგს თურქეთში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებისა და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მიმართულებების წარმოჩენას. ავტორი აღნიშნავს, რომ დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობაში თურქეთი ტრანზიტორის როლიდან რეგიონულ ლიდერად ფორმირების პროცესშია. ავტორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსში პრიორიტეტულ თემებად განიხილავს კავშირებს აშშ-სთან და ნატო-ს სამხედრო ბლოკთან.

აღსანიშნავია მათა მანჩხაშვილის თურქულიდან თარგმნილი სახელმძღვანელო: „თურქეთის საგარეო პოლიტიკა

1990-2008 წლებში“. სადაც ნაშრომი იწყება საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორისა და თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავუდოღლუს შრომებით.

სახელმძღვანელოში კომპლექსურადაა მიმოხილული თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური მდებარეობა, პოლიტიკური სისტემა, საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების პროცესში სახელმწიფო ინსტიტუტების როლი, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის. ნაშრომმა უდიდესი სამსახური გაგვიწია სადისერტაციო კვლევის პროცესში, ვინაიდან წარმოადგენს ქართულ ენაზე თარგმნილ ერთადერთ ნამუშევარს აჰმედ დავუდოღლუს სამეცნიერო შრომებისა.

წიგნში განხილულია თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, კავშირები ზე-სახელმწიფოებთან, დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები და მათი გამომწვევეი შედეგები, ასევე ზემოხსენებული ხელშეკრულებების დადებით სამომავლო პერსპექტივები და პოლიტიკური პროგნოზები.

ნაშრომზე მუშაობისას მიზანშეწონილად მივიჩნეე გავცნობოდი თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის მკვლევარ - პროფ. ემზარ მაკარაძის მონოგრაფიას - „თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XX საუკუნის 90-იან წლებში“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პრობლემებზე. ავტორი საუბრობს ლაციზმის შესახებ თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკაში, ასევე „თურანიზმის“ საკითხზე და ანკარის საგარეო პოლიტიკურ კურსზე ყოფილ საბჭოთა მუსლიმანურ რესპუბლიკებთან მიმართებაში.

პროფ. ე. მაკარაძე როგორც აღნიშნულ ნაშრომში, ასევე თავის მეორე მონოგრაფიაში „კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში“ მ. გოგიტ-

იმესთან ერთად განიხილავს კუნძულ კვიპროსის პრობლემას თურქეთის პოლიტიკაში.

თურქეთის საკითხების მკვლევარს, ემზარ მაკარაძეს მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ასევე გამოცემული თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ასპექტების მიმართულებით, რომელთაგან კვლევის პროცესში მოძიებულ და დამუშავებულ იქნა შემდეგი ნაშრომები: ბ. მაკარაძე, ე. მაკარაძე, თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები 2002-2017 წლებში. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, კრებული, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, ტომი, X, თბ., 2017 (გვ. 372-381)

ავტორები ნაშრომში დიდ დროს უთმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ურთიერთობების პოლიტიკურ ანალიზს, ისინი აღნიშნავენ, რომ „დღემდე თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. თურქეთი, აშშ-თან ერთად, ნატოს ბლოკში ყოფნის მიუხედავად, ყოველთვის როდი გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. ანკარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია აშშ-თან ურთიერთობის გათვალისწინება, რადგანაც სწორედ ის ახდენდა ყველაზე დიდ გავლენას თურქეთის პოლიტიკაზე. პროფ. ე. მაკარაძე, „თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის პრობლემები“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კრებული, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, №5, თბ., 2016 (გვ. 387-394)

ნაშრომში ავტორები განიხილავენ თურქეთში მიმდ-

ინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერის, პრეზიდენტ რეჯევ თაიფ ერდოღანისა და ისლამური ხასიათის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის საქმიანობას.

ყურადღებას იმსახურებს პროფ. რ. გაჩეჩილადის წიგნი - „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“. აღნიშნულ ნაშრომში ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ძირითადი პრობლემები, რის შედეგადაც იგი ამტკიცებს, რომ აღნიშნული რეგიონის პოლიტიკურ-გეოგრაფიული სტაბილურობა მოჩვენებითია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლავთ მონოგრაფიის მეთორმეტე თავი, სადაც პროფ. რ. გაჩეჩილამე საუბრობს თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაზე და გვაჩვენებს როგორ შეძლო ანკარამ გეოპოლიტიკური ძვრიდან რეგიონული ლიდერის როლისაკენ დამრულიყო.

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ასპექტებზე და გეოპოლიტიკაზე არსებული ნაშრომებიდან აუცილებლად მივიჩნიე გავცნობოდი და დამემუშავებინა პროფ. გიორგი ჭიღვარიას სადისერტაციო კვლევას - „თურქეთის გეოპოლიტიკა კავშირის დაშლის შემდეგ“, სადაც ავტორის კვლევის საგანი არის თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და XXI საუკუნის პირველ ათწლეულამდე, ანუ ის პერიოდი, როცა სსრკ დეზინტეგრაციის და „ცივი ომის“ დასრულების შედეგად წარმოქმნილ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის აუცილებლობა ჩამოუყალიბდათ.

წიგნზე მუშაობის პროცესში რუსული ლიტერატურიდან მიზანშეწონილად მივიჩნიე გავცნობოდი გეოპოლიტიკის ცნობილი რუსი მკვლევარის ალ. დუგინის სამეცნიერო ნაშრომებს. გეოპოლიტიკოსის წიგნში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ ავტორი აკნინებს თურქეთის სახელმწიფოს როლსა და შესაძლებლობებს, ჰქონდეს მას რაიმე დამოუკიდებელი

გავლენა, როგორც მსოფლიო, ისე რეგიონალურ პოლიტიკაში, რადგან ავტორი იმ პერიოდისათვის თურქეთის რესპუბლიკას ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტად და უშუალოდ მისი პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევდა.

აღ. დუგინის წიგში გამოთქმული შეხედულება და აზრი ჩვენთვის არა მხოლოდ საკამათო, არამედ აშკარად მიუღებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მით უფრო აუცილებელია ღრმად და საფუძვლიანად გავეცნოთ ყველა არსებულ თუ მომზადების პროცესში მყოფ დოქტრინასა თუ იდეოლოგიას, რომელიც ჩვენს ინტერესებს უშუალოდ ეხება.

აღ. დუგინის ყველა ნაშრომი, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახლდათ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოსა და თურქეთის პროგრესული ძალებისათვის, ისე მსოფლიო თანამეგობრობისათვის, რადგან დუგინი გახლავთ კრემლის იდეოლოგი, მისი სურვილების ხმადავლა გამცხადებელი და გეოპოლიტიკოსი, რომლის მთავარი მიზანი რუსეთის უძლეველი იმპერიის აღორძინებაა.

გამორჩევით გვინდა აღვნიშნოთ პოლონელ-ამერიკელი (დაიბადა ე. ვარშავაში 1928 წ.) პოლიტოლოგისა და სახელმწიფო მოღვაწის ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნი „The Grand Chessboard“ (New York 1997.) „დიდი საჭადრაკო დაფა“. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი საუბრობს იმის შესახებ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არაევრაზიულმა სახელმწიფომ, როგორ შეძლო გამხდარიყო ერთპიროვნული ლიდერი ევრაზიულ სახელმწიფოებს შორის. ავტორის აზრით, რაც ჩვენთვისაც მისაღებია, მიუხედავად რიგი პრობლემებისა, თურქეთი ირანთან ერთად აღნიშნულ რეგიონში ითვლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრად, რადან იგი ასტაბილიზებს შავი ზღვის რეგიონს, აკონტროლებს ბოსფორისა და დარ დან-

ელის სრუტეებს და აწონასწორებს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში.

ნაშრომის შინაარსიდან და საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გავცნობოდით 2000-2012 წწ. თურქეთის საგარეო პოლიტიკის „შემოქმედის“ - აჰმედ დავუთოღლუს მონოგრაფიას: „სტრატეგიული სიღრმეები“, ანკარა 2014. სადაც კომპლექსურად არის განხილული თურქეთის საგარეო პოლიტიკური ასპექტები ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების მიმართ. ნაშრომზე მუშაობის პროცესში წიგნში მოყვანილმა მოსაზრებებმა, ჰიპოთეზებმა და თურქეთის სახელისუფლებო წრეებში არსებულმა „პოლიტიკურმა ინტრიგებმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კვლევისას კონკრეტული დასკვნებისა და პროგნოზების გამოტანის საქმეში.

კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „პოლიტიკური განათლების ცენტრის“ (BPB) ფასიანი ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც წარმოდგენილია ევროპელი მეცნიერების უახლოესი ნაშრომები თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი გერმანელი პოლიტოლოგის - არნდტ კუნეკეს ნაშრომს სახელწოდებით - „თურქეთი და ევროკავშირი“, რომელიც მთლიანად ეძღვნება ევროგაერთიანებასთან თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა მთავრობების მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკური კურსის ანალიზს.

თანამედროვე გერმანული პოლიტიკური ლიტერატურიდან ასევე გამოყენებულ იქნა ჰუმბოლდის უნივერსიტეტის პროფესორის - ქრისტიან იოჰანეს ჰაინრიხის ნაშრომი - „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 2002-2012 წლებში“ (კოვაჩის გამომცემლობა, ბერლინი, 2016). ნაშრომში ავტორი ლაკონურად და ფუნდამენტალურად მიმოიხილავს თურქეთის საგარეო

პოლიტიკურ კურსს ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, კრიტიკულად აფასებს რ. თ. ერდოღანის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და თურქეთის საგარეო პოლიტიკური შტრიხების სამომავლო პროგნოზებისათვის გვაწვდის საკმაოდ საინტერესო ვარაუდებს.

აღნიშნული ნაშრომებიდან უპირველესად გვინდა გამოვყოთ ბ. თანორის (B. Tanör), ქ. ბორათავის (K. Boratav) და ს. აქშინის (S. Akşin) ნაშრომი „Büyük Türkiye 1980-2003“ (დღევანდელი თურქეთი 1980-2003), რომელშიც ავტორებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი თანამედროვე თურქეთის ისტორია და საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1980 წლიდან 2003 წლამდე.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია დოკუმენტები: ზემოთ აღნიშნულ პერიოდში “Resmi Gazet”-ში გამოქვეყნებული თურქეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გარკვეული ნაწილი და თურქეთის უმაღლესი საარჩევნო კომიტეტის გადაწყვეტილებები.

წიგნზე მუშაობისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ა. ალკანის (A. Alkan) ნაშრომმა „Karadeniz güvenliği” (შავი ზღვის უსაფრთხოება). აღნიშნულ მონოგრაფიაში ავტორი განიხილავს თუ რა როლი უკავია თურქეთის რესპუბლიკას შავი ზღვის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. იგი თავის სამშობლოს წარმოაჩენს როგორც ძლიერ, განვითარებულ, რეგიონალურ სახელმწიფოს, დაწვრილებით განიხილავს ანკარის გეოპოლიტიკას შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებისადმი და ნათლად ასახავს თურქეთის იმ პოლიტიკურ ქმედებებს, რომლებიც მიმართული გახლავთ შავი ზღვის აკვატორიის უსაფრთხოებისათვის.

თურქი პოლიტიკოსებიდან და მეცნიერებიდან ჩვენთვის ასევე საყურადღებოა თ. თოფურის (T. Topur). იგი საერთაშორისო დიპლომატი გახლავთ, მოღვაწეობდა თურქეთის

რესპუბლიკის ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვიპროსში, ბრუსელში, გახლდათ ჩრდოლო ატლანტიკურ ალიანსში თურქეთის წარმომადგენელი და ა.შ.

საგარეო ურთიერთობებში ორმოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ თ. თოფურმა საქმიანობა განაგრძო „Yeditepe“-სა და „Kadir Has“-ის უნივერსიტეტებში, სადაც აქტიური პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო. ავტორის მიერ გამოცემული ნაშრომებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „küreselleşme jeopolitika ve milli güvenlik“ (გლობალიზაცია, გეოპოლიტიკა და ნაციონალური უსაფრთხოება), რადგან აღნიშნულ წიგნში კარგად არის განხილული „ცივი ომის“ შემდგომი მდგომარეობა მსოფლიოში და თურქეთის როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში.

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება აგრეთვე რ. ოლსონის (R. Olson) ნაშრომი „Tnkiye'nin Suriye, Israel ve Rusya ile ilişkileri: 1979-2001“ (თურქეთის ურთიერთობები სირიასთან, ისრაელთან და რუსეთთან) მონოგრაფიაში ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული ზემოთ აღნიშნულ წლებში თურქეთის ურთიერთობა სირიასთან, ისრაელთან და რუსეთთან.

რ. ოლსონი საუბრობს ანკარის სირიასთან ურთიერთობაზე, განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დაკავებული ამ სახელმწიფოებს შორის 1998 წლის სექტემბერ ოქტომბერში ასებულ კრიზისს, რომელიც კინაღამ საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა. აღნიშნული კრიზისის მთავარი მიზეზი გახლდათ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ლიდერი ა. ოჯალანი, რომელიც სირიაში იმყოფებოდა პოლიტიკური დევნილის სტატუსით.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თურქეთ-ისრაელ-ამერიკის პოლიტიკურ ურთიერთობებსა და თანამ-

შრომლობებს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში.

თურქეთის რესპუბლიკის ქურთულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მონოგრაფია აქვთ გამოქვეყნებული მ. ქინაქს (M. Kaynak) და ო. მეთეს (Ö. Mete), „Derin PKK Bıyık oyun'un gizli kodları“ (პკკ-ს სიღრმეში დიდი თამაშების საიდუმლო კოდები). აღნიშნულ ნაშრომში ავტორები ამხილებენ „ქურთისტანის მუშათა პარტიას“, როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას, მათ დაწვრილებით დოკუმენტების სახით აქვთ გადმოცემული ქურთების აჯანყებები, ასევე განიხილავენ, ამბოხებული ქურთები პოლიტიკური მოთხოვნებიდან როგორ გადავიდნენ ტერორზე და რა ტერაქტები მოაწყო ა. ოჯალანის „ქურთისტანის მუშათა პარტიამ“ თურქული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ნაშრომში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის თავი სადაც მ. ქინაქი და ო. მეთე თამამად აყენებენ იმ მოსაზრებას, რომ დღეისათვის თურქეთისათვის შეიძლება უფრო მომგებიანი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა და მასთან სერიოზული სამხედრო და პოლიტიკური კავშირების შეკრა იყოს, რადგან მათ მიაჩნით, რომ ამერიკა პირადი გეოპოლიტიკური მიზნების გამო უკვე აშკარად დალატობს თავის ძველ სტრატეგიულ მოკავშირეს და ამ მოსაზრების დასტურად მოაქვთ ის, რომ ვაშინგტონი აშკარად მეგობრულადაა განწყობილი ანკარის მტრების მიმართ.

ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე თ. ქორქმაზის წიგნმა „Ankara vashington hattı“ (ანკარა ვაშინგტონის ხაზი), რომელშიც ავტორი საუბრობს შეერთებული შტატებისა და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობებზე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის საწყის ეტაპამდე. იგი კარგად აღწერს თუ რა წვლილი მიუძღვის აშშ-ს თურქეთის რესპუბლიკაში 1960 წლის 27 მაისისა და 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედროების მიერ მოწყობილ აჯანყებებში. ჩვენ-

თვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი დაწვრილებით საუბრობს თუ რატომ გაჩნდა ბზარი ამერიკისა და თურქეთის ურთიერთობებში 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტის გამო ვაშინგტონის მიერ, ახლო აღმოსავლეთში წამოწყებული სამხედრო კამპანიების შემდეგ.

თ. ქორქმაზი ასევე ეხება ქურთების პრობლემას და ამერიკელების ქურთებისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილებზე საუბრობს. საინტერესოა ასევე ავტორის აზრი იმის შესახებ თუ რა როლს თამაშობდა თურქეთის რესპუბლიკა 90-იანი წლების შემდეგ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში და იყო თუ არა მართლა ანკარა ამ პერიოდში ვაშინგტონის სატელიტი და რეგიონში მისი სურვილების გამხმომავანებელი და შემსრულებელი.

თურქეთის ისტორიისა და გეოპოლიტიკის თანამედროვე მკვლევართა შორის ანგარიშგასაწევია ა. ჩეჩენის (A. Çeçen) მეცნიერული შეხედულებები თურქეთის გეოპოლიტიკაზე. პროდასავლური პოლიტიკოსებისა და მეცნიერებისაგან განსხვავებით მისი აზრით ქვეყნის მომავალი და სიძლიერე მხოლოდ და მხოლოდ ევრაზიულობაშია. თავის ნაშრომში „Türkiye ve Avrasya” (თურქეთი და ევრაზია) ა. ჩეჩენი საუბრობს იმის შესახებ, რომ დედამიწაზე არსებულ იმპერიებთან შედარებით ყველაზე ფართო იმპერია, საბჭოთა კავშირი, 73 წლის არსებობის შემდეგ, როგორც კი დაიშალა, მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკურ პერიოდში შევიდა. ავტორის აზრით როდესაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელი ქვეყანა ორ პოლიტიკურ პოლუსად გაიყო. თურქეთის რესპუბლიკა თვითგადარჩენის მიზნით იძულებით წავიდა დასავლეთისკენ, შეუერთდა ზღვის სახელმწიფოებს და გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით საინტერესო პირველწყაროს წარმოდგენს ცნობილი თურქი მეცნიერების გამოკვლევები. აღნიშვ-

ნის ღირსია - ალი დაიოდლოს, ბაშქინ ორანის, ფუნდა ქესქინ ათაშთ, ილჰან უზგელის, ყუდრეთ ოზესაის და სხვათა შრომებისაგან შემდგარი სამეცნიერო კრებული „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 2001-2012 წლებში (ნაწილი III), სადაც საფუძვლიანადაა აღწერილი აღნიშნული პერიოდის თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობა. მოცემულია დოკუმენტები და გაკეთებულია გარკვეული ანალიზი ცალკეულ საკითხთან მიმართებით.

წიგნზე მუშაობისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია თურქი პოლიტოლოგის ალი ბალჯის - სახელმძღვანელომ „თურქეთის საგარეო პოლიტიკა: ხელმძღვანელები, მსახიობები და პროგრამები“ (Ali Balcı – Türkiye dış politikası İlkeler, Aktörler ve Uygulamalar, Istanbul, 2017) აღწერილია თურქეთის საგარეო პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდიდან დაწყებული 2017 წლამდე დამთავრებული. ნაშრომის დამუშავებისას ყურადღება გავამახვილე იმ თავებზე სადაც საუბარია თურქეთის საგარეო ურთიერთობებზე ე. წ. „ზე-სახელმწიფოებთან“.

მუშაობის პროცესში ჩვენს მიერ დამუშავებულ იქნა - გრაჰამ ფულერის ნაშრომი - „თურქეთის ახალი სახელმწიფო“ (Graham E. Fuller – Yeni Türkiye Cumhuriyeti, istambul, 2016) შედგება 17 თავისგან და მოიცავს ინფორმაციას თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ოსმალეთის პერიოდიდან დღემდე. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მე-16 თავზე, რომელიც ეხება თურქეთ-ამერიკის ურთიერთობას.

მუშაობისას დახმარება გაგვიწია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ევროპის საბჭოს, ამერიკის თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის, თურქეთის თავდაცვის სამინისტროს, ამერიკის თავდაცვის სამინისტროს, თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის და სხვა ქართული თუ უცხოური ოფიციალური სტრუქტურების ვებ-გვერდებმა.

თავი I. თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისლამი და პოლიტიკური სისტემა

§1. თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა და პოლიტიკური სისტემა

თურქეთის რესპუბლიკა ევრაზიული სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს ანატოლიის ნახევარკუნძულზე, დასავლეთ აზიასა და თრაკიაში, (რუმელია) სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის რეგიონში.

თურქეთის დედაქალაქია ანკარა. სახელმწიფოში არის ოთხმოცდაერთი ქალაქი. ადმინისტრაციულად მისი ტერიტორია დაყოფილია ამდენივე ოთხმოცდაერთ პროვინციად რასაც თურქულად „ილი“ ეწოდება. პროვინციები თავის მხრივ გაერთიანებულია შვიდ რეგიონში, თუმცა მათ ადმინისტრაციული დატვირთვა არ აქვს. ყოველი პროვინცია დაყოფილია რაიონებად, რაც საერთო ჯამში 923 რაიონს შეადგენს [1].

თანამედროვე თურქეთს ესაზღვრება რვა ქვეყანა: ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი (ნახიჩევანი), ირანი, ერაყი და სირია. აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა მის გეოგრაფიულ ფაქტორს, რადგან ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. სწორედ ჩვენს მიერ ქვემოთ აღნიშნული გეოგრაფიული მდებარეობაა იმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომ თურქთა სახელმწიფო დღესდღეობით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გახლავთ გეოპოლიტიკურად ძლიერი და ანგარიშგასაწევი ქვეყანა.

თურქთა თანამედროვე სახელმწიფო დემოკრატიული, სეკულარული, უნიტარული რესპუბლიკაა, რომლის თანამედროვე პოლიტიკური სისტემა 1923 წლის შემდეგ ჩამოყალ-

იბდა, რომელიც მუსტაფა ქემალ ათათურქის მეთაურობით, მთავრობაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და რევოლუციის შემდეგ მოვიდა. რევოლუციის სულისჩამდგმელი მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ გატარებული დემოკრატიული რეფორმების შედეგად თურქეთი სულ უფრო ცილდებოდა მუსლიმანურ სახელმწიფოებს და ევროპულ ცივილიზაციას უახლოვდებოდა. საბოლოოდ დღესდღეობით ანკარა გახლავთ ის სახელმწიფო, რომელიც გაწევრიანებულია ევროპის საბჭოში, ნატოში, ეუთოში, გაეროსა და დიდ ოცეულში.

მაკრომდებარეობა მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო და პოლიტიკური ცენტრების მიმართ მდებარეობას ნიშნავს. ამ კვანძებთან სიახლოვე მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკურ კურსს, მის მონაწილეობას სხვადასხვა სამხედრო ბლოკებში, ან პოლიტიკურ კავშირებში [17. 196]. სამხედრო პოლიტიკური თვასაზრისით, თურქეთის რესპუბლიკას მისი მდებარეობის გამო აქვს დიდი პოტენციური იყოს¹ და მომავალშიც გაწევრიანდეს, მსოფლიოსათვის უდიდეს სამხედრო გაერთიანებებში. ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთის რესპუბლიკის შეფასება ხდება, როგორც მისი ადგილობრივი წარმოების რესურსებით, ასევე სატრანსპორტო კომუნიკაციების სახეობების მიხედვით. ყოველივე აქედან გამომდინარე თურქეთი ერთ-ერთია მსოფლიოში იმ სახელმწიფოთა შორის რომელთა მაკრომდებარეობა იდეალურია, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მეზომდებარეობა რეგიონში მდებარეობას ნიშნავს, მაგალითად თურქეთის რესპუბლიკის ანატოლიაში მდებარეობა, საქართველოს სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის რეგიონში მდებარეობა და ა.შ.[2]. მეზომდებარეობის ელემენტია ასევე

¹ 1952 წლიდან თურქეთის რესპუბლიკა გახლავთ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO) სრულუფლებიანი წევრი.

მსოფლიოს „ცხელი წერტილების“ მიმართ მდებარეობა. თურქეთის რესპუბლიკა განეკუთვნება მახლობელ აღმოსავლეთს, რომელიც, როგორც ცნობილია დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი რეგიონი გახლავთ კონფლიქტების სფეროში. ამას ემატება უშუალოდ ანკარის პრობლემები მის ევროპელ მეზობელ სახელმწიფო - საბერძნეთთან, რომელთანაც მას უთანხმოება და პრეტენზიები გააჩნია როგორც გარკვეულ ტერიტორიებთან, ასევე ორად გახლეჩილ კუნძულ კვიპროსთან დაკავშირებით. ამასთანავე თურქეთს უდიდეს პრობლემას უქმნის 2003 წლის ამერიკა-ერაყის ომის შემდეგ ახალი ერაყის სახელმწიფოში არსებული ქურთების ავტონომიური ელემენტი, რომელიც აძლიერებს და მხარს უჭერს ქურთულ სეპარატიზმს თურქეთსა სახელმწიფოს ტერიტორიაზე[3].

ყოველივე ამასთან ერთად თურქეთი ნაციონალური სახელმწიფო გახლავთ, მუდამ მშფოთვარე კავკასიის მეზობელი, სადაც განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლოდან, ძველი, დაკონსერვებული კონფლიქტები მუდმივ მიმდინარეობაშია. ამ მხრივ ის რეგიონი, რომელშიც თურქეთის რესპუბლიკა იმყოფება, მეტად არეული და არასტაბილური გახლავთ, რადგან მისი მეზობელი სახელმწიფოების უმეტესობა, ნებისთ თუ უნებლიედ, ჩათრეული არიან მრავალგვარი სახის კონფლიქტებში, რაც პრობლემას უქმნით მათ განვითარებაში. სამხედრო-პოლიტიკური ორიენტაციის მხრივ რეგიონის სახელმწიფოებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ერთდროულად თანაარსებობენ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის, ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყანა და ყოველივე ამერიკულისა და დასავლეთის მოძულე რუსეთის ფედერაცია და ირანის რესპუბლიკა. რეგიონის ქვეყნებში სახელმწიფო წყობის ტიპებიც ძალზე განსხვავებულია: თურქეთის რესპუბლიკა პროდასავლური დემოკრატიული რესპუბლიკაა, რუსეთის ფედერაცია თითქოსდა დემოკრატიული ღირებულებების მქონე,

მაგრამ რეალურად იმპერიული სახელმწიფოა, ირანი ისლამური რესპუბლიკაა, სპარსეთის ყურის ქვეყნების უმრავლესობა აბსოლუტური მონარქიებია და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, თურქეთი მუსლიმანური სახელმწიფოა, რომელსაც ევროპეიზაცია და ევროპასთან შერწყმა სურს, მაგრამ იგი როგორც მეტწილად მაჰმადიანური ქვეყანა, პარალელურად აგრძელებს ახლო კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინდუსტრიულ ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ანკარის სტრატეგიული პარტნიორის ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კლასიფიკაციით თურქეთის რესპუბლიკა განვითარებული ქვეყანაა, ხოლო მსოფლიოს საერთაშორისო ექსპერტების, პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომისტების დიდი ნაწილის შეფასებით ის რეგიონული სახელმწიფოა.²

თურქეთის რესპუბლიკა გახლდათ აღმოსავლეთის პირველი სახელმწიფო, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის ძველ სულიერ, რელიგიურ და გეოპოლიტიკურ ტრადიციებთან, რომელშიც პირველ რიგში იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის აგრესიული, დაპყრობითი და პროისლამური პოლიტიკა. იგი წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს, მმართველობის შერეული ფორმით (მასში შერწყმულია როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკის ელემენტები). რესპუბლიკაში დღეისათვის მოქმედებს 1982 წლის კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით[4]. კონსტიტუციის შესაბამისად თურქეთში საკანონმდებლო ფუნქცია ეკისრება ერთპალატიან პარლამენტს (მეჯლისს) - „თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას“, რომელიც 550 დეპუტატისაგან შედგება.

² რეგიონული სახელმწიფო - ეწოდება ისეთ ქვეყნებს, რომელთა გავლენის სფერო: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა, სცილდება მეზობელ სახელმწიფოებს და ვრცელდება მთელს რეგიონზე.

თურქეთის მთავრობის მიერ, თურქეთის რესპუბლიკის სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები ექვემდებარება მეჯლისის მიერ რატიფიკაციას. სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები. მოქმედებაში შედის მისი ხელისმოწერისა და ოფიციალურ მაცნეში – „Resmî Gazete“-ში გამოქვეყნების შემდეგ.³

სახელმწიფოს გეოპოლიტიკაზე საუბრისას არ შეიძლება, არ განვიხილოთ მისი არმიის მდგომარეობა, სიძლიერე და სამხედრო დოქტრინა. თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო მმართველობის ორგანიზაცია გახლავთ უშიშროების საბჭო. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შედგება ეროვნული თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბისაგან. თურქეთის სახმელეთო ჯარების შენაერთები და ნაწილები (მე-4 საველე არმიის გარდა) შედიან ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხრეთ ევროპის საბრძოლო მოქმედებების თეატრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ თურქეთის სახმელეთო ჯარების წინაშე დგას ამოცანები, როგორც ნატოს ეგიდით, ასევე ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე სახმელეთო ჯარები დაყოფილია სამ ოპერაციულ მიმართულებად: ბალკანეთის, კავკასიის და სამხრეთ აღმოსავლეთის[5].

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თურქეთის რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების მაღალ ავტორიტეტს ადასტურებს. იგი მიჩნეულია ქემალიზმის პრინციპების, ქვეყნის საშინაო და საგარეო სტაბილურობის, ტერიტორიული მთლიანობის ძირითად გარანტად.

თურქეთის სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არმია ყოველთვის მმართველი წრის საშინაო და

³ „Resmî Gazete“ (თურქ) - „სურათებიანი გაზეთი“ ოფიციალური გაზეთის სახელწოდება თურქეთში გამოქვეყნების მომენტიდან.

საგარეო პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუტის როლს ასრულებდა[5.18].

თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა მუდმივ პროპაგანდას ეწევა მოსახლეობაში შეიარაღებული ძალების, როგორც „ქვეყნის საშინაო და საგარეო სატაბილურობის ნაცადი წყაროს და ტერიტორიული მთლიანობის გარანტის“ ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით[6]. ამდენად თურქეთის მოსახლეობა არასოდეს უწევდა წინააღმდეგობას სამხედრო ხარჯების გადიდებას; კმაყოფილებით აღიქვამდა მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის მორიგი შეღავათების მიცემის თაობაზე [7].

ნატო-ს სპეციალისტების აზრით, თურქი ჯარისკაცი განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისაგან განსაკუთრებული გამძლეობით, დისციპლინით, შემსრულებლობითა და შრომისმოყვარეობით. იგი არის მომთმენი, ამტანი და დაკვირვებული. ნიშანდობლივია, რომ თურქეთის არმიის პირადი შემადგენლობა, კარგად ეგუება გადამწყვეტ მოქმედებებს თანამედროვე ომის ყველაზე რთულ პირობებში, იოლად იტანს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პირობების გაუარესებას[8].

არმია რელიგიური მოღვაწეობის რეგულირებაში ინარჩუნებს გარკვეულ ავტონომიას[9]. საუბარია პირველ სამხედრო მოსამსახურეთა რიგებში ისლამის პოლიტიზაციის აღკვეთაზე, მათ იზოლაციაზე პროისლამისტური პოლიტიკურ მიმდინარეობისაგან, რომლებიც გამოდიან ქვეყანაში შარიათის რეჟიმის დამყარების მოთხოვნით. გენერალური შტაბი უშუალოდ განაგებს სახელმწიფოსა და რადიკალური ისლამის ურთიერთობების პრობლემატიკას. მისი ცენტრალური დაწესებულების სტრუქტურაში მოქმედებს ე.წ. „დასავლური მუშა ჯგუფი“, რომელსაც შედგენილი აქვს საქმეები იმ რელიგიურ ჯგუფებზე სახელმწიფოში, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან

ქვეყანაში საერო წყობის მოშლის მცდელობებში. სამხედრო უწყებების წარმომადგენლები და პირველ რიგში გენ.შტაბის უფროსი აქტიურები არიან ეროვნული უშიშროების საბჭოში, ახდენენ რა საერო ხელისუფლების ინიცირებას რადიკალური ისლამის საერო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის აღმოფხვრისაკენ[10].

გენერალური შტაბის დაქვემდებარებაში შემავალი სახმელეთო ჯარების სარდლობა გამოცემს სახელმძღვანელოს „რელიგიათმცოდნეობა ჯარისკაცისათვის“. მასში შეტანილია ყურანის სურები⁴, ჰადისები⁵ და ლოცვები. სახელმძღვანელოში არის ასევე მინიშნება, რომელიც ჯარისკაცს მიუთითებს რელიგიის როლზე თურქეთში, შეახსენებს ისლამის არსსა და მის პრინციპებს. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ისლამი სამხედრო სამსახურს თვლის ერთ-ერთ ყველაზე წმინდა მოვალეობად. მისი მნიშვნელობა აღემატება ყველა სხვა სამსახურს. შეტანილია ინფორმაცია ორუჩზე,⁶ დღესასწაულებზე, ჰაჯიზე.⁷

ასევე მოყვანილია ისლამის დამოკიდებულება ალკოჰოლურ სასმელებთან, ოჯახთან, ქალებთან. ცალკე პარაგრაფში მოცემულია ინფორმაცია სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობების შესახებ. აღნიშნულია, რომ საერო სახელმწიფო, საზოგადოების მართვისას არ არის დამოკიდებული რელიგიურ წესებზე. ასევე მოქალაქეებს გააჩნიათ რელიგი-

⁴ სურა – (არაბ.) მუსლიმანთა წმინდა წიგნის – ყურანის ცალკეული თავი.

⁵ ჰადისი – (არაბ.) გახლავთ გადმოცემა მუჰამედ წინასწარმეტყველისა და მის თანამოღვაწეთა შესახებ. ჰადისები ხშირად პატარ-პატარა ნოველებია მუჰამედის შესახებ, აგებული მისი ცხოვრების რაიმე შემთხვევაზე ან გამონათქვამზე. ჰადისები ძირითადად ზეპირად ვრცელდებოდა და იწერებოდა მუჰამედის სიკვდილის შემდეგ.

⁶ ორუჩი(ORCUÇ) – თურქული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მარხვას.

⁷ ჰაჯი – პილიგრიმოზა მექაში. ეს ამჟამად უდიდესი ყოველწლიური პილიგრიმოზაა მსოფლიოში და ისლამის მეხუთე პილასტრადი თვლება - მორალური ვალდებულება ყოველი ფიზიკურად შემძლე და შეძლებული მაჰმადიანისათვის, ერთხელ მაინც მოინახულოს ეს ადგილი სიცოცხლის განმავლობაში.

ური აღმსარებლობის თავისუფლება. არც ერთი მოქალაქე არ შეიძლება იდევენბოდეს თავისი რელიგიური აღმსარებლობის გამო. სარწმუნოებრივი თავისუფლების გარანტიას კანონი ღვთისმსახურების თავისუფლების შესახებ[11].

ამრიგად, თურქი ერის მენტალიტეტი და საბრძოლო თვისებები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და დღეს ამ ხალხის მორალური პოტენციალი არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ ქვეყნის როგორც გარე, ისე შიდა სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტს. თურქეთის თანამედროვე სამხედრო დოქტრინის ძირითადი მიმართულებები მოცემულია შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ შემუშავებულ „ეროვნულ სამხედრო-სტრატეგიულ კონცეფციაში“[12], რომლის თანახმადაც თურქეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი ამოცანებია: სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების, სახელმწიფოს მთლიანობის, განუყოფლობისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვა.

დღეისათვის თურქეთის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა უპირველეს ყოვლისა ნატო-ს წევრობას, წამყვანი დასავლური ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კურსის მხარდაჭერას უკავშირებს. ამაზეა დაფუძნებული თურქეთის ხელმძღვანელობის შეხედულებები ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა: ბირთვული შეიარაღების როლი და პოტენციური მოწინააღმდეგის განსაზღვრა.

თურქეთი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ჯერ კიდევ 1951 წლის სექტემბერში გაერთიანდა. 1952 წლის 18 თებერვალს კი თურქეთის მეჯლისმა⁸ ქვეყნის ნატოში შესვლის რატიფიცირება მოახდინა[13]. რამდენიმე წელიწადში, კერძოდ, 1959 წლის მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურ-

⁸ მეჯლისი (TÜRK YE BÜYÜK M LLET MEŞL S)– ასე ეწოდება თურქეთის რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

ქეთს შორის დაიდო ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულება, რომლის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრებთან ახლოს, შექმნილიყო ამერიკის სარაკეტო ატომური ბაზა[14]. თურქეთის სავარაუდო მოწინააღმდეგედ რეგიონში ასევე ითვლება სომხეთი, ირანი, სირია და ერაყი. ერაყი თურქეთისათვის ისეთ საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ არ ჩავთვლით მის ტერიტორიაზე არსებულ ქურთულ ავტონომიურ დასახლებას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. სამხედრო შეტაკება სომხეთთან, თურქეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ვარაუდით, შესაძლოა, დაიწყოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მასშტაბების გაფართოებისა და ინტენსიობის გაზრდის შედეგად, მაგრამ დღეისათვის თურქი და მსოფლიოს სხვა პოლიტიკური ექსპერტების აზრით, მოვლენების ამ მხრივ განვითარება ნაკლებ მოსალოდნელია, რადგან უკვე დიდი სერიოზულობით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებითი ურთიერთობების აღდგენაზე.

ირანთან საბრძოლო მოქმედებების დაწყება შეიძლება გამოწვეული იქნას თეირანის მხრიდან ისლამური ფუნდამენტალიზმის ექსპორტის შედეგად და ასევე ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან ერთად ატომური ელემენტების წარმოების გამო.

სირიასთან ომის მიზეზად შეიძლება იქცეს ამ ქვეყნის ლიდერების მიერ თურქეთში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებისათვის მხარდაჭერა[15], აღსანიშნავია, რომ 1998 წლის შემდეგ, რაც სირიის ხელმძღვანელობამ თურქეთის რესპუბლიკის ნომერ პირველ მტერს, აბდულა ოჯალანს მფარველობაზე უარი უთხრა, ამ ორ სახელმწიფოს, შორის მეზობლური ურთიერთობები საკმაოდ დათბა.

მსოფლიოსათვის ცნობილია თურქეთსა და საბერძნეთს შორის ისტორიულად არსებული მტრობა და წინააღმდეგ-

ობანი, რომელთა საფუძველზე წარმოიშვა კუნძულ კვიპროსის პრობლემა, რაც ორივე მხარისათვის დღემდე მოუგვარებელ და მტკივნეულ საკითხად რჩება. სწორედ ამ მიზეზის გამო საბერძნეთი კვლავ თურქეთის შესაძლო მოწინააღმდეგეთა რიცხვში მოიაზრება, თუმცა უკანასკნელ წლებში მასთან სამხედრო შეტაკების საშიშროება, თურქი ექსპერტების, სამხედროებისა და პოლიტიკოსების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან თურქეთის ოფიციალური საგარეო კურსი ევროკავშირთან ინტეგრირებაა, ხოლო საომარი მოქმედებები საბერძნეთთან მისი სამომავლო მიზნებისათვის დამლუპველი აღმოჩნდება.

თურქეთის მოქმედი სახელისუფლებო პარტიის - ADALET VE KALKINMA PARTISI (AKP) (სამართლიანობისა და განვითარების პარტია) საგარეო პოლიტიკა გახლავთ შემდეგი: თურქეთი წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთისა და კავკასია-ცენტრალური აზიის რეგიონის სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტს. ამ თვისებიდან გამომდინარე ვალდებულია მეტი ინიციატივა აიღოს რეგიონში არსებული კრიზისების დარეგულირების პროცესში.

მიუხედავად ერაყის გარშემო შექმნილი დაძაბულობისა აშშ რჩება თურქეთის მთავარ მოკავშირე ქვეყნად. ევროკავშირში გაწევრიანება მიიჩნევა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად და მთავრობამ და პარლამენტმა უნდა გადადგან ევროპელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქმედითი ნაბიჯები, რაც ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებაში უნდა აისახოს[15.487]. ნატო-ს ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობის პარალელურად თურქეთმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ეუთო-თან. ასევე ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ნატო-ს და გაერო-ს ეგიდით მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში. თურქეთმა ქვეყნის ინტერესების შელახვის გარეშე უნდა უზრუნველყოს რუსეთთან კეთილმე-

ზობლური ურთიერთობების განმტკიცება. ასევე მნიშვნელოვანია კულტურულად ახლო ცენტრალური აზიისა და კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების გაგრძელება. საბერძნეთთან ორმხრივი ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს ეკონომიკურ მიზნებს, რისთვისაც მნიშვნელოვანია არსებული პოლიტიკური დაპირისპირების აღმოფხვრისათვის საფუძვლის მომზადება.

§2. ისლამის გავლენა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაზე

თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკურ კონცეფციაში რელიგიას განსაკუთრებული როლი უჭირავს. ქვეყანაში გავრცელებულ სხვა რელიგიათა შორის უმთავრესი გახლავთ სუნიტური ხაზის ისლამი, რომელიც არაბული სიტყვაა და ერთგულებას ნიშნავს, მას მსოფლიოში დაახლოებით 1,3 მილიარდი მიმდევარი ჰყავს. ყველა მუსლიმი, მიუხედავად მისი ეთნიკური და რასობრივი წარმოშობისა, ან მოქალაქეობრივი კუთვნილებისა თეორიულად ერთ თემს ეკუთვნის. მუსლიმებს საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთიანობაც ახასიათებთ. დღეისათვის არსებობს, 1971 წელს შექმნილი ორგანიზაცია „ისლამური კონფერენცია“, რომელშიც ისეთი სეკულარული ქვეყნებიც კი შევიდნენ, როგორცაა თურქეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანი და ალბანეთი, მაგრამ რეალურად მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკაში ამ ორგანიზაციის რეიტინგი ძალზე უმნიშვნელოა.

ისლამი მსოფლიო რელიგიათა შორის ყველაზე ახალგაზრდაა[16]. იგი მეშვიდე საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა, ფუძემდებელია მუჰამედი, რომელიც ისლამური სწავლების მიხედვით ღმერთის უკანასკნელი წინასწარმეტყველი იყო. დღეს ისლამი გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

და წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის ძირითად რელიგიას, მაგრამ დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ათათურქის თაოსნობით, 1924 წელს გააუქმა სახალიფო[17] და 1928 წელს ქვეყნის კონსტიტუციიდან ამოიღო თავი, რომელიც ისლამს განსაზღვრავდა სახელმწიფო რელიგიად.

ამრიგად, პირველად მუსლიმურ ქვეყანაში დამკვიდრდა რელიგიური თავისუფლების დემოკრატიული პრინციპი. მოქმედი კონსტიტუციის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიულ, საერო და სოციალურ-სამართლებლივ სახელმწიფოს[18].

აღნიშნული პრინციპების გამყარება წარმოადგენდა ქემალისტური დემოკრატიული რეფორმების შედეგს, რის შემდეგაც თურქეთში ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გააჩნდეს თავისი რელიგია ან იყოს ათეისტი. აღნიშნული პრინციპები გამორიცხავს თურქეთის რესპუბლიკაში ლეგალურად შარიათის⁹ აღდგენას.

მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონებისა, ისლამს მაინც მყარი საფუძველი აქვს რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკურ ისტორიაში. ქვეყანაში ათათურქის მიერ ჩატარებული რეფორმების შემდეგ, 50-იანი წლებიდან რელიგიური პოტენციალის გამოღვიძება კვლავ დაიწყო, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორში გადაიზარდა. გაძლიერდნენ პროისლამისტური პარტიები. 1965 წლის 13 ივლისის კანონით აკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც, რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენის მოთხოვნით, მაგრამ მიუხედავად ამ აკრძალვისა თურქეთში რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები რეალობად იქცა. ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1967 წელს, როდესაც ჩამოყალიბებულ იქნა „განთავისუფლების პარტია“ მისმა ერთ-ერთმა დამ-

⁹ შარიათი (არაბ.) - მუსლიმანთა სამართალი, რელიგიური და იურიდიული ნორმების კრებული, რომელიც დაფუძნებულია ყურანზე.

ფუნქციონირებს ე. ოზქანმა განაცხადა: „ჩვენი მიზანია, შეიქმნას სახელმწიფო, რომელიც დაეყრდნობა ისლამის კონცეფციებს. დღემდე არსებული კაპიტალისტური რეჟიმები გამოიცადა, თუმცა ვერცერთ სახელმწიფოში ამ რეჟიმებმა ვერ მოიპოვა სტაბილურობა. ჩვენ მივისწრაფით იმისკენ, რომ შევქმნათ ოსმალთა იმპერიის მსგავსი სახელმწიფო“ [19].

აღნიშნული პარტიის წევრებმა გაავრცელეს თურქეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, შომოთავაზებული იყო ქვეყანაში თეოკრატიული¹⁰ რეჟიმის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა იმდროინდელი მმართველი პარტიის („ხსნის პარტია“) სასტიკი წინააღმდეგობის გამო.

1970 წლიდან თურქეთში გამოჩნდა ახალი პროისლამური პარტია სახელწოდებით: „ეროვნული წესრიგის პარტია“. მისი ხელმძღვანელი გახლდათ ნეჯმეთინ ერბაქანი, რომელიც მოითხოვდა ქვეყანაში რელიგიისა და რელიგიური სწავლების თავისუფლებას, ისლამის მორალური ფასეულობების წინ წამოწევას საზოგადოებაში დასავლური კულტურის საპირისპიროდ და პოლიტიკური კურსის პრიორიტეტად მუსლიმურ ქვეყნებთან ურთიერთობის გამოცხადებას. პროისლამური პარტია პოლიტიკური საქმიანობის დაწყებისთანავე აქტიურად გამოვიდა უცხოური ძალმომრეობის წინააღმდეგ. მან მოკლე დროში მოახერხა, საკმაოდ გაეფართოვებინა გავლენა და 1973 წლის შემოდგომაზე, ქვეყნის რელიგიურ წრეებზე დაყრდნობით წარმატებით მიეღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

„ეროვნული წესრიგის პარტია“ დასავლეთს ისლამის ფასეულობებს უპირისპირებდა და ქვეყანას ციისაკენ მოუწო-

¹⁰ თეოკრატია – სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროს უმაღლესი ხელისუფლება არის სამღვდელოება, ან ითვლება ღმერთის მიერ ლეგიტიმირებულად ან ხელდასმულად, ხოლო მმართველობა ხორციელდება რელიგიური პრინციპების მიხედვით.

დებდა, რასაც შედეგად 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება და რეპრესიები მოჰყვა. ამბოხებულებმა დაითხოვეს მთავრობა და პარლამენტი, რის შემდეგაც ხელისუფლება გადავიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელში, რომელიც თავად სამხედროებმა ჩამოაყალიბეს. მათივე ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1982 წელს, მიიღეს საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე. მასში ხაზგასმით აღინიშნა, პოლიტიკაში რელიგიის ჩარევის აკრძალვის თაობაზე[20].

90-იანი წლებიდან თურქეთში კვლავ იზრდება ისლამისტური ორგანიზაციების რიცხვი, რადგან 1991 წელს გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 163 მუხლი [21]. ამასთანავე ისლამისტების პოპულარობას ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობის ზრდა, ინფლაციის მაღალი დონე და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქემალისტები მხილებული იყვნენ კორუფციაში და გარკვეულწილად ამითაც იყო განპირობებული მათი ოპოზიციის რეიტინგის ზრდა.

1995 წლის დეკემბერში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარდა მორიგი არჩევნები, რომელშიც „კეთილდღეობის პარტია“ მოაგროვა ყველაზე მეტი ადგილი პარლამენტში. 1996 წელს აღნიშნული პარტიის ლიდერი ნ. ერბაქანი დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. მან თანამდებობის დაკავებისთანავე პარტიასთან ერთად დაიწყო აქტიური მოწოდებები: ევროკავშირში „ქეშმარიტ დემოკრატიაზე“ გადასვლისა და „დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის“ გატარების აუცილებლობაზე[22], აღნიშნულ მოთხოვნებში იგულისხმებოდა ისლამურ სახელმწიფოებთან დაახლოება, რწმენის თავისუფლების აღიარება, სკოლებში და სახელმწიფო დაწესებულებებში ჩადრის ტარების თავისუფალი, დღეში ხუთჯერ ლოცვა, რელიგიური სკოლების თავისუფალ საქმიანობა, ლოცვაში არაბული ენის გამოყენება და სხვა. იგი ასევე თამამად და ღიად

აკრიტიკებდა თურქეთის სწრაფვას ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ხელისუფლების სათავეში 16თვიანი ყოფნის მანძილზე „კეთილდღეობის პარტიამ“ შეძლო ისლამისტების მოყვანა ყველა ძირითად პოსტზე. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ მათი ხელშეწყობით 1997 წელს შეიქმნა „მუსლიმანური რვიანი“, რომელშიც შევიდნენ თურქეთი, ეგვიპტე, ირანი, პაკისტანი, ბანგლადეში, ინდონეზია, მალაიზია და ნიგერია.

ისლამიზაციის წინაშე სამოქალაქო ძალების უმწეობის დანახვის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ ჩაერია სამხედრო ელიტა. მათ მთავრობას შესთავაზეს ანტი-ისლამური ღონისძიებების სია, რომელიც თვრამეტი პუნქტისაგან შედგებოდა. აქედან ძირითადი უფლებები ეხებოდა ისლამური პოლიტიკური პარტიების შეზღუდვას, ყურანის შემსწავლელი კურსების დახურვას და სხვ. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ნ. ერბაქანის პარტიის აკძალვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუმცა მალევე მისმა ყოფილმა წევრებმა შექმნეს „სათნოების პარტია“, რომელიც აკრძალული იქნა იმავე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2001 წელს „ისლამიზაციის მცდელობის“ გამო [23]. 2001 წლის დასასრულს პარტიის ზომიერი ფრთის მომხრეებმა შექმნეს ახალი „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“, რომელსაც მეთაურობდა საზოგადოებისთვის ცნობილი სახე - სტამბულის ყოფილი მერი (1994-1998 წწ.) რეჯეფ თაიფ ერდოღანი.¹¹ წინა პროისლამისტური პარტიებისაგან განსხვავებით აღნიშნული პარტია პროევროპული ორიენტაციის გახლდათ.

რ.თ. ედოღანის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ამოქმედებული იქნა 1982 წლის კონსტიტუციის ის დებულ-

¹¹ რეჯეფ თაიფ ედოღანი - დაიბადა ქ. სტამბოლში, 1954 წლის 26 თებერვალს, იგი გახლავთ ქართველი ემიგრანტების შთამომავალი, მისი წინაპრები გადასახლებული არიან ქ. ბათუმიდან ქ. რიზეში. ერდოღანმა ადრეული ბავშვობა გაატარა რიზეში და 13 წლის ასაკში დაბრუნდა სტამბოლში.

ება, რომელშიც საუბარი გახლავთ რელიგიის პოლიტიკური და პირადი მიზნებისათვის გამოყენების აკრძალვაზე, რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკაში კვლავ აიკრძალა მოქმედი რადიკალი ისლამისტური პარტიები. აღნიშნული პოლიტიკით რ. ერდოღანმა და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს და დაარეგულირეს ისლამის მომხრეებსა და ნაციონალისტებს შორის ურთიერთობა.

როგორც ახალგაზრდა თურქეთის თანამედროვე ისტორიიდან ჩანს, მიუხედავად სეკულარული მოწყობისა, სახელმწიფოში რადიკალი ისლამისტები ყოველთვის ცდილობდნენ ქვეყნის რეისლამიზაციას. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკას რადიკალებისაგან შეიძლება მომავალშიც შეექმნას იგივე პრობლემები. მაგალითად დღეს, აღნიშნული საკითხი სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციასთან, რადგან თუ ანკარა ევროპელებმა საბოლოოდ უარით გამოისტუმრეს, მაშინ იგი იძულებული გახდება თავადაც უარი თქვას პროდასავლურ პოლიტიკაზე და ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური მოკავშირეები ეძებოს. რის შემდეგაც სავარაუდოდ მოსახლეობაში კვლავ გაძლიერდება ფუნდამენტალისტური იდეების გავრცელება და შეიზღუდება დემოკრატიული ინსტიტუტები. შედეგად ქვეყანა ან სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა, ან ირანის მსგავსად ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევარი გახდება, რაც კიდევ ერთ „ცხელ წერტილს“ და თავსატეხს გაუჩენს მთელს მსოფლიოს.

თავი II. თურქეთის საგარეო პოლიტიკური ასპექტები ზესახემწიფოებთან, ევროკავშირთან და სამხრეთ კავკასიასთან

§1. თურქეთის საგარეო პოლიტიკა აშშ-თან

2000 წლიდან დღემდე თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პროგრესი და რეგრესი აღინიშნებოდა. აღმავლობის პერიოდის საფუძველს წარმოადგენდა ერთ-ერთი ქვეყნის მიერ საგარეო პოლიტიკის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯი ან განცხადება ასეთი ნაბიჯის შესახებ, ხოლო დაღმავლობა უმეტესად მაშინ შეინიშნებოდა, როდესაც შიდა პოლიტიკური ელემენტები ზეგავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკაზე. ამ მოსაზრების დასტურია შემდეგი პრეცედენტი: სპარსეთის ყურის პირველი ომის დროს პრეზიდენტ თურგუთ ოზალის მიერ თურქული ეკონომიკისთვის დიდი დანაკარგის მიყენების ფასად საფუძვლიანი შეფასების გარეშე ერაყ-თურქეთის ნავთობსადენის დაკეტვა, რომლითაც ერაყიდან წამოსული ნავთობი ხმელთაშუა ზღვას მიეწოდებოდა, ასევე ამერიკული საჰაერო ძალებისათვის ინჯირლიქის ავიაბაზის დათმობა, 2001 წლის 11 სექტემბერს ცათამბრჯენებსა და პენტაგონზე თავდასხმის გამო თურქული საზოგადოების მხარდაჭერა წარმოადგენდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებს, რომელიც ამ ურთიერთობებს აძლიერებდა. რაც შეხება დაღმავლობას, 2003 წელს თურქეთის პარლამენტში ხმათა არასაკმარისი რაოდენობის გამო ამერიკულ შეიარაღებულ ძალებს არ მიეცა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერაყში შესვლის უფლება, ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში კი თითქმის ყოველ წელს აქტუალური ხდება თურქეთის საწინააღმდეგოდ სომეხთა გენოციდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი, ეს

უფრო მეტად შიდა პოლიტიკის ზეგავლენით მიღებული გადაწყვეტილებებია[24].

თურქეთის შიდა და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია აშშ-სთან ურთიერთობის გათვალისწინება, ვინაიდან სწორედ ის ახდენდა ყველაზე დიდ გავლენას თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ქვეყნის რეალური და პოტენციური ძალა თანაბარი არ იყო, ცივი ომის წლებში თურქეთი გადაიქცა ნატოსა და დასავლეთის ბლოკის მოწინავე ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თურქეთი იყო ერთ-ერთი იმ ქვეყნებს შორის, რომელიც აღმოსავლეთად და დასავლეთ ნახევარსფეროების გამყოფ ზღვარზე აღმოჩნდა. თურქეთი მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული პირობების მქონე ქვეყნად წარმოჩინდა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას ძირითადად უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკაზე ორიენტირებული თავისებურება წარმართავდა ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის[25].

კარგი იქნება თუ თურქეთ-აშშ-ს დიპლომატიურ ურთიერთობებზე საუბრისას შევეხებით ტერმინს - „სტრატეგიული პარტნიორობა“, რომელსაც ბოლო დროს ხშირად ახსენებენ თურქი პოლიტიკოსები თურქულ-ამერიკული ურთიერთობის შეფასებისას. საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ეს ტერმინი უმეტესწილად აღიქმება, როგორც ზოგჯერ საერთაშორისო პროცესების იდენტური შეფასება და ყველა ნაბიჯის ჰარმონიზაციის მცდელობა, რაც ჩემი აზრით შეცდომაა. აქ მთავარი პრინციპი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვერტიკალებისა და მიზნების თვალსაზრისით კონსენსუსია, ხოლო

ტაქტიკური თვალსაზრისით, ბუნებრივია, რომ ერებისთვის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელს ეროვნული ინტერესების შესაბამისი პრიორიტეტები და მოსაზრებები წარმოადგენს. მაგალითად, ბოლო წლებში თურქეთი ცდილობდა გაეტარებინა ე.წ. „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემის“ პოლიტიკა და ამ კონტექსტში მეგობრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობისადმი მიმართული ნაბიჯები გადადგა სირიისა და ირანის მიმართ, რომლებთანაც ამერიკას არც თუ მეგობრული ურთიერთობა აქვს. მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯები არ გამოორიცხავს სტრატეგიულ პარტნიორობას, მაგრამ 2003 წელს თურქეთმა ამერიკულ შეიარაღებულ ძალებს ერაყის ომის საწარმოებლად თურქეთის სამხრეთ საზღვრების გამოყენების უფლება არ მისცა, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადად პრინციპს[26].

ამ ფაქტის შემდეგ ამერიკელები კარგა ხნის განმავლობაში აღარ ახსებდნენ სტრატეგიულ პარტნიორობას. ხოლო ურთიერთობების დათბობის შემდეგ 2016 წლამდე (იგულისხმება თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ) ამერიკელი პოლიტიკოსები ისევ აქტიურად იყენებდნენ ზემოხსენებულ ტერმინს[27].

აღსანიშნავია, რომ თურქეთის უახლოეს გარემოცვაში მიმდინარე პროცესებს თურქეთისთვის, შეღავათის ნაცვლად, პრობლემები მოჰქონდა და აშშ-თან ურთიერთობის მიზეზი თანამშრომლობაზე მეტად დაპირისპირება და დაძაბულობა იყო. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ახლო აღმოსავლეთში (განსაკუთრებით ერაყში) განვითარებული მოვლენებისადმი დამოკიდებულება. თუმცა თურქეთი და აშშ დროდადრო საერთაშორისო დონეზე მაინც ახერხებდნენ წარმატებულ თანამშრომლობას, მაგრამ როგორც კი ორი ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა, საშუალო სიდიდის ქვეყანა - თურქეთი, ვერაფრით ვერ პოულობდა

უპირატესობის მოპოვების ძალას, შესაბამისად ორი ქვეყნის ურთიერთობები ხშირად იძაბებოდა კიდევ. მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარსაც უახლოვდებოდა და როგორც წესი მხოლოდ მაშინ მოეშვებოდა, როდესაც აშშ-ს პოლიტიკისთვის მისაღებ შედეგს გამოიღებდა. დამაბულობის და ე.წ. - „დაჭი-მვა-მოშვების“ ასეთი პოლიტიკა ორ ქვეყანას შორის უნდობლობას ბადებდა. როდესაც თურქეთი შეერთებული შტატების წინაშე უსაფრთხოების საკითხებს წამოსწევდა, უფრო მეტად გრძნობდა თავს დაუცველად და აშშ-ის მიმართ არსებული ნდობა თანდათან უფრო მცირდებოდა[28].

უპირიანია დეტალურად განვიხილოთ ის ძირითადი პოლიტიკური საკითხები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს თურქეთ-აშშ-ს დიპლომატიურ ურთიერთობებზე 1980 წლიდან დღემდე:

აშშ-ს ინტერესი სპარსეთის ყურისადმი, ე.წ. „ჯიმი კარტერის“ დოქტრინა და ე.წ. „სწრაფი რეაგირების ძალების“ სამხედრო პროექტი.

1975 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში ჯარის გაგზავნამ და ირანში რეჟიმის ცვლილებამ აშშ-ს გააქტიურებისკენ უბიძგა. დათბობის პერიოდის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი, რომელსაც „ცივი ომის მეორე მოქმედებას“ უწოდებდნენ, რომელსაც იმ პერიოდის პრეზიდენტის - ჯიმი კარტერის დოქტრინის სახელით იცნობენ[29]. კარტერის დოქტრინაში აშშ აცხადებდა, რომ იგი შეეწინააღმდეგებოდა ყველა პროცესს რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის, განსაკუთრებით, სპარსეთის ყურისთვის და ამ ბრძოლაში იგი ყველა საშუალებას გამოიყენებდა იარაღის ჩათვლით. რა თქმა უნდა, ეს პროცესები ზეგავლენას ახდენდა თურქეთზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მეზობელი ქვეყანა და ამავე დროს აშშ-ის მოკავშირე და ნატოს წევრი იყო.

1977 წელს ჯ. კარტერის მრჩეველმა ზბიგნევ ბრჟეზინსკიმ შეიმუშავა პროექტი „მწვანე სარტყელი“, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში ზომიერი ისლამური ჯგუფების მხარდაჭერას და ამ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის ალყაში მოქცევის პოლიტიკის სამხედრო დასაყრდენს წარმოადგენდა ე.წ. - „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტი, რომელიც ზუსტად დაემთხვა „ახალი მემარჯვენეების“ მიდგომას და გაზარდა სამხედრო ხარჯები. აშშ-ს ესაჭიროებოდა ახალი ბაზები და სამხედრო საშუალებები, რაც მთავარია, რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა, რათა სპარსეთის ყურესა და უფრო ფართო მასშტაბით - ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში უფრო სწრაფი ჩარევის შესაძლებლობა ჰქონოდა[30]. პირველად „სწრაფი რეაგირების ძალები“ სპარსეთის ყურეში გამოიყენეს. თუმცა, აღნიშნული წარმონაქმნი არ უნდა ყოფილიყო ნატოს საშუალებების და შესაძლებლობებისგან დამოუკიდებელი, მაგრამ პრობლემები მაინც მოიტანა იმით, რომ იგი გასცდა რეგიონის ფარგლებს[31].

თურქეთი ამ პროექტს მეტად სერიოზულად მიუდგა. ის აცნობიერებდა, რომ რეგიონის ქვეყნებიც კი ამ პროექტს დიდი აღტაცებით არ ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში ჩარევის შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო თურქეთის ბაზები და ეს ფაქტი თურქეთს მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა. თურქეთი აშშ-ს წარმომადგენლებს უცხადებდა, რომ იგი კვლავ შეუერთდებოდა ნატო-ს ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს, რადგან სხვა ნაბიჯის გადადგმა საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა და თურქეთს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა და სამხედრო სფეროს წარმომადგენლებმა თურქეთის დასარწმუნებლად ანკარაში მრავალი ვიზიტი მოაწყვეს[32]. ისინი განსაკუთრებით უსვამდნენ

ხაზს იმ ფაქტს, თუ რამდენად მომგებიანი იქნებოდა თურქეთისთვის რეგიონში ეფექტური პოლიტიკის გატარება.

მიუხედავად მთელი მცდელობისა თურქეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტისთვის. შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონებში სამხედრო შესაძლებლობების გაზრდა და „სწრაფი რეაგირების ძალებისთვის“ საჭირო შეღავათების მოპოვება. როგორც ავღნიშნეთ, თავიდან თურქეთი არ გამოხატავდა „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტში მონაწილეობის სურვილს, მაშინ აშშ თურქული ჯარის მოდერნიზების, სამხედრო ბაზებისა და ინფრასტრუქტურის განახლების საკითხებთან დაკავშირებით თურქეთისთვის დახმარების გაწევაზე ალაპარაკდა. ამ მიდგომამ თურქეთში დადებითი რეაქცია გამოიწვია. შედეგად, 1982 წლის 29 ნოემბერს, ბრიუსელში აშშ-სა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლითაც გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში 10 აეროდრომის განახლება და მუშა და ბათმანში ორი ახალი სამხედრო აეროდრომის მშენებლობა. ეს დოკუმენტი პირველი ნაბიჯი გახდა თურქეთის „სწრაფი რეაგირების ძალების“ პროექტში შესასვლელად.

თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების (SEIA).

1981 წელს აშშ-ს ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა „ახალი მემარჯვენეობის“ იდეის ერთგული - რონალდ რეიგანი. თურქეთში კი 1983 წელს ჩატარებული არჩევნებით სამოქალაქო მმართველობა დაბრუნდა და პრემიერ-მინისტრ - თურგუთ ოზალის ლიდერობით ახალი მთავრობა შეიქმნა.

1985 წელს ვაშინგტონში ვიზიტად მყოფმა ოზალმა აშშ-ში „ებრაული ლობის“ მიერ თურქეთისთვის მხარდაჭერის საკითხი განიხილა. მისი მიზანი იყო ებრაული მხარდაჭერის უზრუნველყოფით და თურქეთ-ისრაელს შორის ურთიერ-

თობების დაახლოებით გაემლიერებინა სომხური და ბერძნული ლობის წინაშე დასუსტებული თურქული ლობი.

მიუხედავად იმისა, რომ თურგუთ ოზალს აშშ-თან საკმაოდ ჰარმონიული პოლიტიკა ჰქონდა და დროის ამ მონაკვეთს ორ ქვეყანას შორის ახლო ურთიერთობების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, ხსენებულ პერიოდს უხინჯოდ მაინც არ ჩაუვლია. 1980 წელს ხელმოწერილი თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების (SEIA) ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე თურქეთმა აშშ ცვლილებების შეტანის მოთხოვნით მიმართა. თურქეთი, რომელიც ემხრობოდა აშშ-სთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ამავე დროს, აშშ-სგან დახმარების ოდენობის გაზრდას ითხოვდა. თურქეთის მიერ აშშ-თვის გაგზავნილ ათაუნქტიან გეგმავს ამერიკა თავშეკავებით შეხვდა. აშშ-ის ასეთი ცივი მიდგომის საპასუხოდ თურქეთმა SEIA-ს მოქმედება მხოლოდ ერთი წლით გააგრძელა, აშშ-ს რეაქცია კი დაფინანსების წყაროების შეკვეცით გამოიხატა[33].

1987 წელს აშშ-ის დახმარების შემცირებით შეწყობულმა თურგუთ ოზალმა შეერთებული შტატებისგან უფრო მეტი და უფრო ხელსაყრელი პროცენტით ფინანსური დახმარება და ამავე დროს სამხედრო ვალების ნაწილის ჩამოწერა მოითხოვა. ბუნებრივია, რომ ამ მცდელობამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი და თურქეთმა და აშშ-მ 1987 წლის მარტში დამატებითი დოკუმენტების გაცვლით თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების (SEIA) ვადა კიდევ 3 წლით გააგრძელეს.

ბერძნული და სომხური ლობის ფაქტორები აშშ-თურქეთის ურთიერთობაში.

1984 წლიდან თითქმის ყოველ წელს, სომხური ლობის გავლენით ამერიკელი პოლიტიკოსები ააქტიურდნენ სომეხთა გენოციდის საკითხს. მათ არაერთხელ დააყენეს დღის წესრიგში გენოციდის დღედ 24 აპრილის გამოცხადების რეკო-

მენდაცია. ეს ვითარება (რომელიც მუდმივ დისკომფორტს უქმნიდა თურქეთს) რეიგანის მმართველობის წლებში კონგრესს არ გასცდენია, თუმცა აშშ-თურქეთის ურთიერთობაში სერიოზული დაძაბულობის წყაროს წარმოადგენდა.

1988 წელს რეიგანის მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა ჯორჯ ბუშმა საარჩევნო პერიოდში სომხური ლობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო. შედეგად კი სომეხთა გენოციდის საკითხმა მთავრობის დონეზე გადაინაცვლა.

1989 წლის ოქტომბერში აშშ-ის სენატის იუსტიციის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილების პროექტი - 24 აპრილი სომეხთა გენოციდის დღედ გამოცხადებულიყო. ამ ფაქტმა თურქეთის შემოფოთება გამოიწვია. იანვარში თურგუთ ოზალი აშშ-ს ესტუმრა. დიდი მცდელობის შედეგად, გადაწყვეტილების პროექტი სენატის დღის წესრიგში არ ჩართეს. მაშინ როდესაც თურქეთი ფიქრობდა, რომ კრიზისი დაძლეული იყო, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 24 აპრილს მსოფლიოს წერილობით აცნობა, რომ ეს დღე გამოცხადებულია ხსოვნის დღედ. აღნიშნული საკითხი დღესაც აქტუალურია აშშ-თურქეთის ორმხრივ ურთიერთობებში.

აშშ, რომელიც უკვე აშკარად მხარს უჭერდა სომეხების გენოციდის აღიარებას, კვიპროსისა და ეგეოსის ზღვის პრობლემებს, თურქეთთან არც სავაჭრო ურთიერთობას ზრდიდა. 1985 წელს შეიქმნა თურქულ-ამერიკული ბიზნეს-საბჭო და ამავე წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას თურქულ-ამერიკული ორმხრივი ინვესტიციების შესახებ, თუმცა ორივე დოკუმენტი შორს იყო იმ მოლოდინისგან, რომელიც თურქეთს ჰქონდა. ამასთანავე ა.შ.შ. მოითხოვდა თურქული ეკონომიკის უფრო მეტ ლიბერალიზებას, თურქეთისთვის უფრო მეტი სამხედრო პროდუქციის მიყიდვას და თურქეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ახლოაღმოსავლეთის რეგიონში უფრო მეტი სამხედრო ზონის შესაქმნელად. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, აშშ

თურქეთთან ურთიერთობებში „ორი კურდლის დაჭერას“ ცდილობდა[34].

ცივი ომის ბოლო ეტაპზე თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებში აღმავლობას დაღმავლობა ენაცვლებოდა. აშშ-თან ურთიერთობა არ ვითარდებოდა თურქეთის მოლოდინების შესაბამისად ისეთ საკითხებში, როგორცაა: კვიპროსის პრობლემა, სომეხთა გენოციდის საკითხი, ფინანსური კრიზისი, ანუ ის პრობლემები, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე იყო თურქეთისთვის. თურქეთის სამხედრო (ან სამოქალაქო) მმართველობა ფოკუსირებული იყო აშშ-თან ურთიერთობაზე და ყველა სხვა ურთიერთობას სწორედ ამ გადასახედოდან აწყობდა[35].

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, თურქეთ-ამერიკის თანამედროვე პოლიტიკური ასპექტების ანალიზისთვის, საინტერესოა გამოიყოს თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში ყველა ის მგრძნობიარე პოლიტიკური საკითხები, რომლებიც ახდენენ გავლენას ორი ქვეყნის დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

ფაქტორი N 1. ერაყის ომი:

ამერიკის წინააღმდეგ განხორციელებულმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა თურქ ერზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. ტერაქტიდან მცირე ხნის შემდეგ ამერიკის საელჩოში გამართულ შეხვედრას პრემიერ-მინისტრი ბულენთ ეჯევითი დაესწრო და ამერიკელ ხალხს მიუსამძიმრა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკამ ომი დაიწყო ავღანეთში, შემდეგ კი მასობრივი განდაგურების იარაღის არსებობის ვარაუდით თავს დაესხა ერაყს. ამ ფაქტებმა თურქ ხალხში ამერიკის საწინააღმდეგო განწყობის განვითარება გამოიწვია. ერაყიდან მოწოდებულ ინფორმაციას თურქები ამერიკული შეიარაღებული ძალების მიერ მუსლიმანთა წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმად აღიქვამდნენ. საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად

ამერიკის მიმართ სიმპათიას გამოკითხულთა 7% გამოხატავს[36], მაშინ როდესაც 2005 წელს ეს მონაცემი 30%-ს აღწევდა[37].

როგორც ცნობილია, ისტორიული მოვლენებისა და საერთაშორისო კონფლიქტების ჯანსაღი და ობიექტური შეფასებისას საჭიროა ამ მოვლენებიდან სულ მცირე ნახევარი საუკუნე მაინც გავიდეს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თანამედროვე პოლიტიკაში შეუძლებელია საზოგადოებრივი აზრის უგულვებლყოფა, ასევე იმას, რომ დემოკრატიის პირობებში პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში მოსვლა და ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლიათ ხალხის მხარდაჭერით, ზემოთ წარმოდგენილი მაგალითიც მოწმობს, რომ საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი ცვლილება გარდაუვლად აისახება პოლიტიკაზე.

ფაქტორი N 2.

ჩრდილოეთ ერაყისა და PKK-ს პრობლემა:

ტრადიციულად თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისადმი მიმართულ საგარეო პოლიტიკას. აქ მთავარ ელემენტს წარმოადგენს ჩრდილოეთ ერაყში ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პრევენცია. ასეთ არჩევანს აკეთებს ირანი და სირიაც, სადაც თურქეთის მსგავსად ბევრი ქურთი ეროვნების მოქალაქეა. ამ ქვეყნებს არ სურთ საფრთხე შეექმნას საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას. არის საფრთხე, რომ ამერიკამ ჩრდილოეთ ერაყში თვალი დახუჭოს ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხზე და სწორედ ეს შეშფოთება წარმოადგენს მეორე მგრძნობიარე საკითხს. თუმცა ამერიკელი ჩინოვნიკები მუდმივად ამტკიცებენ, რომ ერაყის ტერიტორიული მთლიანობა მათ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ საკითხზე ოფიციალურ წრეებსა და საზოგადოებაში შეშფოთება კვლავ იგრძნობა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც თურქეთის შემფო-
თებას იწვევს არის ტერორისტული ორგანიზაცია „PKK“-ს
მიერ ჩრდილოეთ ერაყში შექმნილი სამხედრო ბანაკები და
აქედან თურქეთის ტერიტორიაზე განხორციელებული თავდ-
ასხმები. 2007 წლის ნოემბერში პრემიერ-მინისტრ რეჯებ თაიფ
ერდოღანის ამერიკაში ვიზიტისა და ამის შემდგომ 2008 წლის
იანვარში პრეზიდენტ აბდულა გიულის ამერიკაში ვიზიტისას
პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ „PKK არის ერაყის,
თურქეთისა და ამერიკის მტერი“[38]. ამის შემდეგ ამერიკამ
თურქული სამხედრო უწყებებისთვის სადაზვერვო ინფორმ-
აციის მომენტალური მიწოდება დაიწყო[39], რაც ურთიერ-
თობის გამოსწორების თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელ-
ოვანი ნაბიჯი გამოდგა. ამ პროცესების შემდეგ თურქულ საზ-
ოგადოებაში ამერიკის ავტორიტეტის ზრდა აღინიშნებოდა.

ფაქტორი N 3.

**ამერიკის კონგრესში კანონპროექტი სომეხთა გენოციდის
შესახებ:**

პერიოდულად ამერიკის კონგრესში ამერიკელ სომეხთა
დიასპორის ზეგავლენით წინა პლანზე გამოდის 1915 წელს
ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დეპორ-
ტაციის პოლიტიკის გენოციდად გამოცხადების საკითხი.

თურქეთი ეწინააღმდეგება ამ ფაქტის გენოციდად შეფ-
ასებისა და ისტორიული დოკუმენტებით დაუდასტურებელი
ფაქტის საერთაშორისო დანაშაულად - გენოციდად მონათვ-
ლის მცდელობებს. თუმცა სომეხთა ჯგუფებმა ამერიკის კონ-
გრესში ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს ამ საკითხზე წარმატების
მიღწევა, მაგრამ ყოველი ამ მცდელობის შედეგი დაძაბულ-
ობის შექმნაა. სინამდვილეში ევროპისა და ლათინური ამერ-
იკის ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტმა სომეხთა პრეტენზ-
იების მხარდამჭერი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ამერი-
კის კონგრესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგ-
ანაც ამ ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხური დია-

სპორაა და აშშ მსოფლიოს ერთადერთ სუპერ-ძალას წარმოადგენს. თურქეთი არის სახელმწიფო რომელსაც ჰყავს ძლიერი შეიარაღებული ძალა, გამოცდილი და კვალიფიციური ბიუროკრატიის ტრადიცია. ეს არის სახელმწიფო, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეგიონს გარეთ საკმაოდ დიდ ტერიტორიებს მართავდა. მისი მოსახლეობაც, სტრუქტურისა და კულტურის თვალსაზრისით არ არის ანტიამერიკულად განწყობილი. თურქეთი არის ერთადერთი მუსლიმური მოსახლეობის მქონე სეკულარისტული ევროპული და ახლო-აღმოსავლური სახელმწიფო, რომელიც ევროკავშირის წევრის სტატუსის მისაღებად მოლაპარაკებებს მართავს, შეერთებულ შტატებთან კი თითქმის სამოცწლიანი სამხედრო ურთიერთობა აკავშირებს[40].

ფაქტორი N 4.

„ფეთქულაჰ გიულენის ექსტრადირების მოთხოვნა“ - როგორც ამერიკასთან თანამედროვე ურთიერთობების გაუარესების გამომწვევი ძირითადი მიზეზი.

2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებული შტატებისგან მოითხოვა გადატრიალების მოწყობაში ბრალდებული თურქი რელიგიური ემისრისა და სწავლულის - ფეთქულაჰ გიულენის ექსტრადირება.

გადატრიალების მცდელობის შემდეგ პოლიტიკურმა ელიტამ დაიწყო რეპრესიები, რომელშიც მოყვნიენ ფეთთულაჰ გიულენის მხარდამჭერები (ე.წ. „ფეტო“-ს წევრები).

ოფიციალურმა თურქეთმა დააკავა ინჯირლიქის სამხედრო-საჰაერო ბაზის გენერალი - ბექირ ერჯან ვანი, რომელმაც დაკავებამდე აშშ-ს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა, თუმცა უარი მიიღო (სავარაუდოა, რომ ამერიკელებს სურდათ გენერლისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭება, თუმცა საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მათ კავშირს სამხედრო გადატრია-

ლებაში თურქულ მხარეს უფრო გაუღვივებდა). მიუხედავად სამხედრო-საჰაერო ბაზის ბლოკირებისა, თურქულმა მხარემ ბლოკადა რამოდენიმე დღეში მოხსნა და აშშ-ის ხელმძღვანელობით მოქმედმა საერთაშორისო სამხედრო კოალიციამ თურქეთში მდებარე ინჯირლიქის ავიაბაზიდან „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე დარტყმები განაახლა. თუმცა როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა პიტერ კუკმა განაცხადა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინჯირლიქის ავიაბაზა ელექტროენერჯის შიდა წყაროთი ფუნქციონირებდა. ინჯირლიქის ბაზის ბლოკირებამ ვაშინგტონში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და პენტაგონმა ზემოხსენებული თურქეთის მიერ ამერიკის მთავრობაზე გავლენის მოხდენად შეაფასა, რადგან თურქეთს პენსილვანიის შტატში დევნილობაში მყოფი მუსლიმი სწავლულის - ფეთჰულაჰ გიულენის ექსტრადირება სურდა.

ინჯირლიქის სამხედრო ავიაბაზის ბლოკირების ინციდენტის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა - მეთიუ ბრაიზამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „გრძელდება წნეხი ამერიკის სამხედროებზე, თურქეთის მთავრობა მათ საშუალებას არ აძლევს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საჰაერო ოპერაცია ჩაატაროს თურქეთის ინჯირლიქის ბაზიდან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ბაზას ელექტროენერჯის მიწოდებაც შეუწყდა. ეს ძალიან ძლიერი მესიჯია. ბაზის ბლოკირება, რომლითაც ამერიკა და ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კამპანიისთვის სარგებლობენ, ხელს შეუშლის თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებს, რაც ვაშინგტონში დიდ უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას გამოიწვევს. ამბოხების შემდეგ, თურქეთის მთავრობა გიულენის ექსტრადიციას ითხოვს, პრეზიდენტმა ერდოღანმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც გიულენის პასუხისგებაში მიცემაში არ დაეხმარება, თურქეთის მტერია. თუ ბერკეტების მს-

გავსი ბრძოლა გაგრძელდა, თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებზე ძალიან პესიმისტური მოლოდინები მაქვს. სულ ცოტა ხნის წინ ნატოს სამიტზე განიხილავდნენ როგორ დაეცვათ თურქეთი მეხუთე მუხლით „ისლამური სახელმწიფოსგან“, დღეს კი თურქეთი სამხედრო ოპერაციებს უზღუდავს ნატოს ლიდერ ქვეყანას, შეერთებულ შტატებს. ჩემს დიპლომატიურ გამოცდილებაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა“ - განაცხადა ბრაიზამ. [www.amerikiskma.ge]

სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა, რომ აშშ-სთან მეგობრული ურთიერთობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი ფეთქულაჰ გიულენის გადაცემაზე უარს იტყვის, ვინაიდან ოფიციალურ თურქეთს გიულენი სამხედრო გადატრიალების სულისჩამდგმელად მიაჩნია. ასევე აღსანიშნავია, რომ ფეთქულაჰ გიულენის ექტრადირების საკითხზე დღემდე სისტემატური სატელეფონო კონსულტაციები მიმდინარეობს აშშ-ისა და თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პირებს შორის, რადროსაც განხილული საკითხების შინაარსი საზოგადოებისთვის იშვიათად საჯაროვდება. ოფიციალური მხარეები ლაკონური კომენტარებით არიდებენ თავს ჟურნალისტთა და მკვლევართა კითხვებს და საკითხი დღემდე პასუხგაუცემელია. ერთ-ერთი ასეთი ოფიციალური სატელეფონო საუბრის შემდეგ 2017 წელს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა და აშშ-ის იმდროინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ისაუბრეს, რადროსაც აშშ-მ მზადყოფნა გამოთქვა თურქეთთან ფეთქულაჰ გიულენის გადაცემის საკითხთან თანამშრომლობაზე. ოფიციალურმა თურქეთმა კი საუბრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ სატელეფონო საუბრისას ბინალი ილდირიმმა ჯო ბაიდენს განუცხადა, რომ თურქულმა მხარემ ყველა საჭირო დოკუმენტი უკვე გადაუზღვნა ამერიკულ მხარეს და თურქი რელიგიური სწავლულის

ექსტრადირებაზე დადებით პასუხს ელოდნენ. თუმცა 2017 წლის დასაწყისში გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ - „The Wall Street Journal“- მა საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად ოფიციალურმა ანკარამ ამერიკელი მაღალჩინოსნები გიულენის გადაცემის აუცილებლობაში ვერ დაარწმუნეს მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში მდებარე უზენაესი სასამართლოს მიერ ფეთჰულაჰ გიულენის დაკავების ოფიციალური ორდერი უკვე გაცემულია.

ზემოხსენებულის პარალელურად რელიგიურმა სწავლულმა ფრანგულ გამოცემა - „Le Monde“-სთან საუბარში განაცხადა, რომ თუ მის წინააღმდეგ გამოყენებული ბრალდებების 1/10 მაინც იქნება მტკიცებულებებით გამყარებული ოფიციალური თურქეთის მიერ, გამოთქვა მზადყოფნა საკუთარი ინიციატივით დაბრუნდეს თურქეთში და უმკაცრესი სასჯელი მოიხადოს. ზემოხსენებული განცხადების გავრცელების შემდეგ თურქეთში ფეთჰულაჰ გიულენის ოჯახის წევრი დააკავეს. თურქეთის სამართალდამცავი ორგანოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ასევე რელიგიური სწავლული, გიულენის ნათესავი - ხალის ხანჯი ქალაქ ერზურუმში იქნა დაკავებული. ძალოვნების თქმით, ის გიულენის მარჯვენა ხელი იყო და თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობამდე ორი დღით ადრე ჩავიდა. გარდა ზემოხსენებულისა სამხედრო გადატრიალების შემდეგ ცხელ კვალზე თურქეთის ხელისუფლებამ პრეზიდენტ - ერდოღანის სპეციალური განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო გადატრიალებასა და „ფეტო“-სთან კავშირის ბრალდებით დააპატიმრა 7000-მდე სამხედრო მოსამსახურე (მათ შორის 130 გენერალი და ადმირალი), 9000 საჯარო მოსამსახურე, 426 მოსამართლე და პროკურორი.

თურქეთის სპეც. სამსახურის წარმომადგენლებმა 2017 წელს დააკავეს ამერიკელი რელიგიური მოღვაწე, ქ.იზმირის

პასტორი - ენდრიუ ბრანსონი და მას ფეთჰულაჰ გიულენის მხარდაჭერის მუხლით ბრალი წაუყენეს.

თურქეთის სპეც.სამსახურის წარმომადგენლებმა 2017 წლის დასწყისში კიდევ ერთი ოპერაცია ჩაატარეს. ამჯერად მათ ჯაშუშობის ბრალდებით აშშ-ს სასარგებლოდ დააკავეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საკონსულო განყოფილების თარჯიმან-რეფერენტი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე - ჰამზა ბეი ულუჯაი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად რუსული მედია-საშუალებები (რომლებიც მსგავსი სენსიტიური საკითხების გაშუქებისას სავარაუდოდ მკაცრად კონტროლდებიან ადგილობრივი სპეც. სამსახურების მიერ) ავრცელებენ ინფორმაციებს, რომ ფეთჰულაჰ გიულენი ამერიკის სადაზვერვო სამსახურის აგენტია და მისი მეშვეობით აშშ ცდილობდა თურქეთში ხელისუფლების შეცვლას სამხედრო გადატრიალების გზით. ზემოხსენებული ფაქტებზე დაყრდნობით არ არის გამორიცხული რუსეთ-თურქეთის ხელისუფლებებს შორის „ურთიერთობის დათბობა“ გამოწვეული იყოს ამ ორი ქვეყნის სპეც. სამსახურების ერთობლივი მუშაობით აშშ-ის წინააღმდეგ კონკრეტულ საკითხებში.

2017-2018 წწ. თურქეთის ხელისუფლებამ ამერიკასთან გიულენის ექსტრადირების საქმეზე მიდგომა ნაწილობრივ შეცვალა და აშშ-ს ახალი პრეზიდენტის - დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან ორმხრივი ინტერესების გათვალისწინების პოლიტიკა აირჩია. 2017 წლის 28 აპრილს, ატლანტიკური საბჭოს ენერგეტიკულ სამიტზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ თურქეთი იმედოვნებს, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში თურქეთი და აშშ ორმხრივი ურთიერთობების ახალ ფურცელს გადაშლიან. დამატებით ერდოღანმა ასევე აღნიშნა, რომ ფეთჰულაჰ გიულენის დაკავება და მისი მართლმსაჯულებისთვის თურქეთისთვის გადაცემა ის მთავ-

არი მოლოდინი იყო, რომელიც დღემდე თურქეთს ამერიკისგან გააჩნია.

2017 წლის 20 იანვარს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - მევლუდ ჩავუშოღლუმ ამერიკულ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტში“ თურქეთის და თურქი ხალხის ამერიკისგან მოლოდინების ამსახველი სტატია დაწერა, რომელშიც აცხადებს, რომ აშშ-ს მთავრობის მიერ ბოლო ხანებში გადადგმულმა ნაბიჯებმა თურქეთს იმედები გაუცრუა. მისივე თქმით, ახლა მათი მთავარი მიზანია ამ ახალ ეპოქაში ქვეყნებს შორის სოლიდარობის და ნდობის აღდგენა. მევლუდ ჩავუშოღლუმ სტატიაში ასევე ტერორიზმზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურ ბრძოლას თურქეთი ეწევა. მინისტრის თქმით, აშშ სირიაში არსებული კრიზისის მოგვარების სანაცვლოდ ტერორისტულ ორგანიზაცია „ქურთ მუშათა პარტიის“ ერთ-ერთ ფრთა „PYD“-თან თანამშრომლობს. ჩავუშოღლუმ სტატიის ბოლოს იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი ფეთქულაჰ გიულენის ტერორისტული ორგანიზაცია პარალელური სახელმწიფო სტრუქტურის, ე.წ. „ფეტო“-ს წევრების მოკავშირე ქვეყნის მხრიდან მფარველობა მათთვის მიუღებელია.

2018 წლის იანვარში თურქეთის დელეგაცია აშშ-ში ოფიციალური ვიზით იმყოფებოდა. ფეთქულაჰ გიულენის ექსტრადირების საქმეზე იუსტიციის მინისტრმა ბექირ ბოზდაგმა შეხვედრები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნებთან და სენატორებთან გამართა. თურქეთის იუსტიციის მინისტრმა ამერიკელ კოლეგებს მუსლიმი მქადაგებლის ბრალეულობის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები გადასცა და ოფიციალური ვაშინგტონისგან თანამშრომლობის იმედი გამოთქვა. ბექირ ბოზდაგმა ამერიკის იუსტიციის მინისტრ - ლორეტა ლინჩთან შეხვედრისას

აღნიშნა, რომ გიულენის ექსტრადირების შემთხვევაში ამ უკანასკნელის სასამართლო პროცესი თურქეთში კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდება.

ალიანსის ახალი სტრატეგია, ნატოს უსაფრთხოების ახალი პოლიტიკა და თურქეთი.

თურქეთი არის ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი, რომელიც 1952 წლიდან დღემდე, როგორც ნატოს წევრი, სარგებლობდა ალიანსის უსაფრთხოების ქოლგით. ამავე დროს თურქეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და შეაქვს ნატოს ფარგლებში დასავლეთის უსაფრთხოებაში. ბალკანეთის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთისგან შემდგარი სამკუთხედი, რომელშიც თურქეთი მდებარეობს ყურადღებას იპყრობს როგორც რეგიონი, სადაც შესაძლებელია დაიწყოს რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტები, ასევე გაურკვეველობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოში მშვიდობასა და სტაბილურობას[41].

2004 წლის 28-29 ივნისს სტამბოლში გამართულმა ნატოს სამიტმა მნიშვნელოვანი საშუალება შექმნა შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ გლობალურ ტერორიზმთან საერთაშორისო ასპერეზზე ეფექტური ბრძოლისთვის საერთო მიდგომისა და თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით[42].

ნატო არის საერთაშორისო მთავრობათაშორისი გაერთიანება, რომლის წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ აბსოლუტურ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. იგი უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების მიერ დღის წესრიგში დაყენებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციების გამართვას, ასევე გადაწყვეტილების მიღებას ისეთ პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს მათ უსაფრთხოებაზე[43].

ალიანსის ახალი სტრატეგიის თანახმად, ნატო რჩება ე.წ. „კოლექტიური დაცვის“ ორგანიზაციად, რომელიც წარმოადგენს ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ძირი-

თად ელემენტს. ალიანსის სამოქმედო არეალისთვის შეიქმნება უფრო ფართო სამეთაურო და სამხედრო ძალების სტრუქტურა, ეს სტრუქტურა იქნება უფრო მოქნილი და მას ექნება უფრო მოკლე რეაქციის ვადა. უფრო აქტიურ როლს შეასრულებს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღკვეთისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უფრო მეტად კოორდინირებულად იმუშავებს სხვა ორგანიზაციებთან და მხარს დაუჭერს და განავითარებს ისეთ საერთაშორისო მექანიზმებს, როგორცაა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელიც მიზნად ისახავს არაწევრ ქვეყნებთან უსაფრხოების სფეროში თანამშრომლობას[44].

1999 წლის 23-25 აპრილს ვაშინგტონის სამიტზე გადადგმული იქნა ახალი ნაბიჯები ნატოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაფართოების მიზნით და მას ეწოდა „განვითარებული და უფრო ოპერატიული პარტნიორობა“. თურქეთი მხარს უჭერს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, როგორც ბალკანეთის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით შემქნილ საერთაშორისო გარემოს და ამ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. თურქეთმა ისარგებლა ამ გარემოთი და გახსნა პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სასწავლო ცენტრი, რითიც გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მრავალეროვნული სამშვიდობო ძალის ინიციატივის ლიდერი. მეორე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც თურქეთი ხელმძღვანელობს, არის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფი (BLEACKSEAFOR). შავ ზღვაზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის, პროგრამის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის გაზრდის, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და გამჭვირვალობის განვითარების მიზნით შექმნილი ეს მრავალეროვნული სამშვიდობო ძალა მომავალში უფრო ეფექტური და ნაყოფიერი გახდება[45].

ისლამური სახელმწიფო, თურქეთი და აშშ.

ზოგადად როგორც რეგიონის ქვეყნებს, ისე დასავლეთსა და რუსეთს ერთიანი პოზიცია აქვთ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებით. 59 ქვეყნის მთავრობების მიერ ხელმოწერილ დეკლარაციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ამ „სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მიმართული საერთო ძირითადი მიზნები: სამხედრო ოპერაციების, სამხედრო პოტენციალისა და საბრძოლო მზადყოფნის მხარდაჭერა; უცხოელ ტერორისტთა შემოდინების აღკვეთა; „ისლამური სახელმწიფოსათვის“ ფინანსური წყაროების გადაკეტვა; ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევისათვის ერთობლივი მოქმედება; „ისლამური სახელმწიფოს“ ჰუმმარიტი ბუნების წარმოჩენა (იდეოლოგიური დელიგიმიტიზაცია)[46]. მათ ჰყავთ საერთო მტერი, მაგრამ არ აქვთ საერთო ინტერესები, რაც ერაცისა და სირიის ფარგლებს ფართოდ სცილდება და მთელ რეგიონს მოიცავს. ამასთანავე, მოქმედების კოორდინირებისთვის ყოფილ მოწინააღმდეგეებსაც უხდებათ ერთმანეთის მიმართ კომპრომისებზე წასვლა.

თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებასა და აშშ-ს მთავრობის ადმინისტრაციას შორის ტერორისტული ორგანიზაცია - „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ერთობლივი თანამშრომლობა სულ რაღაც 4 წელს ითვლის. მას შემდეგ რაც 2014 წლის 30 ივნისს, ერაცისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო ოფიციალურად შეიქმნა (ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“) ტერორისტული ორგანიზაციის თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა მთლიანად ლევანტის, მათ შორის ლიბანის, ისრაელის, პალესტინის, იორდანის, სირიის, ერაცის, კვიპროსისა და სამხრეთ თურქეთის ტერიტორიებზე მსოფლიო „ჯიჰადი“-ს („საღვთო ომი“) გამოცხადება და სახალიფოს დაარსება[47].

ორგანიზაციის ლიდერებმა - აბუ ბაქარ ალ ბაღდადიმ 2014 წელს განაცხადა, რომ 2003 წელს აშშ-ს მაშინდელი პრეზ-

იდენტის - ჯორჯ ბუშის შეჭრამ ერაყში ისინი ამერიკის წინააღმდეგ ჯიჰადამდე მიიყვანა და ბიძგი მისცა ისლამურ ძალებს კონტროლი გაემყარებინათ არაბულ სახელმწიფოებზე. „ისლამური სახელმწიფოს“-გააქტიურებასთან ერთად უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა აშშ-სა და თურქეთის ხელისუფლებებს შორის (უმეტესწილად სპეც. სამსახურებს შორის) ინფორმაციის გაცვლის კუთხით თანამშრომლობა.

საკითხის ჯეროვნად შეფასებისთვის, ასევე იმ მნიშვნელობის ზუსტი წარმოდგენისთვის თუ რა ფაქტორს თამაშობს „ისლამური სახელმწიფო“ აშშ-სა და თურქეთის თანამედროვე ურთიერთობებში, მიზანშეწონილად მიმაჩნია ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ ორი ქვეყნის თანამშრომლობის დეტალები განვიხილოთ თანამშრომლობის დაწყებიდან, ანუ 2014 წლიდან, მაშინ როცა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ ერთდროულად დაემუქრა როგორც თურქეთის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას და დაანონსა ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოწყობა.

თანამშრომლობის ეტაპებს მივყვებით ქრონოლოგიურად: **2014 წელი:** „ისლამური სახელმწიფო“-ს გააქტიურება თურქეთმა პირველად მკაფიოდ 2014 წლის სექტემბერში იგრძნო, როდესაც ტერორისტულმა ორგანიზაციამ თურქეთ-სირიის საზღვარზე მდებარე ქალაქ კობანის თითქმის მესამედზე დაამყარა კონტროლი. შეტაკებებს სულ მცირე 500 ადამიანი ემსხვერპლა, 200 000 მოსახლემ კი საცხოვრებელი ქალაქი დატოვა და თურქეთში გადასახლდა.

ზემოხსენებული ფაქტის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული დავალება მისცა თურქეთის ეროვნულ სადაზვერვო სამსახურს განსაკუთრებულ კონტროლზე აეყვანათ „ისლამური სახელმწიფოს“ - წინააღმდეგ ბრძოლა და საკითხი განეხილათ ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ პრიორიტეტულ გამოწვევათა ნუსხაში. შესაბამისად

გააქტიურდა თანამშრომლობა როგორც აშშ-ს და თურქეთის აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის, ასევე სპეც. სამსახურების ერთობლივი მუშაობის თვალსაზრისით.

2014 წლის 13 ოქტომბერს, ქ. კოზანში შეტაკებიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ტელეკომპანია NBC-ის ეთერში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში - სიუზან რაისმა განაცხადა, რომ თურქეთი თანხმობას აცხადებს აშშ-მ თურქეთის ტერიტორიაზე განათავსოს სამხედრო ბაზები, რომლებიც გამოყენებულ იქნება ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ - წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ეს იყო პირველი ოფიციალური სიგნალი ორ ქვეყანას შორის „ისლამური სახელმწიფოს“ - წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით[48].

2015 წელი: მას შემდეგ რაც ოფიციალურმა ვაშინგტონმა განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ აშშ აქტიურად აპირებდა თურქეთის ტერიტორიაზე ქვეყნის სამხრეთით არსებული სამხედრო ავია-ბაზები „ისლამური სახელმწიფო“-ს წინააღმდეგ გამოეყენებინა, ტერორისტულმა ორგანიზაციამ თავისი საინფორმაციო სააგენტო - „ფურატი“-ს მეშვეობით მრავალი მუქარის შემცველი ვიდეო-მიმართვა გაავრცელა ამერიკის და თურქეთის ხელისუფლებების მისამართით.

2015 წლის დასაწყისში თურქულმა გამოცემა - „ჰურიეთ“-მა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ თურქეთის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობას გეგმავდა. „ჰურიეთი“-ს ინფორმაციით, შესაბამის ინფორმაციას ფლობდნენ როგორც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში, ასევე თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის შესაბამისს დანაყოფებშიც.

2015 წელს „ისლამური სახელმწიფოს“ - წინააღმდეგ მებრძოლი ორი მოკავშირე ქვეყნის სპეც. სამსახურების მიერ გავ-

რცელებული ინფორმაციებით, „ისლამური სახელმწიფო“-ს მებრძოლები ტერაქტების მოწყობას აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობების და სამხედრო ბაზების წინააღმდეგ აპირებდნენ. სპეც. სამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციებით, ტერორისტების მიზანი შესაძლოა ტურისტული ადგილებიც გამხდარიყო.

2015 წლის 28 ივლისს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა _ ჯონ კერიმ ოფიციალურ ბრიფინგზე დაადასტურა, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“-ს წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო კამპანიის გაფართოების მიზნით თურქეთთან მოლაპარაკებები გრძელდებოდა. „თეთრი სახლის“ იმდროინდელმა წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ თურქეთის მიერ ჩრდილოეთ ერაყში განხორციელებულ ავია-იერიშებთან დაკავშირებით აშშ სანქციებს თურქეთს არ დაუწესებდა[49].

2015 წელს აშშ-მ და თურქეთმა ტერორისტულ დაჯგუფებებზე საჰაერო იერიშების განხორციელებას და თურქეთის საზღვრის გათავისუფლების გეგმაზე დაიწყეს მუშაობა. აშშ-სა და თურქეთის სპეც.სამსახურების ერთობლივი სამხედრო ღონისძიებების დაგეგმვის პარალელურად, ოფიციალურმა კრემლმა გააძლიერა თავისი ე.წ. „გავლენის აგენტურა“ ქურთი მემბოხების რიგებში, რომლებიც თურქეთის ხელისუფლებას ბაზების დაბომბვაში ადანაშაულებდნენ.

2015 წლის აგვისტოს დასაწყისში ქურთისტანის მუშათა პარტიამ რომელიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“-ს უწევდა წინააღმდეგობას განაცხადა, რომ რეგიონში თურქეთის სამხედრო მოქმედებები სინამდვილეში ქურთულ სამხედრო ფორმირებასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად და არა „ისლამური სახელმწიფო“-ს განადგურებას.

2015 წლის 5 აგვისტოს მაღაზიაში ოფიციალური ვიზიტისას თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - მევლუთ ჩავუშოღლუმ ტელეარხ „TRT“-სთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკული თვითმფრინავები და უპილოტო

საფრენი აპარატები უკვე განთავსებულნი იყვნენ ინჯირლიქის სამხედრო ბაზაზე და მალე კოალიციის წევრებთან ერთად „ისლამური სახელმწიფო“-ს წინააღმდეგ ერთობლივი მასშტაბური ოპერაცია დაიწყებოდა.

2015 წლის მეორე ნახევარში თურქეთის და აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა დაასრულეს ე.წ. „ტექნიკური მოლაპარაკება“ „ისლამური სახელმწიფო“-ს საწინააღმდეგო ოპერაციებზე. ყოყმანის მიუხედავად თურქეთი საბოლოოდ დათანხმდა „ისლამური სახელმწიფო“-ს საწინააღმდეგო ოპერაციებში უფრო აქტიურად ჩართვას. თურქეთმა დაიწყო სირიის თავზე საჰაერო რეიდების განხორციელება „ისლამური სახელმწიფო“-ს სამიზნეების წინააღმდეგ და აშშ-ის ხელმძღვანელობით მოქმედ სამხედრო კოალიციას საშუალება მისცა თავდასხმებისთვის გამოეყენებინათ სირიის საზღვართან მდებარე თურქეთის საჰაერო ბაზა.

თურქეთის რესპუბლიკის ზემოხსენებულ ნაბიჯებს წინ უსწრებდა სირია-თურქეთის საზღვართან 2015 წლის ივლისში თვითმკვლელი მოიერიშის მიერ განხორციელებული თავდასხმა, რომელმაც 33 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა (ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო)[50].

ინჯირლიქის სამხედრო ბაზაზე ნატოს მისიის სამხედრო ტექნიკის განთავსების შემდეგ, აშშ-მა თურქეთისგან დამატებით მიიღო თანხმობა ინჯირლიქის ბაზაზე აშშ-ს მხარეს განეთავსებინა 6 ერთეული მოიერიშე „F-16“ ტიპის საჰაერო ტექნიკა.

ამავდროს 2015 წლის 8 სექტემბერს, „თურქეთის გენშტაბის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ იქნა განცხადება, რომლის თანახმად თურქეთმა გამოთქვა მზადყოფნა აშშ-ი სამხედრო ძალებთან ერთად კოალიციის სხვა წევრებს დაუთმოს სამხედრო ბაზა „ისლამური სახელმწიფო“-ს წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურად წარმართვისათვის. თუმცა მიუხედა-

ვად ზემოხსენებული განცხადებისა, კოალიციის მოკავშირეებმა თურქეთი არაერთხელ გააკრიტიკეს ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში „არასათანადო ძალისხმევისთვის“.

„დეილ კარნეგის ცენტრი“-ს ევროპის ოფისის თურქი მკვლევარის სინან ულგენის ანალიზით, აშშ-სთან ერთობლივ ოპერაციაში ჩაბმა ანკარის მიმართ მეკავშირეების მხრიდან არსებულ კრიტიკას შეამსუბუქებდა, რამაც გარკვეული შედეგი მართლაც გამოიღო.

თურქეთის სახელმწიფო ჯარებმა 2015 წლის 21 ნოემბერს იერიში ქურთ მეამბოხეებზე და სირიელი ქურთების გასამხედროებულ დაჯგუფებებზე მიიტანეს. სირიელი ქურთების გასამხედროებულ დაჯგუფებები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის მოკავშირეები არიან დღემდე (მოგვიანებით აშშ-ს თურქეთმა ბრალი დასდო ამ უკანასკნელებზე იარაღით დახმარებასა და ტერორიზმის მხარდაჭერაში), როცა თურქეთი მათ „ქურთ მუშათა პარტიასთან“ კავშირში ადანაშაულებს და წლების განმავლობაში ითხოვს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან სირიელი ქურთების სამხედრო დაჯგუფებების ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანას.

2015 წლის ბოლოს გამოჩნდა, რომ თურქეთის მიერ გარკვეულ დათმობებზე წასვლას თავისი ჩანაფიქრები ჰქონდა. თურქეთს სურდა სირიაში „ისლამური სახელმწიფო“-ს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე კონტროლი სამომავლოდ ანკარას დაემყარებინა, რამაც ამერიკასთან უთანხმოება გამოიწვია.

აშშ-სთან 2015 წელს თურქეთის სამხედრო საერთო ოპერაციების ანალიზისას თურქი ანალიტიკოსების უმეტესობა ფსონს დებდა იმაზე, რომ თურქეთი აშშ-სთან მიმართებაში გარკვეულ დათმობებზე წავიდოდა (საქმე ეხება სირიაში განთავისუფლებულ ტერიტორიებზე კონტროლის დამყარე-

ბას). 2015 წელს აშკარა გახდა, რომ „ისლამურ სახელმწიფო“-სთან სამომავლო წარმატებული ბრძოლა დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორ დააბალანსებდა ვაშინგტონი ანკარის და სირიელი ქურთების ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს.

2015 წლის ბოლოს უკვე თურქეთმა აშშ-ს თვალში მოსახვედრად დაიწყო ე.წ. „პოპულისტური დაკავებების“ სერია (შესაძლებელია თურქეთის სპეც. სამსახურებს „ისლამური სახელმწიფო“-ს მებრძოლების წინააღმდეგ რამდენიმე ოპერაცია დასრულების ფაზამდე ჰყავდათ მიყვანილი და ელოდებოდნენ ე.წ. „დაკონსერვებული ოპერაციების“ გაცოცხლებას საერთაშორისო ასპარეზზე „პოლიტიკური დივიდენდების“ მიღების მიზნით). 2015 წლის 16 დეკემბერს თურქეთის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა დააკავეს „ისლამური სახელმწიფო“-ს სირიელი მებრძოლი, რომელიც თურქი სამართალდამცავების ინფორმაციით, თურქეთის ტერიტორიაზე შეერთებული შტატების საკონსულოზე თავდასხმას გეგმავდა. თავდაპირველად დაკავების ორდერი ორ ადამიანზე გაიცა, ხოლო მოგვიანებით ერთი ექვმიტანილი თურქმა სამართალდამცავებმა გაათავისუფლეს. თურქეთის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, სირიელი თვითმკვლელი აშშ-ს საკონსულოსთან „ჯიჰადის“ ქამრით თავის აფეთქებას აპირებდა[51].

2016-2018 წ.წ.: აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 2016 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა 2015 წლის ტერორიზმის ანგარიში, რომელშიც აღიარებული ტერორისტული ორგანიზაციების სია ხელახლა შედგა და მასში თურქეთში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები PKK, TAK, DHKP-C, MLKP და DAESH-იც შეიყვანა.

ოფიციალური ანკარის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ვაშინგტონმა თურქული მხარის მოთხოვნა არ შეასრულა და ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში კვლავ არ შეიყვანა სირიაში მოქმედი შეიარაღებული ფორმირება „PYD“ და

„YPG“, რომლებსაც თურქეთი PKK-ს მსგავსად ტერორისტულად მიიჩნევს, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ხსენებულ ქურთული ფორმირება სირიაში აქტიურად ებრძვის ისლამურ სახელმწიფოს, ამიტომაც ამერიკა არ იზიარებს ამ საკითხში თურქეთის პოზიციას და ტერორისტულად არ სცნობს სირიაში მოქმედ ზემოხსენებულ ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს.

ამავე ანგარიშში ანკარის მხრიდან PKK-ს წინააღმდეგ წარმოებულ ანტიტერორისტულ ოპერაციებზეც არის ყურადღება გამახვილებული და ხაზგასმულია, რომ გასულ წელს თუ მთელს მსოფლიოში ტერორისტული თავდასხმები საერთო ჯამში 13%-ით შემცირდა, თურქეთში პირიქით მოხდა, იგი გახშირდა და მას ასობით ძალოვანის სიცოცხლე შეეწირა.

ამერიკა მსოფლიოს ყველაზე საშიშ და ნომერ პირველ ტერორისტულ ორგანიზაციად კვლავ ისლამურ სახელმწიფოს (ე.წ. DAESH-ს) მიიჩნევს.

„ისლამურ სახელმწიფო“-სთან მიმართებაში აშშ-სთან ურთიერთობის გაუარესება სათავეს სწორედ 2016 წლიდან იღებს, როდესაც 28 ივნისს, სტამბოლის ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში „ისლამური სახელმწიფო“-ს თვითმკვლელმა სამმა ტერორისტმა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართულებით უმისამართო სროლა დაიწყეს (ტერაქტის შედეგად დაიღუპა 46 ადამიანი და 239 ადამიანი მიმედ დაშავდა), სროლის პარალელურად აფეთქება მოხდა აეროპორტის საერთაშორისო ფრენების ტერმინალის შესასვლელში.

ტერაქტის შემდეგ, 2016 წლის 4 ივლისს, თურქეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებს თხოვნით მიმართა დახმარებოდა ჩეჩნური წარმოშობის მქონე „ისლამური სახელმწიფო“-ს ცნობილი ბოევიკის მოძებნაში, რომელმაც სტამბოლის აეროპორტში სისხლიანი ტერაქტი მოაწყო (საუბარია აჰმედ ჩატაევზე, რომელიც 2018 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში,

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს იქნა ლიკვიდირებული). აჰმედ ჩატაევი კარგად იყო ცნობილი როგორც თურქეთის, ასევე რუსეთისა და აშშ-ს დაზვერვის სამსახურებისათვის. აჰმედ ჩატაევი სირიაში მებრძოლი რუსულენოვანი მეომრების (ე.წ. „ბოევიკების“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. გარდა ზემოხსენებულისა, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ყოფნის დროს იგი „ისლამური სახელმწიფო“-სათვის თანხების მობილიზებით ე. წ. „ოზშიაკის შეგროვებით“ იყო დაკავებული).

2016 წელს იმდროინდელმა რუსეთის ანტიტერორისტულმა კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველმა ანდრეი პრჟეზდომსკიმ ივარაუდა, რომ ა. ჩატაევს „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერებმა უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება დააკისრეს - ევროპასა და რუსეთში ტერორისტული აქტების მომზადება (სხვადასხვა თურქული და დასავლური საინფორმაციო სააგენტოები სისტემატიურად ავრცელებდნენ ინფორმაციებს ა. ჩატაევის რუსულ სპეც.სამსახურებთან კავშირის შესახებ და რუსეთის სპეც. სამსახურის წარმომადგენლის ზემოხსენებული განცხადება შესაძლებელია აღვიქვათ როგორც რუსული დაზვერვის მიერ ა. ჩატაევთან კავშირის ბრალდებაში პოზიციის დაფიქსირება).

რუსი მკვლევარი პეტრე დერგაჩევი კი რომელიც „ისლამურ სახელმწიფო“-ში რუსი მოხალისეების ქმედებებს აკვირდება და აანალიზებს, ამბობდა რომ ა. ჩატაევი როგორც ჩანს თურქეთში „ისლამური სახელმწიფო“-ს კავშირებს კოორდინირებდა. ასე რომ აშშ-სა და თურქეთის სადაზვერვო სამსახურების ურთიერთთანამშრომლობისას მნიშვნელოვანი განხილვის საგანს წარმოადგენდა ა. ჩატაევის პიროვნება და „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც საბოლოოდ გარკვეულ ამინდს ქმნიდა ორი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამშრომლობის თვალსაზრისით.

2016 წლის 26 დეკემბერს, თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობიდან რამოდენიმე თვის შემდეგ (სამხედრო გადატრიალების მცდელობა რეალურად იქცა თურქეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობის გაუარესების მიზეზად), თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ „აშშ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“-ს უჭერს მხარს და ოფიციალურ ანკარას აქვს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები“. ზემოხსენებულმა განცხადებამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი (დეპარტამენტი რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მართავს) გააღიზიანა. ტელეკომპანია - BBC-სთან ინტერვიუში სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა - მარკ ტონერმა ერდოღანის განცხადებას „სასაცილო და მოუმწიფებელი“ უწოდა.

აშშ-სა და თურქეთის შორის უთანხმოება „ისლამური სახელმწიფო“-სთან მიმართებაში უფრო გამძაფრდა 2017 წელს, როდესაც თურქეთის პრეზიდენტმა 18 ნოემბერს ქ. ანკარაში სახელისუფლებო პარტიის (AKP) სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ სირიაში და ერაყში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების უკან იდგა ამერიკის შეერთებული შტატები.

2018 წლის 20 იანვარს, თურქეთის ხელისუფლებამ დაიწყო სამხედრო ოპერაცია „ზეთისხილის ტოტი“, რომელიც თურქული მხარის ინფორმაციით, მიზნად ისახავს სირიაში, აფრინის რაიონში უსაფრთხოების ზონის შექმნას. მიმდინარე წლის დასაწყისიდან თურქეთმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფო“-სთან კავშირში მყოფი პირების დაკავების კუთხით. 2018 წლის 4 თებერვალს, თურქეთში ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს „ისლამური სახელმწიფო“-ს ინფორმაციის მინისტრი ომერ იეთექი, რომელიც ტერორისტული ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად მედია-საშუალებებში ინფორმაციის გაშუქებაზე იყო პასუხისმგებელი. თურქეთის

უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, დაკავებული კავშირშია თურქეთში განხორციელებულ რამდენიმე ტერაქტთან[52].

თურქეთის როლი სირიის სამოქალაქო ომში საკმაოდ ორაზროვანია. მეორე მხრივ კი, თურქეთის მთავრობამ უარი უთხრა შტატებს მის ტერიტორიაზე არსებული ავიაბაზებიდან დაერთყათ სირიისათვის. თურქეთი საკმაოდ შეშფოთებული იყო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ქურთების ჩაბმით და საკმაოდ დიდხანს ყოყმანობდა მიეცა თუ არა ფემერგას ძალებისთვის მის ტერიტორიაზე გავლით სირიაში ქურთების დასახმარებლად გადასვლის უფლება (საბოლოოდ დათანხმდა). თურქეთის რთული ურთიერთობები ერაყის ქურთისტანთან და სირიის ქურთებთან არ არის მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ საკუთრივ თურქეთში ქურთებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს. ანკარას განსაკუთრებით აშფოთებს თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებული ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) გააქტიურება. მიიჩნევა რომ PKK-ის დაახლ. 3 ათასი მებრძოლი ერაყის ქურთისტანში იბრძვის. თურქეთის შეიარაღებული ძალები არაერთხელ შეჭრილან ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე PKK-ს მებრძოლების დევნის დროს და სასაზღვრო რეგიონებში ფემერგას ძალებთან დაპირისპირებაც ყოფილა. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში PKK-ს მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვიოს აშშ-ის მიერ მისი ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან ამოღება, რაც ანკარას დიდად აშფოთებს. თურქეთის მთავარ თავის ტკივილს წარმოადგენს ის, რომ ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ და დაუსრულებელი არეულობები სირიაში შეიძლება მართლაც დაგვირგვინდეს ქურთული სახელმწიფოს შექმნით და თურქეთის ქურთების მოთხოვნის განახლებით, რომ ისინი

გახდნენ ან ახალი სახელმწიფოს ნაწილი, ან ჰქონდეთ ფართო ქურთული ავტონომია თურქეთის შიგნით.

სირიელი ამბოხებულების მხარდაჭერის პრობლემამ გავლენა მოახდინა თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებზეც. ანკარის სურვილია, რომ აშშ თანმიმდევრული იყოს ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორების საქმეში, აშშ-სა და მისი მოკავშირეების ძალებმა კი საჰაერო დარტყმები განახორციელონ სირიის შეიარაღებულ ძალებზე. 2014 წელსა და 2015 წლის პირველ ნახევარში კი აშშ-ის საჰაერო დარტყმები ძირითადად მიმართული იყო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. თავდაპირველად ვაშინგტონი საკმაოდ მკაცრი იყო სირიაში სამოქალაქო მოსახლეობაზე ასადის ძალების თავდასხმების მიმართ და „წითელი ხაზიც“ კი დაადგინა - ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში აშშ ჩაერთვებოდა კონფლიქტში. ჩანს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება მართლაც მოხდა, თუმცა დღემდე ბუნდოვანია, თუ რომელმა მხარემ გამოიყენა ის. თურქეთი შიშობს, რომ ირანული მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ვაშინგტონი გვერდზე გადადებს ასადის რეჟიმის დამხობის გეგმას.

ამგვარად, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაპირისპირებულ ქვეყნებს რეგიონის მომავლის განსხვავებული ხედვა აქვთ და ხშირ შემთხვევაში ეს ხედვა მკაფიოდ ჩამოყალიბებულიც არ არის. ირანს სურს როგორც სირიაში, ისე ერაყში არსებული რეჟიმების შენარჩუნება, რითაც იმედოვნებს საკუთარი ზეგავლენის გაზრდას და რეგიონულ ლიდერად ქვევასაც კი. ამ მიზნის მისაღწევად ირანი არ თაკილობს აშშ-თან დაკავშირებასაც.

ამდენად, თურქეთის ინტერესია არსებული საზღვრების შენარჩუნება. რუსეთს, ირანის მსგავსად, სურს სირიის ამჟამინდელი ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება, რითაც იმედოვნებს ახლო აღმოსავლეთში პოზიციების

გამყარებას. ისრაელის უმთავრესი მიზანია არ დაუშვას ირანის პოზიციების გამყარება. ასადის რეჟიმის არსებობის შენარჩუნების შემთხვევაში კი, ირანის ზეგავლენა სირიაზეც და ლიბანზეც კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომაც ისრაელი გააფთრებით ეწინააღმდეგება აშშ-ისა და ირანის დაახლოებას. მთავარი პოლიტიკური აქტორი, აშშ, საკმაოდ ორაზროვან პოზიციაშია. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მთავარი „მოკავშირე“ პრაქტიკულად გახდა ყოფილი დაუძინებელი მტერი - ირანი. აშშ მომხრეა ერაყში მის მიერ ხელდასხმული ხელისუფლების, ანუ შიიტური უმრავლესობის დომინირების შენარჩუნებისა, რაც სრულად ემთხვევა ირანის ინტერესებს. ასადის რეჟიმის მიმართ დღეს შტატებს უკვე არ აქვს მკაფიოდ გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება. რეჟიმის რეპრესიული ხასიათის მიუხედავად, დღეს სირიის არმია რეალურად ერთადერთი ლოკალური ძალაა, რომელსაც შეუძლია წარმატებით დაუპირისპირდეს „ისლამურ სახელმწიფოს“.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ქურთისტანის საკითხი. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ერაყის ქურთისტანი ადრე თუ გვიან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცევა, თუმცა დღეს მოვლენებში ჩართული ყველა სახელწიფო ოფიციალურ დონეზე თავს იკავებს ამ საკითხის მიმართ მკაფიო პოზიციის დაფიქსირებისაგან. შექმნილი ვითარება, ჩვენი აზრით, მართლაც შეიძლება მოვნათლოთ „დიდ თამაშად“ ახლო აღმოსავლეთში, როდესაც მოვლენებში ჩართული აქტორები არ თაკილობენ პოზიციების შეცვლას საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით. პოლიტიკური ვექტორების ცვლილებები კი არც მომავალში შეიძლება გამოვრიცხოთ ესოდენ პრობლემატურ რეგიონში.

დიდია იმის ალბათობა რომ უახლოეს დროში თურქეთ-აშშ-ს პოლიტიკური ურთიერთობები მხარეების მიერ ახლებურად გადაიხედოს. ვფიქრობ, რომ საერთაშორისო ურთიე-

რობათა თანამედროვე მკვლევართა შორის ორი ქვეყნის ურთიერთობების შესწავლის აქტუალობა უფრო გაიზრდება. თანდათან იკვეთება, რომ თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობების შეფასებისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე, რაც სამომავლოდ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების შესაძლო განვითარების სცენარს უფრო მეტად პროგნოზირებადს გახდის:

- უპირველეს ყოვლისა, ანკარასა და ვაშინგტონს შორის კრიზისული ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესება შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ პერსონათა აღმატებულმა ინტერესმა (უპირველესად ვგულისხმობს ოფიციალური ანკარის ზღვარგადასულ ინტერესს რელიგიური სწავლულის ფეთქულაჰ გიულენის მიმართ), რომელმაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტად შეიყვანოს ჩიხში ორი ქვეყნის არასახარბიელო დიპლომატიური ურთიერთობა;
- თურქეთის რესპუბლიკაში არსებული შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, საზოგადოების ბოლოდროინდელი თვალშისაცემი პოლარიზება და ორი ქვეყნის ქარიზამტული ლიდერების არაპროგნოზირებადმა და მოუძწიფებელმა განცხადებებმა შესაძლოა სამომავლოდ გამოიწვიოს ასევე არაპროგნოზირებადი პოლიტიკური ნაბიჯები როგორც ერთი ქვეყნის, ასევე მეორე ქვეყნის მხრიდან;
- ოფიციალური ანკარისათვის ქურთების პრობლემის ნეგატიური კუთხით განვითარებამ და თურქეთის მცდელობამ სირიაში ქურთული შეიარაღებული ფორმირებების განეიტრალების მცდელობამ შესაძლოა კიდევ უფრო გაართულოს ორ ქვეყანას შორის საერთო ინტერესების გამონახვის მექანიზმები რეგიონალური პოლიტიკის კუთხით;
- თურქეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის იძულებითი დაახლოება სირიაში წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვას: შეიძლება თუ არა თურქეთ-აშშ-ს გაუარესებულმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყოს სამომავ-

ვლოდ ანკარისა და მოსკოვის უფრო მეტად დაახლოებას? სწორედ ამ საკითხზე უნდა გაკეთდეს მნიშვნელოვანი აქცენტი ორი ქვეყნის ურთიერთობების ანალიზისას. მიმაჩნია, რომ თურქეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან და მისი მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ცალკე აღებული დამოუკიდებლად ამომწურავად უპასუხო და შეაფასო თურქეთ-რუსეთის ან ცალკე თურქეთ-აშშ-ს პოლიტიკური ურთიერთობები ზემოხსენებული რომელიმე სახელმწიფოს ინტერესების გაუთვალისწინებლად. სამომავლოდაც მიმაჩნია, რომ ზემოხსენებული სახელმწიფოების ინტერესები „აჩრდილივით“ გაყვება თითოეულის სამომავლო ნაბიჯებს, რამაც შესაძლოა მათი მხრიდან არაპროგნოზირებადი ნაბიჯები გამოიწვიოს. უპირველეს ყოვლისა, უახლოეს პერსპექტივაში ქურთების საკითხის განვითარების პარალელურად თურქეთი, რუსეთი და ამერიკა უფრო მეტ დისკომფორტს შეუქმნიან ერთმანეთს;

- თურქეთ-აშშ-ს პოლიტიკური ურთიერთობის გაუარესების ფონზე მიმაჩნია, რომ უახლოეს მომავალში შესაძლოა ოფიციალური ვაშინგტონის დღის წესრიგში დადგეს თურქეთის ნატოს სამხედრო ალიანსის წევრობის საკითხის გადახედვაც. მოვლენების შესაძლო ასეთი განვითარების შემთხვევაში, საინტერესო იქნება „ინჯირლიქის“ ავიაბაზის ბედი, თუ რა სტატუსი ექნება მას სამომავლოდ და რა პოზიციას დაიჭერს როგორც თურქეთ, ასევე რუსეთი და თავად პენტაგონი. მოვლენების ზემოხსენებული პროგნოზით განვითარების შემთხვევაში ფაქტია, რომ რუსეთისთვის ახალი ფანჯარა იხსნება ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, თურქეთი კი შესაძლოა საბოლოოდ გადაიქცეს დიქტატორული მმართველობის ქვეყნად აშკარად გამოკვეთილი პროდასავლური კურსი საპირისპირო მიმართულებით შეცვალოს, რასაც როგორც ისტორია გვიჩვენებს ამერიკელები მეგობრებს

დალატს არ პატიობენ, რაც შესაძლოა ერდოდანის ხელისუფლების დასრულებით დამთავრდეს.

§2. თურქეთის საგარეო პოლიტიკა რუსეთის ფედერაციასთან

თურქულ-რუსული ურთიერთობების საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის კონტექსტში, არამედ როგორც თურქეთის, ასევე რუსეთის მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების თვალსაზრისითაც. შავი ზღვის რეგიონში უპირველეს ყოვლისა კავკასიასა და ბალკანეთის ქვეყნებში სტაბილურობის უზრუნველყოფა რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების შექმნაზე დამოკიდებული[53]. თუმცა ამის საპირისპიროდ, 1990-იან წლებში თურქულ-რუსულ ურთიერთობებში არაერთხელ დაწყებულია კრიზისი და დაძაბულობა ისეთი მიზეზებით, როგორცაა: აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტი, 1994 წელს თურქეთის მიერ მომზადებული „სრუტეების შეთანხმების საკითხი“, თურქეთის მიერ ჩეჩენი სეპარატისტების მხარდაჭერა, კვიპროსის ბერძნული ნაწილის რუსული რაკეტებით (S-300) შეიარაღების მცდელობა, „ევროპაში კონვენციური ძალების შესახებ ხელშეკრულების“ (ACFE) დებულებებისადმი რუსეთის დაუმორჩილებლობა, თურქული შეიარაღებული ძალების მიერ ერაყში განხორციელებული ოპერაციები, რუსეთის მიდგომა PKK-ის მიმართ. გამოჩნდა, რომ ამ ორმხრივი უნდობლობის აღკვეთას ხელს უშლის სამი მნიშვნელოვანი ბარიერი: ორივე ქვეყნის საზოგადოებების ისტორიული მეხსიერების უარყოფითი ფაქტორები, მხარეთა დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების მიმართ და ორი ქვეყნის ძალით კორელაციაში ცვლილებები, რომელიც ზეგავლენას ახდენს ევრაზიაში ეროვნულ ინტერესებზე[54].

2004-2005 წლები თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში შესაძლებელია გარდატეხის ეტაპად მივიჩნიოთ.

2004 წლის დეკემბერს ვლადიმერ პუტინი თურქეთს ეწვია და იგი გახდა პირველი რუსი ლიდერი, რომელმაც თურქულ მიწაზე დადგა ფეხი. ამ ვიზიტის შემდეგ პუტინი და ერდოღანი 2005 წლის იანვარში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთის „პალატებისა და ბირჟების ასოციაციის“ (TOBB) ბიზნეს-ცენტრის გახსნაზე, ასევე 2005 წლის 9 მაისს მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებასთან დაკავშირებულ გამარჯვების ზეიმზე. 2005 წლის 17-18 ივლისს პუტინმა ერდოღანს სოჭში უმასპინძლა, რის შემდეგაც რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. სოჭში ვიზიტის შემდეგ ორი ლიდერი ერთმანეთს სხვადასხვა ფორუმზე შეხვდა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები განიხილა.

შევეცდები მოკლედ განვიხილო ახლო წარსულში რუსეთ-თურქეთს შორის არსებული პოლიტიკური ასპექტები, რათა უფრო ნათელი გახდეს ორ ქვეყანას შორის თანამედროვე ურთიერთობების რიგი პრობლემები.

უახლესი პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი.

1991 წლის 18 დეკემბერს ბელოვეჟის შეთანხმებით ოფიციალურად დაიშალა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სახელმწიფოს იურიდიული სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გახდა. ამ პერიოდში თურქეთში აქტიურდება ისეთი შინაარსის ლოზუნგები როგორებიცაა: „XXI საუკუნე იქნება თურქული საუკუნე“ და „თურქული სამყაროს შექმნა ადრიატიკიდან ჩინეთის დიდ კედლამდე“. თურქეთს დიდად არ აღაფრთოვანებდა რეგიონში რუსეთისა და ირანის ხელახალი გავლენის მოპოვების შესაძლებლობა. 1990-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიიდან ჯარების გაყვანის დაწყებამ თურქეთს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. შესაბამისად ანკარა ემხრობოდა იმ პოლიტიკას, რომ რამდენადაც შესაძლებელი იყო უპრობლემოდ წაშლილიყო საბჭოთა (რუსული) კვალი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. საბოლოოდ 1992

წლის აპრილ-მაისში პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირ-ელმა შუა აზიაში ვიზიტისას რეგიონის ქვეყნებს განუცხადა, რომ უმოკლეს ვადაში „რუბლის (სამანეთო) ზონიდან გამოსვლა“ მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. ეს აქამდე არნახული გამოწვევა იყო რეგიონში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ.

1992 წლის მაისში როდესაც აზერბაიჯანულ-სომხურმა კონფლიქტმა ნახჭევანში გადაინაცვალა თურქეთმა სომხეთის მიმართ აქამდე არსებული თავშეკავებული დამოკიდებულება ხისტი პოლიტიკით შეცვალა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიქმეთ ჩეთინმა სომხური მხარე კატეგორიულად გააფრთხილა, რომ თავდასხმების გაგარძელების შემთხვევაში საკადრის პასუხს მიიღებდნენ, პრეზიდენტმა ოზალმა კი ლაჩინისა და შუშის სასწრაფოდ აზერბაიჯანისთვის გადაცემა მოითხოვა, ამასთანავე, ნახჭევანში ჯარის გაგზავნის შესახებ განცხადებაც გააკეთა.

1992 წლის 20 მაისს, თურქეთის მთავრობის ამ რადიკალური ნაბიჯის პასუხად, დამოუკიდებელ წიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სამხედრო ძალების რუსი მეთაური - ი. შაპოშნიკოვი მესამე მსოფლიო ომის დაწყებით დაიმუქრა. რუსეთის მთავრობის ენლებმა ამასთან დაკავშირებით კომენტარებისგან თავი შეიკავეს. შედეგად, 1992 წლის 24-27 მაისს, პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი მოსკოვს ეწვია და რუსეთს გარანტია მისცა, რომ ნახჭევანში სამხედრო ძალას არ გამოიყენებდა[55]. ამ ვიზიტის დროს ხელი მოეწერა „შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპების“ შესახებ, რომელმაც თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობის იურიდიული საფუძველი განსაზღვრა[56].

ამ პერიოდში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა რუსეთსა და თურქეთს შორის „track two“ დიპლომატიის (დიპლომატიის მეორე მიმართულება - არაოფიციალური დიპლომატია) თვალსაზრისით. 1992 წლის 12-14 დეკემბერს, ანკარაში ჩატარდა

საერთაშორისო სიმპოზიუმი სახელწოდებით „500 წელი თურქულ-რუსულ ურთიერთობებში“. სიმპოზიუმის შემდეგ უარი ეთქვა მტრობის ისტორიას, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამ ხალხების დაპირისპირებას იწვევდა. შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელსაც დაევალა რუსეთ-თურქეთის ისტორიის ხელახლა შესწავლა და დაწერა[57].

1993 წლის მეორე ნახევარში, ყარაბაღის ომის პერიოდში (1992- 1994), რუსეთის ელჩმა აზერბაიჯანში ვ. შონიამ აღნიშნა, რომ „თურქეთი მიმართავს თურქულ ემპაკობას“ და საჭიროა მისი მკაცრად გაფრთხილება, რომ უარი ეთქვას კავკასიაში „უფროსი ძმის“ როლზე[58]. თურქეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა შემფოთებული მოსკოვი რუსეთის ფედერაციაში ვიზიტის დროს (1993 წლის სექტემბერი) გაკეთებული განცხადებით დაამშვიდა, რომ თურქეთი და რუსეთი რეგიონს უყურებენ ერთი და იმავე „ფანჯარიდან“. ამ ვიზიტის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკის, მაღალი ტექნოლოგიების ტრანსფერისა და ენერჯის გადაცემის საკითხებზე მომუშავე „თურქულ-რუსული ერთობლივი სამუშაო ჯგუფების“ შექმნის შესახებ[59].

1995 წლიდან რუსეთის პოლიტიკურ არენაზე ხელახლა გამოიკვეთა ნაციონალისტურ - პატრიოტული მისწრაფებები (ევრაზიელობა - Евразийство) და გამოჩნდნენ ძლიერი სახელმწიფოს მომხრეები (державник). ხოლო თურქეთის პოლიტიკურ სიბრტყეზე ისლამური კონსერვატორული აზროვნება იკიდებს ფეხს. ამ მდგომარეობამ გარკვეულწილად გავლენა იქონია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და მოკლე ხანში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ტენდენცია საკმაოდ შეასუსტა[60].

1997 წელს რუსეთის პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინის თურქეთში ვიზიტის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კვლავ დათბა. მხარეებმა ეკონომიკურ ინტერესებთან

და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ურთიერთპატივისცემის, კონკურენციის ნაცვლად თანამშრომლობის და ეჭვის ნაცვლად ნდობის პრინციპების განვითარებას მხარი დაუჭირეს[61].

1997 წლიდან 2000 წლამდე თურქეთმა შუა აზიის საკითხებში უკან დაიხია და მეტი კონცენტრირება კავკასიის რეგიონზე მოახდინა[62]. ზოგადად, ორი ქვეყნის ურთიერთობები 1999 წლამდე თავშეკავებული იყო. დამაბულობისა და კონკურენციის სტადია გეოპოლიტიკური გავლენის სფეროებსა და ორმხრივ ურთიერთობებში. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, მხარეებს შორის გრძელდებოდა გეოპოლიტიკურ გავლენის სფეროებზე კონკურენცია, მეორე მხრივ, უფრო ინტენსიური ხდებოდა ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესი. 1999 წლიდან, ვ. პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკმაყოფილება გამოხატა თურქეთის მიმართ, რომელიც ცდილობდა შუა აზიისა და კავკასიის რესპუბლიკებთან სერიოზული ურთიერთობების დამყარებას [63].

რუსეთის ინტერესებში მოქცეული „სტრატეგიული პარტნიორობა“.

1993 წელს გამოცხადებულ „ახლო საზღვარგარეთისა და ახალ სამხედრო დოქტრინაში“ რუსეთმა წინა პლანზე წამოსწია ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა; უფრო მეტიც, ცივი ომის შემდეგ პირობების შეცვლის შესახებ განაცხადა და უარი თქვა ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღების შემცირებაზე, რასაც „ევროპაში კონვენციური ძალების შესახებ ხელშეკრულება“ (ACFE) ითვალისწინებდა. იმან, რომ დოკუმენტში შესწორებები რუსული მხარის სურვილის შესაბამისად (1997 წლის მაისი) გაკეთდა, თურქეთის მთავრობა დიდად შეაშფოთა [64]. თავის მხრივ, რუსეთისთვის შემამშფოთებელი იყო თურქეთის სამხედრო მოწყობა და შავ ზღვაზე შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია. 1990-იანი წლების შემდეგ შავ ზღვაზე თურქეთის ფლოტს, რუსეთთან შედარებით, თითქმის ორმაგი

უპირატესობა ჰქონდა. მოსკოვს, ასევე, დისკომფორტს უქმნიდა ნატოს ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ძალის - თურქეთის არმიის მოდერნიზაციის საკითხი[65].

1998 წლის მაისში გენერალური შტაბის მეთაურის, არმიის გენერალ ი.პ. ქარადაის მოსკოვში ვიზიტი აღქმული იქნა, როგორც სტრატეგიული გაგებით მნიშვნელოვანი შანსი, რომელსაც ორი ქვეყნის ურთიერთობებში ცივ ომთან დაკავშირებული კლიშეები უნდა გაექრო[66]. ამავე დროს, თურქეთი გახდა ნატოს წევრი პირველი ქვეყანა, რომელმაც რუსეთისგან იარაღის შესყიდვა დაიწყო.

ჩეჩნებისა და ქურთების საკითხი თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაში.

1995 წლის იანვარში თურქეთიდან გაქცეულმა ორმა პარლამენტარმა ა. იგითმა და ნ. ბულდანმა მოსკოვს მიმართა „დევნილობაში ქურთული პარლამენტის“ საკითხის განსახილველად; ოფიციალურმა თურქეთმა არც ამ საკითხზე დააყოვნა რეაგირება. ამავე პერიოდში, რუსეთის ხელისუფლების ნებართვით, მოსკოვში „ქურთული სახლი“ გაიხსნა. მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. მენტეშე, რუსეთს ეწვია. ორდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ ხელი მოეწერა „ტერორიზმის პრევენციის ოქმს“, რომელიც თურქეთსა და რუსეთს შორის დაზვერვის სფეროში ინფორმაციის გაცვლას გულისხმობდა[67].

1998 წლის ოქტომბრის დასაწყისში რუსებმა „აპოს“ (აბდულა ოჯალანის ფსევდონიმი) სირიიდან, სტოკჰოლმის გავლით, რუსეთში ჩასვლის ნება დართეს. პრემიერ-მინისტრმა მ. ილმაზმა 11 ოქტომბერს ოფიციალურად განაცხადა, რომ ქურთ სეპარატისტთა ლიდერი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. რუსეთის ელჩი თურქეთში ა. ლებედევი საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს, რაც ამ უკანასკნელმა ოფიციალურად უარყო. 1998 წლის 27 ოქტომბერს თურქეთმა რუსეთს „მთა-

ვარი ტერორისტის თურქეთისთვის გადმოცემა“ მოსთხოვა. ამის პასუხად სეპარატისტთა ლიდერმა რუსეთს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართა, რაზეც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატამ - დუმამ თანხმობა განუცხადა. აპო იძულებული გახდა, რუსეთის საჰაერო გზების კუთვნილი თვითმფრინავით იტალიაში გამგზავრებულიყო. თურქეთის მთავრობის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შემდეგ, ოფიციალურმა იტალიამ აპოს კვლავ რუსეთში დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ ამჯერად მოსკოვმა მიღებაზე ცივი უარი განუცხადა.

1999 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც არც ერთი ქვეყანა არ დათანხმდა ტერორისტთა ლიდერისთვის თავშესაფრის მიცემას, „აპო“ ისევ რუსეთში დაბრუნდა, სადაც, თვითმფრინავიდან ჩასვლისთანავე, ათდღიანი ვადა მისცეს ქვეყნის ტერიტორიის დასატოვებლად. 29 იანვარს „აპო“ საბერძნეთში წავიდა, მაგრამ იძულებული გახდა, რომ ეს ქვეყანაც ერთ დღეში დაეტოვებინადა ისევ რუსეთისთვის მიემართა. რუსეთმა აპოს თვითმფრინავს დაშვების ნებართვა არ მისცა, რითაც ტერორისტთა ლიდერის რუსული თავგადასავალი დასრულდა[68].

აღსანიშნია, რომ განსაკუთრებით ჩეჩნეთის პირველი ომის (1994-1996) პერიოდში, თურქეთი კავკასიური წარმოშობის მოქალაქეებს ვერ აკონტროლებდა. ამ ფაქტმა დიდად შეაშფოთა რუსეთი[69]. უფრო მეტიც, რუსეთის ელჩმა ა. ჩერნიშევმა ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთი გააფრთხილა: „ის, ვინც მინის კედლებიან სახლში ცხოვრობს, მეზობლის ფანჯარას ქვას არ უნდა ესროდეს“[70]. სხვა მხრივ, ჩეჩნეთის მეორე ომის დროს (1999), ჩეჩნებისთვის ღია მხარდაჭერის თვალსაზრისით, თურქეთი უფრო ფრთხილობდა. ამ პერიოდში მასობრივი გამოსვლების რაოდენობა აშკარად შემცირდა.

1999 წლის 4-6 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა - ბ. ეჯე-
ვითმა მოსკოვში ვიზიტის დროს რუს მოხელეებს ამ საკით-
ხთან დაკავშირებით საკმარისი გარანტიები აღუთქვა[71].

ენერგეტიკის კუთხით არსებული თანამშრომლობა.

1990-იან წლებში თურქეთსა და რუსეთს შორის ბუნე-
ბრივ აირთან დაკავშირებით სამი შეთანხმება გაფორმდა;
საგულისხმოა, რომ ამ გზით თურქეთის ენერგეტიკული ბაზ-
რის თითქმის ორი მესამედი რუსეთის ხელში გადავიდა და
მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა უკან აზერბაიჯანული, თურქმე-
ნული და ყაზახური აირის საბადოები[72]. პირველ შეთან-
ხმებას ხელი მოეწერა 1996 წლის 10 დეკემბერს[73] და ითვა-
ლისწინებდა წელიწადში 8 მლრდ კუბ/მეტრი აირის შესყ-
იდვას. მეორე შეთანხმება 1998 წლის 18 თებერვალს „ტურ-
უსგაზთან“ დაიდო და იგი პირველის პარალელურად უნდა
განხორციელებულიყო.

1998 წლის 1 აპრილს თურქეთის დიდი ეროვნული კრ-
ების მიერ რატიფიცირებული მესამე შეთანხმება (რომელიც
ცნობილია „ცისფერი ნაკადის“ სახელით) დადებულ იქნა
„ბოტაშსა“ და „გაზექსპორტს“ შორის 25 წლის ვადით და
ითვალისწინებდა წელიწადში დაახლოებით 16 მლრდ კუბ/მე-
ტრი აირის მიწოდებას[74].

როდესაც „ცისფერი ნაკადის“ პროექტი სრული დატვი-
რთვით ამოქმედდება, თურქეთი რუსეთისგან ჯამში (ორივე
გაზსადენიდან) წელიწადში 30 მლრდ კუბმეტრ აირს შეისყ-
იდის. ვ. პუტინი „ცისფერი ნაკადის“ მეშვეობით აირის რაოდ-
ენობის გაზრდას ელოდა. რუსული მხარე აცხადებდა, რომ
პროექტით შესაძლებელია წელიწადში 16 მლრდ კუბმეტრი
აირის გატარება, მაგრამ 2004 წელს ტრანსპორტირებული იქნა
მხოლოდ 3,2 მლრდ, 2005 წელს 4,5 მლრდ და 2006 წელს 6
მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი[75]. ამავე დროს,
რუსეთი კონკურენტად მიიჩნევს ბაქო-თბილისი-ერზურუმის
გაზსადენს და ეს პროექტი, ისევე როგორც ბაქო-თბილისი-

ჯეიჰანის ნავთობსადენი მას დისკომფორტს უქმნის. ზოგადად მიგვაჩნია, რომ თურქეთს დიდად წაადგება ბირთვული ენერჯის სფეროში სამუშაოების დაჩქარება და ენერგეტიკის საკითხებზე არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთთან ერთად მოქმედება.

სრუტეების პრობლემა.

თურქეთის მთავრობამ, ეკოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით გადაწყვიტა, რომ შიდა რეგლამენტის შემოღების გზით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გემების მოძრაობა დაერეგულირებინა. რუსეთმა, რომელიც იმულებული გახდა, ხშირად გაეჩერებინა გემები, განაცხადა, რომ ამ ქმედებით თურქეთი „მონტრეს შეთანხმებას“ და საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევდა. ოფიციალურმა მოსკოვმა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში (IMO) თურქეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა დაიწყო. რუსეთი ამასაც არ დასჯერდა და თურქეთის ავიახაზებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეისებზე ციმბირის თავზე ფრენა შეუზღუდა. გარდა ამისა, რუსეთი თურქეთს ბუნებრივი აირის შეწყვეტითაც დაემუქრა; თურქეთის ავიახაზებმა კი რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით ჩარტერული რეისების გატარებისათვის ღირებულება დააწესა. მაგრამ მალე ეს პოლიტიკა შერბილდა. ახალი წესების შემოღების პროცესში კი ოფიციალურ ანკარასა და მოსკოვს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა[76].

თუ ადრე რუსეთი ატარებდა ხმელთაშუა ზღვაზე გასვლისკენ მიმართულ პოლიტიკას, დღეს იგი დსთ-ს სივრცესა და შავ ზღვაზე პოზიციის შენარჩუნებას ცდილობს. თანამედროვე რუსეთისთვის სრუტეები მნიშვნელოვანია ენერგორესურსების ტრანსფერის თვალსაზრისით. ამასთანავე, სრუტეები რუსეთისთვის ევროპაში ნავთობის ექსპორტის უმნიშვნელოვანეს გზას წარმოადგენს [77].

1993 წლის აგვისტოში თურქეთის საგარეო საქმეთა

მინისტრმა ჰ. ჩეთინმა საკმაოდ ფრთხილად სცადა, რომ გაზსადენების პროექტებში რუსეთი ჩაერთო და შესთავაზა შავი ზღვით სამსუნის ან ზონგულდაქის პორტებამდე ნავთობის ტრანსპორტირება; შემდეგ კი, ნავთობსადენების მეშვეობით, ხმელთაშუა ზღვამდე მისი გადაზიდვა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს თურქეთი აღიარებდა, რომ რეგიონში ნავთობსადენების ონკანები (სათავებები) რუსეთის ხელში იყო[78].

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

1996 წლამდე თურქეთსა და რუსეთს შედარებით უპრობლემო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ, ამ პერიოდში ორივე ქვეყნის ეკონომიკური პროცესები ისეთი საერთო უარყოფითი მაჩვენებლებით ხასიათდება: ეკონომიკური ზრდის შეჩერება და უკუსვლა, გაზრდილი საგარეო ვალები, ფინანსური კრიზისები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, შემოსავლის განაწილებაში არასტაბილურობა, პრივატიზაციის პროცესის ზეწოლა და სხვ. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ტურიზმისა და სამშენელო სექტორები ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში ლოკომოტივის როლს ასრულებდა [79].

ამ პერიოდში რუსეთს მუდმივად ესაჭიროებოდა საგარეო დაფინანსება. აქედან გამომდინარე, 1989-1999 წლებში „თურქ-ექსიმბანკმა“ მას ოთხი კრედიტი გაუხსნა. 1998 წლის აგვისტოში ეკონომიკური (ფინანსური) კრიზისის გამო რუსეთმა ვალების გადავადება მოითხოვა[80]. გარდა ამისა, 1992 წლის 14 მაისს, თურქეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებული შეთანხმებით, შეიქმნა შერეული ეკონომიკური კომისია (KEK), რომელიც დღემდე პერიოდულად იკრიბება. ასეთი ტიპის მექანიზმების არსებობას ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებაში კონკრეტული წვლილი შეაქვს.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთში შემცირდა საფეიქრო პროდუქციის წარმოება. წვრილი ვაჭრები,

რომლებსაც „მეშოჩნიკებს“ (мешочник) უწოდებენ, თურქული ტექსტილით ამარაგებდნენ რუსეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს[81], მაგრამ 1995 წლიდან ორ ქვეყანას შორის ინდივიდუალური ვაჭრობის მოცულობა სერიოზულად შემცირდა[82].

1997 წლის 15 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ. ჩერნომირდინის ანკარაში ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებას“, „ინვესტიციების ორმხრივი წახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმებას“ და „ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის ჩარჩოხელშეკრულებას“ (ცისფერი ნაკადი)[83].

2008 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა 35 მლრდ დოლარს მიაღწია. სავაჭრო ურთიერთობებში შეინიშნება დისბალანსი თურქეთის საწინააღმდეგოდ. თუმცა, თურქეთი ყველა შეხვედრაზე ამ დისბალანსის საკითხს დღის წესრიგში აყენებს, რუსი მოხელეები მიიჩნევენ, რომ იგი გათანაბრებულია სამშენებლო სექტორისა და ტურიზმის მეშვეობით.

თანამშრომლობა სამხედრო სფეროს მიმართულებით.

რუსეთსა და თურქეთს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობებს დიდი ისტორია აქვს. 2008 წლიდან ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით პროგრესი შეინიშნება. 2008 წლის აპრილში რუსულმა კომპანიამ „რუსობორონ ექსპორტმა“ თურქეთის შეიარაღებული ძალებისთვის ტანკსაწინააღმდეგო და სარაკეტო სისტემების მიწოდების საკითხზე გამოცხადებული ტენდერი მოიგო. ერთი მხრივ, რუსეთი სამხედრო ტექნოლოგიების სფეროში თურქეთთან თანამშრომლობის გზას დაადგა, მეორე მხრივ კი იარაღის ბაზარზე შეერთებულ შტატებთან კონკურენციაში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

2008 წლის 23 ივნისს რუსეთის საზღვაო ძალების სარდლის ადმირალ ვლადიმერ ვისოცკის თურქეთში ვიზიტისას კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის სამხედრო ურთიერთობების განვითარების საკითხს. შეხვედ-

რებზე მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს რუსი და თურქი მეზღვაურების მოქმედებების კოორდინაციისა და შავ ზღვაზე მათი ერთობლივი საქმიანობის ფორმებისა და მიმართულებების გაზრდის, რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის განვითარების საკითხებზე [84].

თურქეთისა და რუსეთის მიერ სამხედრო სფეროში ურთიერთობების განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევა რუსულ-თურქულ ურთიერთობებს ახალ სიბრტყეში გადაიყვანს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არის ნატოს პირველი ქვეყანა, რომელიც თანამშრომლობს რუსეთთან, შესაძლებელია ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ამ სფეროში ურთიერთობები ბევრად ჩამორჩება რეალურ პოტენციალს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადება: „ნუ ვიტყვით, რომ თურქული არმიის მიერ ნატოს სტანდარტების მიღებით აშშ-სა და სხვა დასავლური ქვეყნების გამოცხადებული მკაცრი კონკურენცია ზღუდავს ჩვენს სამხედრო თანამშრომლობას. უნდა ვალიართ ისიც, რომ თურქეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში ამ ქვეყნების მიმართ გარკვეული სიმპატიაც არსებობს“ [85].

რუსეთ - თურქეთის ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმის კუთხით.

ორმხრივ შეხვედრებზე დღის წესრიგში მუდმივად იდგა ჩეჩნეთის საკითხი და PKK-ს პრობლემა. ბოლო დრომდე ეს საკითხი ურთიერთობებს გარკვეულ ჩრდილს აყენებდა. მართლაც, იმ ქვეყანათა შორის, რომლებიც ტერორიზმისგან დაზარალებდნენ, თურქეთი და რუსეთი პირველ ადგილზეა. პუტინის მიერ თურქეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ რუსეთში საუბარი დაიწყო იმის შესახებ, რომ საჭიროა ტერორისტთა სიაში PKK-ს შეყვანა [86].

რუსი სპეციალისტები აცხადებდნენ, რომ ამ ორგანიზაციებს კავშირი აქვთ PKK-სთან, მაგრამ კრემლი ყოველთვის

ითვალისწინებდა ქურთთა ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში, მოერიდა ამ ორგანიზაციების აკრძალვას და ქურთებთან ურთიერთობების გაფუჭებას. მეორე მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორის - თურქეთის მიერ ამ საკითხზე ზეწოლა რუსეთს არჩევანის გაკეთებას აიძულებს. ამასთანავე, რუსეთმა 2007 წელს გამოქვეყნებულ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში არ შეიყვანა PKK. რუსი ოფიციალური პირების განმარტებით, მათ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანეს მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ რუსეთში საქმიანობენ და საფრთხეს უქმნიან რუსეთის ინტერესებს[87].

„სომეხთა გენოციდის“ საკითხი.

სომხეთის შემდეგ სომეხთა ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთში ცხოვრობს. შესაბამისად, რუსეთში სომხური ლობი ძალიან ძლიერია. სომეხებმა, რომლებსაც რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ, ეს საკითხი რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატაში - დუმაში გაიტანეს და 1995 და 2000 წლებში უზრუნველყვეს გადაწყვეტილებების მიღება სომეხთა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, რუსეთი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია თურქეთთან ურთიერთობა, სომეხთა ზეწოლას აღარ დაემორჩილა და აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგი წავიდა. სომხეთი კი ინტერესით ადევნებს თვალს რუსულ-თურქულ ურთიერთობებს, რომელიც დღითიდღე ვითარდება, უფრო მეტიც, ფიქრობს, რომ მოსკოვს შეუძლია თურქეთსა და სომხეთს შორის ურთოვერთობეთა გაუმჯობესებაში შუამავლის როლი შეასრულოს.

რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობები კვიპროსის საკითხთან მიმართებაში.

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში კვიპროსის საკითხს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 2004 წლის აპრილში გაეროს უშიშროების საბჭოში კვიპროსის საკითხზე ჩატარებულ კენჭისყრაში რუსეთის მიერ ვეტოს უფლების გამოყენება აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია რუსეთს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა მოტივით გამოიყენა რუსეთმა ვეტოს უფლება. რუსეთმა ეს ფაქტი ახსნა იმით, რომ რეფერენდუმამდე მხარეებზე არ მოეხდინა ზეგავლენა, ამავე დროს, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ვეტო გამოყენებული იქნა რუსეთის მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის გამო. ამავე დროს რუსეთის ეს ნაბიჯი ბერძნული ნაწილისთვის მხარდაჭერად შეიძლება შეფასდეს[88].

2004 წელს სტამბოლში ჩატარებული ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების 31-ე სამიტზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვისა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ მეჰმეთ ალი თალათს შორის შეხვედრა პირველი და ბოლო შეხვედრა აღმოჩნდა მოსკოვსა და ჩრდილოეთ კვიპროსს შორის უშუალო კავშირის დამყარების თვალსაზრისით. თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე მიუხედავად იმისა, რომ კავკასიასა და შუა აზიას რუსეთსა და თურქეთს შორის კონკურენციის არეალად მიიჩნევენ, მრავალ საერთაშორისო პრობლემასთან დაკავშირებით ორივე ქვეყანას მსგავსი მიდგომა აქვს; 2005 წლის ივლისში რ.ერდოღანისა და ვ.პუტინის შეხვედრაზე რ. ერდოღანმა განაცხადა, რომ: „მსოფლიოში სტაბილურობის დაცვასთან და რეგიონში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულებები მთლიანად ემთხვევა“[89]. რუსეთმა მხარი დაუჭირა ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას, ხოლო თურქეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციაში რუსეთის დამკვირვებლის სტატუსით მიღ-

ების პროცესში. პაკისტანი შეაშფოთა ამ ორგანიზაციაში რუსეთის მსგავსად ინდოეთის გაწევრიანების შესაძლებლობამ და ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციაში რუსეთის, თუნდაც დამკვირვებლის სტატუსით, გაწევრიანების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ თურქეთის ძალისხმევით რუსეთმა დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა. ამავე სახით თურქეთმა მხარი დაუჭირა რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. თურქეთის მსგავსად რუსეთიც ერაყში, ირანში, სირიასა და მსგავს ქვეყნებში არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა. მეორე მხრივ, ორივე ქვეყანა მზად არის, შეასრულოს ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

რუსეთისა და თურქეთის პოზიციები ემთხვევა ნატოს მიერ შავი ზღვის გაკონტროლებასთან დაკავშირებულ საკითხშიც. თურქეთი მონტრეს კონვენციის შეცვლის წინააღმდეგია, ხოლო რუსეთს არ სურს, დაუმვას ნატოს ძალების შავ ზღვაზე ექსპანსია[90].

2003 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ აშშ-ის სამხედრო ძალებს არ დართო ნება, მოეხდინათ ერაყში შეჭრა ჩრდილოეთიდან. ამ ფაქტმა პოლიტიკურ სფეროში რუსეთისა და თურქეთის დაახლოვებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. მეორე მხრივ, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებითა[91] და შეერთებული შტატების მიერ „დემოკრატიის გავრცელების“ კონტექსტში ფერადი რევოლუციებისადმი მხარდაჭერი[92] რუსეთმა თავი ალყაში მოქცეულად მიიჩნია. აშშ-ის მიერ ერაყის საკითხსა და რეგიონში გავლენის გაზრდისადმი მიმართულ მცდელობებში თურქეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობამ შეცვალა თურქეთის მიდგომა აშშ-ის პოლიტიკის მიმართ.

რუსეთი და თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი.

რუსეთი დიდი ინტერესით აკვირდება თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს. როდესაც ევროკავშირმა განაცხადა თურქეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რუსულ პრესაში გაჩნდა სტატიები, სათაურით „მშვიდობით, თურქეთო“, მიუხედავად ამისა, ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ მოსკოვი არ არის ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების წინააღმდეგი. რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ევგენი პრიმაკოვის თქმით, რუსეთი ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით თურქეთისთვის ხელის შეშლის ნაცვლად, უნდა შეეცადოს თურქეთთან არსებული პრობლემების ამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებამდე მოგვარებას[93]. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის თურქეთში გაწევრიანება ეკონომიკური თვალსაზრისით შესაძლებელია წამგებიანი აღმოჩნდეს რუსეთისთვის, რადგანაც ევროკავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად, თურქეთმა შესაძლებელია მოითხოვოს რუსეთისგან ენერჯიაზე ფასების დაკლება.

არსებობს პოლიტიკური მიზეზებიც: რუსეთი ბალტიის ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ თურქეთის მხრიდანაც ევროკავშირის მეზობელი გახდება. ამასთანავე ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რუსეთი შეეჩეხოს სრუტეების პრობლემის ახალ განზომილებას. რუსეთისთვის თურქეთის გაწევრიანების ყველაზე უარყოფით მხარეს კი უკრაინისთვის გაწევრიანების შანსების გაზრდა წარმოადგენს, რადგანაც ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით თურქეთსა და უკრაინას მსგავსი პრობლემები აქვთ. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რუსეთი, მინიმუმ ოფიციალურ დონეზე, არ გამოდის ევროკავშირში თურქეთის წინააღმდეგ, მეტიც, იგი თურქეთს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობების განვითარებაში შუამავლად მიიჩნევს.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები „ევრაზიული კავშირის“ ირგვლივ.

ბოლო წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები მაინც დინამიკურად ვითარდება. ამ მიდგომის ადგილი თურქეთის პალატებისა და ბირჟების ასოციაციის პრეზიდენტის რიფათ ჰისარჯიქლიოღლუს შემდეგმა განცხადებამ დაიკავა: „დღეს აღარ დარჩა თურქულ-რუსული ურთიერთობების შემზღვეველი აღარანაირი ბარიერი, როგორც ეს იყო ცივი ომის პერიოდში. თურქეთსა და რუსეთს შეუძლია მიაღწიოს ისეთივე წარმატებას, როგორც ეს წარსულში შეძლეს გერმანიამ და საფრანგეთმა“[94]. განვითარებულმა სავაჭრო და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დაახლოებაც უზრუნველყო. რუსეთში სამუშაოდ ჩასულმა თურქმა მუშებმა და თურქეთში ჩამოსულმა რუსმა ტურისტებმა დიდი როლი შეასრულეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის ერთმანეთის „აღქმის“ პრობლემის მოგვარებაში. მოსკოვში მოქმედი რუს და თურქ ბიზნესმენტა ასოციაცია და თურქულ-რუსული ბიზნეს-საბჭო, ასევე სტამბოლში მოქმედი თურქულ-ევრაზიული ბიზნეს-საბჭო და რუსულ-თურქული კვლევების ცენტრი, როგორც რუსული, ასევე თურქული მედია მხარს უჭერს რუსულ-თურქული ურთიერთობების განვითარებას. რეგიონული და გლობალური პროცესები თურქეთს „დიდ ჩრდილოელ მეზობლად“ წოდებულ რუსეთთან აახლოებს. ამასთანავე, ეს დაახლოება არც იმდენად მჭიდროა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში პრობლემების წარმოქმნისას თურქეთმა რუსეთთან ერთად ევრაზიული კავშირის შექმნაზე იფიქროს.

რუსული ბომბდამშენი „სუ-24“ - დიპლომატიური ურთიერთობის მოკლევადიანი კრიზისი.

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს სირიისკენ მიმავალი რუსული ბომბდამშენი სუ-24. ამ ტრაგიკულმა ინციდენტმა რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობები თავდაყირა დააყენა. იმას რასაც მხარეები გუშინ სტრატეგიულ ურთიერთობებს

ემახდნენ წარსულს ჩაბარდა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ჩიხში შევიდა.

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე მკვლევართათვის ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემა სწორედ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება გახდა. პოლიტიკური მიმომხილველები ზემოხსენებული თემით დაინტერესებულ მკითხველებს სხვადასხვა ვარიანტებს სთავაზობენ.

ამერიკული კვლევითი ცენტრები ეჭვის თვალით უყურებენ იმ ფაქტს, რომ ნატომ არ გამოხატა ღია მხარდაჭერა სამხედრო ალიანსის წევრი ქვეყნის მიმართ. რუსი და თურქი მიმომხილველები კი თავის მხვრივ „მშობლიური კრემლის“ ინტერესებს ატარებენ. პირველი უთანხმოება რუსეთ-თურქეთს შორის წარმოჩინდა ახლო აღმოსავლეთში, ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ დასაწყისში. ორივე სახელმწიფოს ლიდერები ცდილობდნენ არ დაეშვათ, რომ ეს წინააღმდეგობა ასახულიყო ორმხრივ თანამშრომლობაზე და გარკვეული წლების შემდეგ ეს მათ მიაღწიეს.

2013 წლის ბოლოს როცა რუსების გამოისობით უკრაინაში კრიზისი განვითარდა, რის შედეგადაც რუსეთმა ყირიმი „შეიერთა“ (რუსული ანალიტიკური წყაროები ოკუპაციის ნაცვლად იყენებენ შეერთებას), თურქეთის რეაქცია იყო ადეკვატური, მაგრამ მაშინ თურქეთის ხელისუფლებამ აქცენტი გააკეთა ყირიმელ თათრებზე. ამის გარდა თურქეთი არ შეუერთდა დასავლეთის მიერ შემუშავებულ ანტირუსულ სანქციებს. ამით ანკარამ ხაზი გაუსვა რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

2014 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ვიზიტით ეწვია თურქეთს, ამ ვიზიტის დროს შემუშავებულ იქნა პროექტი „თურქული სტრატეგია“, რაც სიმბოლო გახდა ორ ქვეყანაში შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა.

მაგრამ 2015 წლის ზაფხულიდან უკვე გამოჩნდა დამაბულობის ნიშნები რუსეთ-თურქეთს შორის, რაც დაკავშირებული იყო ანკარის უკმაყოფილებით სირიის კრიზისში რუსეთის ჩართულობის გამო.

წინააღმდეგობები გამოჩნდა ასევე ენერგეტიკულ სფეროშიც: თურქულმა მხარემ დაადანაშაულა რუსეთი გაზის დაპირებული 10,25%-იანი შეღავათით მიწოდების არ შესრულებაზე. თავის მხვრივ კი რუსეთის მხარემ ეს ბრალდება დაასაბუთა თურქეთთან წინა წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. ოფიციალური ანკარა კი მიიჩნევდა რომ სტრატეგიული ხელშეკრულება და გაზის იმპორტი საერთოდ არ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ამის შედეგად თურქულმა ენერგოკომპანია - „ბოტაშმა“, რომელიც დაკავებული იყო ამ პროექტის რეალიზაციით, რუსული ნავთობ-მაგნატის „გაზპრომის“ საწინააღმდეგოდ შეიტანა საჩივარი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში.

სირიაში რუსეთის სამხედრო საჰაერო ოპერაციების დაწყების შემდეგ, ანკარის და მოსკოვის ურთიერთობები უფრო დაიძაბა. ჟენევაში და ვენაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციები სირიის პრობლემის გადასაწყვეტად უკვე აღარ პასუხობდა თურქეთის ინტერესებს. სავარაუდოა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. ამის პარალელურად, რუსეთის ავიაციამ საჰაერო დარტყმები მიაყენა სირიაში ასადის რეჟიმის ოპოზიციური დაჯგუფებებს, რომლებიც სამხედრო მხარდაჭერას იღებდნენ თურქეთიდან, საუდის არაბეთიდან და ყატარიდან. თავისი პროტესტების დაღუპვის შედეგად ოფიციალურმა ანკარამ დანაკარგი განიცადა. თურქეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უფრო მეტ უმაყოფილებას იწვევდა რუსეთის ფედერაციისა და სირიელი ქურთების თანამშრომლობის ფაქტი.

ამის მიუხედავად ანკარას სურდა მოსკოვთან დიალოგის გაგრძელება, რათა დაერწმუნებინა კრემლი, რომ ბაშარ

ასადი უნდა წასულიყო, მაგრამ „დიდი ოცეულის“ ანტალიის სამიტის მიმდინარეობისას ზემოხსენებულთან დაკავშირებით ერდოღანსა და პუტინს შორის საუბარი არ შედგა.

ანტალიაში გამართული „დიდი ოცეულის“ სამიტის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო: ამ შეხვედრას უნდა დაეახლოებინა რუსეთ-თურქეთის პოზიციები სირიის კრიზისთან დაკავშირებით. ამასთანავე, ამ სამიტის შემდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაიწყეს იმ რაიონების დაბომბვა, სადაც დასახლებულნი იყვნენ თურქმენები, რომლებიც თურქეთში მცხოვრები ხალხის მონათესავეებად ითვლებოდნენ. ამ ნაბიჯმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც თურქეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ასევე თურქულ საზოგადოებაში. რუსეთს არ გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ სირიელი თურქმენები ისეთივე მნიშვნელოვანი იყვნენ თურქული მხარისათვის, როგორც რუსი მოსახლეობა ყირიმში და უკრაინაში.

თურქი პოლიტიკური მიმომხილველების წრეში რუსული სამხედრო ავიაციის ეს მოქმედება დახასიათებული იყო როგორც წინააღმდეგობა, რომ ანკარა არ გამხდარიყო ლიდერი თურქულ სამყაროში.

2015 წლის 24 ნოემბერს, როდესაც თურქეთის საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო რუსული ბომბდამშენი სუ-24, „ანკარამ“ განაცხადა, რომ ეს არ იყო მიჩნეული, როგორც რუსული სამხედრო თვითმფრინავი, ვინაიდან სირიაშიც ჰყავთ რუსული თვითმფრინავები, პილოტი კი კავშირზე არ გამოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს სირიის არმიამ ჩამოაგდო თურქული სამხედრო გამანადგურებელი, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული თურქეთი ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს სირიაზე საპასუხოდ. ამის გარდა, „ანკარამ“ 2012 წელს განაცხადა, რომ ნებისმიერი ობიექტი, რომელიც 30 მილის მანძილზე მიუახლოვდებოდა თურქეთის საჰაერო საზღვარს, აღიქმება პოტენციურ საფრ-

თხედ. ანალოგიური რეაქცია იყო ოფიციალური ანკარის მხრიდან რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების დროსაც, რაზეც პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა: „ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ ეს იყო რუსული თვითმფრინავი, ჩვენ სხვა რეაქცია გვექნებოდა“.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა მწუხარება გამოთქვა რუსი პილოტის დაღუპვის თაობაზე, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი ოფიციალურ ბოდიშს არ მოიხდიდა. თავის მხვრივ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ აღნიშნა, რომ: „იმის მცდელობა, რომ თურქეთს დაბრალდეს კრიზისი რუსეთის ფედერაციასა და თურქეთს შორის, არ იქნება სწორი როგორც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ასევე კეთილმეზობლური ურთიერთობების ფონზე. ეხლა თუ დავიწყებთ უკვე მომხდარ ფაქტზე დამნაშავის ძებნას, იმ ქვეყნიდან უნდა დავიწყოთ, რომელმაც რამდენჯერმე დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე. უკანასკნელი განცხადებები რუსეთის მხრიდან არ შეიძლება მიღებულ იქნეს კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილის მქონე ქვეყნის განცხადებად.“

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ოფიციალური თურქეთის მხრიდან რუსეთის ფედერაცია 2015 წლის 24 ნოემბრამდე ოფიციალურად ოთხჯერ იქნა გაფრთხილებული თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტების შესახებ. აგრეთვე ანკარა შეშფოთებული იყო თურქმენების პრობლემით. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოიძახა რუსეთის ელჩი, რომელსაც გადასცა ანკარის შეშფოთება რუსეთის სამხედრო ავიაციის მხრიდან თურქმენეთის სოფლების დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით.

ცხადია, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები სირიის კრიზისთან დაკავშირებით დღემდე იმდენად სერიოზულია, რომ კომპრომისის მიღწევა ვერ ხერხდება. ოფიციალური ანკარა ამართლებს რა თავის

მოქმედებებს საზღვრების დაცვის აუცილებლობით, თურქეთი დღემდე უარს ამბობს ბოდიშის მოხდაზე და კომპენსაციის გადახდაზე რუსეთისათვის, თუნდაც იქამდე სანამ არ იქნება დადებული 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტთან დაკავშირებით სპეციალური კომიის მიერ გამოტანილი დასკვნა.

რუსეთის კრიტერიუმები:

- ოფიციალური ბოდიშის მოხდა ანკარის მხრიდან;
- დამნაშავეების დასჯა;
- კომპენსაციის გადახდა.

ეს კრიტერიუმები წაუყენა რუსეთის ფედერაციამ თურქულ მხარეს და რამოდენიმე დღე დაელოდა ოფიციალური ანკარის განცხადებებს. სანამ რუსეთის ფედერაცია თურქული მხარის წინააღმდეგ სანქციებს ამზადებდა, თურქეთმა აშშ-ის თავდაცვის მდივანს ეშტონ კარტერს უმასპინძლა, რომელმაც თურქეთის მთავრობის წევრებთან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი განიხილეს. ეს ფაქტი სირიის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ „კრემლისთვის“ „ჭრილობაზე მარილის დამატების“ ტოლფასი იყო.

როგორც უკვე ავლნიშნეთ, მიღებული ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობის შეზღუდვის სანქციები დაწესდა 2015 წლის 10 დეკემბრის შემდეგ გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. აქედან გამომდინარე, 2015 წლის 15 დეკემბერს, თურქეთის პორტებში 27 რუსული დროშის ქვეშ მცურავი ხომალდი იქნა დაკავებული, რომელაც რუსულ მხარეს დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი მიაყენა. „ანკარის“ საპასუხოდ ოფიციალურმა მოსკოვმა, თურქული დროშით მცურავი 8 გემი დააკავა. საერთაშორისო ურთიერთობების მიმომხილველი თანამედროვე პოლიტიკოსები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას XXI საუკუნის „ახალ ცივ ომად“ მოიხსენიებენ, რაც შესაძლებელია სავსებით არ იყოს აზრს მოკლ-

ებული, ამას დრო გვიჩვენებს, რომელიც ყველა პოლიტიკურ პროცესს ადრე თუ გვიან საკუთარ სახელს არქმევს.

მოსკოვის პოზიცია:

პუტინის განცხადება 2015 წლის 24 ნოემბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გაისმა შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, როცა რუსეთის პრეზიდენტი მივიდა იორდანის მეფესთან - აბდალა მეორე ბენალ ჰუსეინთან ერთად სოჭის რეზიდენციაში. რუსეთის პრეზიდენტმა მყისიერად გადაიტანა სახელმწიფო საბჭოს თათბირი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო პერმში 24 ნოემბერს. ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობდნენ, რომ რუსეთი ანკარის წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებებს მიმართავდა, მაგრამ პუტინმა არ გააკეთა მიზანმიმართული განცხადებები და რეაგირებისთვის საკითხის შესწავლა შესაბამის უფლებამოსილ უწყებებს დაავალა, ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს (რომელშიც შედის რუსული სპეც.სამსახურების ელიტარული ნაწილი - რუსეთის სამხედრო საგარეო დაზვერვა, ე.წ. გრუ). არ შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ პუტინის გამოსვლამ პასუხი გასცა ყველა შეკითხვას (თავდაცვის სამინისტროს სათანადო დასკვნის არარსებობის დროს ეს არც იყო მოსალოდნელი), მაგრამ კრემლის პოზიციაში გამოჩნდა, რომ ეს მოქმედება კვალიფიცირდება როგორც „თურქეთის რესპუბლიკის მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ განხორციელებული აგრესიის აქტი.“ ვ. პუტინმა განაცხადა: „ჩვენი თვითმფრინავი ჩამოგდებული იქნა სირიის ტერიტორიაზე, რომელიც თურქეთის საჰაერო საზღვრიდან 4 კმ-თი იყო დაშორებული“. პრეზიდენტმა გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის თვითმფრინავი და პილოტი არანაირად არ უქმნიდა საფრთხეს თურქეთის რესპუბლიკას. მან, ფაქტობრივად, თურქული მხარე დაადანაშაულა ტერორისტებთან თანამშრომლობაში, და ყველაზე მთავარი (ეს ძალიან ცოტამ თუ შენიშნა), იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ ეს მოვლენები ცდებოდა ტე-

რორიზმთან ბრძოლის საზღვრებს. ასევე რუსეთის პრეზიდენტისა და იორდანის მეფეს შორის შეხვედრისას აღნიშნულ იქნა, რომ „თურქეთის ტერიტორიაზე გადის დიდი რაოდენობით ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომელიც მიედინება ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიიდან, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ ვ. პუტინმა ზემოაღნიშნული განცხადებით თურქეთის რესპუბლიკა დაადასაშაულა ტერორიზმთან თანამშრომლობაში და „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსებაში.

ყველა ზემოთ მოყვანილი თეზისი, შეიძლება განვიხილოთ როგორც კრემლის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებად თურქეთის რესპუბლიკის მიმართ. გართულებული დიპლომატიის ე.წ. „პირველი მერცხალი“ უკვე გამოჩნდა: რუსეთის ფედერაციის საგარეო სქმეთა სამინისტრომ მოუწოდა თავის მოქალაქეებს თავი შეიკავონ თურქეთში მოგზაურობისგან. 2016 წლის იანვარში თურქეთში მომხდარი ორი ტერორისტული აქტის შემდეგ (რა დროსაც სამიზნედ ტერორისტების მიერ შერჩეულ იქნენ ტურისტული ჯგუფები და თურქეთში დასასვენებლად ჩასული მოქალაქეები) რუსეთი ქვეყანაში აქტიურ პროპაგანდას ეწევა თურქეთის არასაიმედო და ნაკლებად უსაფრთხო ტურისტული რეგიონის ხატის შესაქმნელად.

ანკარის პოზიცია:

ოფიციალური ანკარის პოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო უფრო სუსტი აღმოჩნდა. თურქეთმა დაიკავა თავდაცვითი პოზიცია და თავისი ოფიციალური ქცევებით გარკვევით მიაჩნა „თავდაცვითი ხაზის“ არჩევისკენ ზემოაღნიშნულ კონფლიქტში. ინციდენტის მოხდენისთანავე (და ამას ყურადღება მიაქციეს კრემლშიც) თურქმა ჩინოვნიკებმა პირველ რიგში კონსულტაციები გამართეს ნატო-ს წარმომადგენლებთან და სრული იგნორირება გაუკეთეს კონფლიქტის რუსეთთან ერთად ორმხრივ ფორმატში განხილვას. რუსეთის

ფედერაციის სამხედრო უწყების ოფიციალური განცხადების თანახმად, კონფლიქტთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. მოგვიანებით თურქეთმა მიმართა საერთაშორისო სასამართლოს თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევასთან დაკავშირებით. ოფიციალურმა ანკარამ გამოაქვეყნა ასევე რუსული ბომბდამშენის ფრენის და გადაადგილების საჰაერო სქემაც. რუსი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ რუსულმა ბომბდამშენმა გადაიფრინა თურქეთის პატარა ტერიტორიის თავზე (ირონიულად იხსენიებენ როგორც „აპენდიციტი“), რომელიც შეჭრილია სირიის ტერიტორიასთან.

თურქეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რუსი პილოტი გაფრთხილებულ იქნა 5 წუთის განმავლობაში 10-ჯერ, რაზეც თურქეთის სამხედრო უწყების მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად პასუხი ვერ მიიღეს, რის შემდეგაც რუსული ბომბდამშენის მიმართულებით მოხდა რაკეტის გაშვება, რამაც ის ჩამოაგდო.

რუსი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ თურქული ანტისარაკეტო პილოტის „ფ-16“-ის სიჩქარის გათვალისწინებით, რაკეტა მიზანს მიაღწევდა სირიის ტერიტორიაზეც და რუსულ რაკეტას იქაც განადგურება ეწერა. მათ ასევე გაუგებრად მიაჩნიათ, თუ რომელ 5 წუთზეა საუბარი მაშინ, როცა წამებში შეიძლებოდა თურქეთის იმ პატარა მონაკვეთის გადალახვა და სირიაში გადასვლა. რუსულმა მხარემ გაიხსენა ის ფაქტი, რომ 2012 წელს, როცა სირიაში ჩამოგდებულ იქნენ თურქული ბომბდამშენები, ერდოღანმა განაცხადა, რომ „მოკლევადიანი საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტი არ შეიძლება იყოს სამხედრო შეტევის განხორციელების მიზეზი“. რუსული მხარე თურქეთის პრეზიდენტს პოზიციების სათავისოდ და საექვოდ შეცვლაში ადანაშაულებს.

ინციდენტის გამომწვევი მიზეზები რუსეთის თვალთ:

რადგან თურქეთის ოფიციალური პირების მხრიდან არ იყო მიღებული დამაჯერებელი პასუხები, ამიტომ უნდა ვივა-

რაუდოთ რა ამოდრავებდა ანკარას ამ გადაწყვეტილების მიღებისას:

- ერთი დღით ადრე თურქულ ღია წყაროებში უკვე დაიწყო წინმსწრები ანტირუსული ისტერია;
- სირიის ტერიტორიიდან თურქეთისკენ მიმავალი ნავთობის ტრანზიტი განადგურებულ იქნა რუსული სამხედრო შენაერთების მიერ, რომლებიც ანტიტერორისტულ ღონისძიებებში არიან ჩართულნი;
- თურქეთში დაგეგმილი ანტალიის სამიტის წინ თურქეთს სურდა რუსეთის როლის საერთაშორისო ასპარეზზე დაკნინება;
- თურქეთი გაღიზიანებულია სირიაში რუსეთის მიერ სამხედრო მოქმედებების ჩატარებით და ასადის რეჟიმზე სოლიდარობის გამოცხადებაზე უკმაყოფილებას გამოთქვამს ოფიციალური ანკარა.

ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დასახმარებლად მოსკოვმა დღის წესრიგში შემოიტანა სირიის ფედერალიზაცია. ამის განხორციელებისა და მხარეების შეთანხმების შემთხვევაში „რუსული პროექტის“ თანახმად, თურქეთი მიიღებდა სირიის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს, სადაც ქურთები არიან დასახლებული. ამ ეშმაკური ნაბიჯით რუსეთი ცდილობდა თურქეთში გაეძლიერებინა ქურთული მოძრაობა, რაც თურქეთის წისკვილზე წყალს არ ასხამს. „რუსული პროექტის“ განხილვის შედეგად თურქეთი მიხვდა, რომ საზღვარზე ის მიიღებდა გაძლიერებულ „სირიულ ქურთისტანს“, რაც მისი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჰეგომონობაზე პრეტენზიის დასასრულის დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ.

რუსული მხარე მიიჩნევდა, რომ ეს ინციდენტი შეიძლება იყოს დაკავშირებული თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან. რუსულ საინფორმაციო სააგენტოებში ვრცელდება სტატიები, რომ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების ბრძანება შესაძლოა ისე

გაცა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ, რომ პრეზიდენტი ერდოღანი შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო საქმის კურსში.

ინციდენტის შედეგები:

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ამ ინციდენტს არასახუმარო შედეგები მოყვებოდა. თუმცა არ დაუკონკრეტებია თუ რაში გამოიხატებოდა ეს „არასახუმარო შედეგები“.

ვლადიმერ პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა მოგვიანებით განაცხადა, რომ „არასახუმარო შედეგებში“ რუსეთის ფედერაცია არ გულისხმობდა აუცილებლად სამხედრო ღონისძიებებს, ვინაიდან რუსეთს დ. პესკოვის აზრით, საკმარისად გააჩნია თურქეთზე ზემოქმედების სხვა ბერკეტები.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დ. მედვედევმა რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის საწინააღმდეგო სპეციალური ზომების შემუშავება დაავალა, რაც გამოიხატა შემდეგში:

- რუსეთში შეწყდა და მკაცრად კონტროლდება თურქული სამშენებლო ფირმების საქმიანობა, ასევე ინვესტიციები სამშენებლო სფეროში;
- შეიზღუდა თურქული ფირმების მიერ რუსეთში სასტუმროების მშენებლობა, ასევე ტურისტულ კომპანიებს აკრძალათ თურქეთის საზღვაო კურორტების აბონემენტების გაყიდვა;
- გაუქმდა თანამშრომლობა ხის გადამუშავების სფეროში;
- გაუქმდა ორმხრივი შეთანხმება ავიაციის სფეროში თანამშრომლობისა და მფრინავების გადამზადების პროგრამა;
- რუსეთში შეჩერდა სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც თურქულ პროდუქციაზე იყო ორიენტირებული;
- გაუქმდა უვიზო რეჟიმი;

- აიკრძალა ავია მიმოსვლა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-თურქეთს შორის გაუქმებული დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე, შეზღუდვები შეეხო ორ ქვეყანას შორის დადებულ ახალ კონტრაქტებს. 2015 წლის 10 დეკემბრამდე ხელმოწერილი კონტრაქტები ლეგალურად გამოცხადდა.

აშშ-ს რეაქცია:

ვაშინგტონის ოფიციალური რეაქცია აქცენტირებული იყო ორ საფუძველზე:

- დაემტკიცებინა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სიმტკიცე;

- არ დეაშვა ალიანსის წევრებს შორის არსებული ვალდებულებების გამო ალიანსსა და რუსეთს შორის კონფლიქტი;

სირიის საზღვარზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პირველი ოფიციალური განცხადებები პენტაგონმა ამერიკის შეერთებულ შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის მეშვეობით გაავრცელა. პოლკოვნიკმა სტივ უორენმა პირველ რიგში უარყო ნებისმიერი სახის ჩარევა აშშ-ს მხრიდან მომხდარ კონფლიქტში. მან აღნიშნა: „ეს ინციდენტი ეხება მხოლოდ რუსეთისა და თურქეთის მთავრობებს. ეს საკითხი არ მოიცავს ნატოს და არც გაერთიანებულ სამხედრო ძალებს, რომელიც იმყოფებოდა ამ დროს სუ-24 ჩამოგდების რაიონში. ხსენებული ფ-16 არ ეკუთვნოდა აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს. კიდევ ერთხელ მინდა ავღნიშნო, რომ ეს ინციდენტი მოხდა რუსეთსა და თურქეთს შორის“.

პოლიტიკურმა მიმომხილველებმა, როგორც თურქეთში, ასევე ევროპასა და რუსეთში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აშშ-ს შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკის დაჟინებულ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ეს ინციდენტი მოხდა ცალკე ადებულად ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის და ამ კონფლიქტში არც აშშ და არც გაერთიანებული სამხედრო ალიანსი მონაწილეობას არ აპირებდა.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი სტივ უორენი აღნიშნავდა, რომ თურქეთის მხრიდან იყო საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტებზე გაფრთხილებები, თუმცა ჯერ არ შეიძლება იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ რუსულმა თვითმფრინავმა დაარღვია თურქეთის საზღვარი. ამ განცხადებაშიც კი აშშ-ს გვერდზე მდგომის პოზიცია შეიმჩნევა, გამომდინარე იქედან, რომ ამერიკელ პოლკოვნიკს ერთხელაც არ უხსენებია რუსული ბომბდამშენი და ის რუსულ სამხედრო ხომალდს უბრალოდ თვითმფრინავად მოიხსენიებდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამერიკის სამხედრო ძალების მაღალჩინოსნის მოზომილი განცხადებისა, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ანკარას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

საინტერესოდ შეაფასა მხარდაჭერის აუცილებლობა ნატოს გაერთიანებული ძალების ყოფილმა მთავარსარდალმა ჯეიმს სტავრიდისმა. მან ინტერვიუში ხაზი გაუსვა თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო შენაერთების მნიშვნელობას ალიანსისთვის და ანტიტერორისტულ ბრძოლაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ასევე აღნიშნა, რომ თურქეთს უდიდესი როლი აკისრია მიგრანტები პრობლემის გადაჭრის საქმეში. ჯეიმს სტავრიდისმა აღნიშნა, რომ ნატოს მხრიდან თურქეთზე მხარდაჭერის აუცილებლობა აუცილებელია, ვინაიდან ოფიციალურმა ანკარამ უნდა იგრძნოს, რომ ის იმყოფება დასავლეთის ბანაკში.

ამერიკული პრესა პერიოდულად „წამლავს“ ამერიკის ხელისუფლებას თურქეთის წინააღმდეგ და სხვადასხვა კრიტიკულ სტატიებს აქვეყნებს ერდოღანის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ მიუთითა, რომ თურქეთი ღიას ტოვებს საზღვრებს ყველა აჯანყებულთათვის და ასევე იმათთვის ვინც რადიკალ ისლამისტებს მიეკუთვნებიან. ჟურნალმა „ატლანტიკმა“ დაამატა, რომ თურქეთმა

მიაყენა დარტმები ქურთებს, რომლებსაც მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები.

პოლიტიკური ღონისძიებები:

უახლოეს მომავალში, რუსეთ-თურქეთს შორის სამხედრო დაპირისპირება გამორიცხებულია, ვინაიდან როგორც ერთ ქვეყანას, ასევე მეორე ქვეყანას საკმარისი პოლიტიკური ბერკეტები გააჩნიათ, რომლებსაც ნებისმიერ დროს გამოიყენებენ სამხედრო დაპირისპირების ალტერნატივად.

რუსეთის ფედერაციას შეუძლია განახორციელოს შემდეგი პოლიტიკური ღონისძიებები სამხედრო დაპირისპირების ალტერნატივად:

- გაანადგუროს სირიისკენ მიმავალი ყველა თურქული თვითმფრინავი;
- გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმად ნებისმიერი თურქული სამხედრო ტექნიკა, რომელიც გამოჩნდება სირიის ტერიტორიაზე იქნეს განადგურებული, ვინაიდან ისინი აღიქმებიან რუსული სამხედრო შენაერთების პოტენციურ საფრთხედ;
- რუსეთის ფედერაციას შეუძლია ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუქმნას ისეთი პირობები, რომ ტერორისტები ადვილად მოხვდნენ რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების ტერიტორიაზე, მათ შორის თურქეთშიც.

არ არის გამორიცხებული უახლოეს მომავალში კრემლში გაახსენდეთ ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და რუსეთმა დაეხმაროს ქურთ ხალხს ყველანაირი საშუალებით, რაც მყისიერად გააძლიერებს თურქეთში პროქურთული დაჯგუფებებს, სავარაუდოა, რომ ზემოხსენებული პოლიტიკური პროცესების განვითარების შემთხვევაში რუსეთი ქურთ მემბოხეებს ყველანაირ დახმარებას გაუწევს, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე სამხედრო კუთხითაც.

რუსეთის მიერ ზემოხსენებული სანქციების გატარებით შესაძლებელია დავითოვალს დეკლარირებული პოლიტიკური დოქტრინა: „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ სავსებით შესაძლებელია გადაიქცეს ახალ რეალობად „ნული მეზობელი, რომელთანაც არ არის პრობლემა“.

§3. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ევროკავშირთან

თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა მუსლიმურ სამყაროში, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს[95].

1949 წელს ლონდონში დაარსდა პირველი ინტეგრირებული ორგანო - ევროპის საბაჟო. მაგრამ იმ დროს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა დაეთმო სახელმწიფო სუვერენიტეტი ევროპული პოლიტიკური კავშირისთვის. ამის გამო ევროპელებმა დრეებით თავი შეიკავეს პოლიტიკური კავშირისაგან და გადაწყვიტეს მისი განხორციელება ეკონომიკური ინტეგრაციით დაეწყოთ. 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა საფრანგეთსა და გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის მართვის ერთობლივი ორგანიზაციის შექმნის წინადადება. მისი აზრით ასეთი კავშირი შეარიგებდა ფრანგებსა და გერმანელებს და მომავალში გამოირიცხავდა ომებს მათ შორის [96].

1952 წელს შეიქმნა „ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის ევროპული თანამეგობრობის კავშირი“. მალე ეს ორგანიზაცია გასცდა მრეწველობის ერთი დარგის ჩარჩოებს. ევროპის თანამეგობრობის სრულყოფის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1992 წლის მარტში, ევროპის კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერით და იგი საბოლოოდ ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, როდესაც კავშირმა იურიდიული სტატუსი მიიღო.

ყველაზე მეტად ფასეული, რაც ევროკავშირმა შეიმუშავა, არის საზღვრების თავისუფალი გადალახვის პრინციპი, ანუ წევრ ქვეყნებს შორის საქონლის, მუშახელის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ე.წ. „ოთხი თავისუფლება“. შიდა საზღვრებში თავისუფალ გადაადგილებას 1995 წელს ხელმოწერილი „შენგენის ხელშეკრულება“ არეგულირებს.

ეკ-ის შექმნიდან დღემდე მრავალი ქვეყანა გამოთქვამს მასთან მჭიდრო ურთიერთობების სურვილს. თავად ევროკავშირის ხელმძღვანელობაც ინტენსიურად მუშაობს გაფართოების შემდგომ პერსპექტივებზე, რომლის კარგი მაგალითიცაა 2004 წელს მისი კიდევ 10 წევრით გაზრდა. რაც შეეხება თურქეთთან ურთიერთობებს, საკითხი ცოტა სხვაგვარადაა და უამრავი სპეციფიკურობით ხასიათდება. თურქეთს უკვე რამდენი ათეული წელია არ უღებენ კარს ევროპის ერთა თანამეგობრობაში.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნიდან მოკლე პერიოდში, 1959 წლის ივლისში, თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე პირველი განაცხადი გაკეთა. იმავე წელს კავშირმა მას ასოცირებული ურთიერთობა შესთავაზა. ორმხრივი მოლაპარაკებები 1963 წლის 12 სექტემბერს „ანკარის შეთანხმების“ („თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის ასოციაციის შექმნის შესახებ“) ხელმოწერით დასრულდა. ამ შეთანხმებით დაიწყო თურქეთ-ევროპის კავშირის ურთიერთობების ისტორია. შეთანხმება ძალაში 1964 წლის 1 დეკემბერს შევიდა [97].

„ანკარის შეთანხმება“ მოიცავდა საბაჟო კავშირის შექმნას, რაც მხარეებს ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში დაახლოებდა. ამავე დროს, კავშირი თურქეთს ფინანსურად უნდა დახმარებოდა, რისთვისაც სპეციალური პროტოკოლები უნდა შემუშავებულიყო. შეთანხმების მიხედვით, ევროპის ეკონომ-

იკურ კავშირს თურქეთთან იმპორტზე ტარიფები და რაოდენობრივი ბარიერები უნდა გაეუქმებინა. დამატებითი პროტოკოლი კი მხარეებს შორის ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების საშუალებასაც იძლეოდა. სწორედ ამიტომ, საფუძველი ჩაეყარა თურქულ მიგრაციულ პროცესებს ევროპის ქვეყნებისაკენ [98].

1980-1983 წლებში თურქეთის ურთიერთობები ევროკავშირთან გაფუჭდა. ქვეყანაში 1980 წლის 12 სექტემბერს მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთთან ურთიერთობების გაყინვა და მეოთხე ფინანსური პროტოკოლის დაბლოკვა გადაწყვიტა. ურთიერთობების დარეგულირება მხოლოდ 1983 წელს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენისა და ეკონომიკის სფეროში რეფორმების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. ევროკავშირის შეთანხმების 237-ე მუხლის თანახმად, ამის უფლება ევროპის ყველა ქვეყანას ჰქონდა. ეს განაცხადი გადაეგზავნა დასკვნის მოსამზადებელ კომისიას. მან, თავის მხრივ, ეს საკითხი გადაუგზავნა დეპარტამენტებს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესაძლო შედეგების გამოსავლენად და ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება დაავალა [99].

კომისიამ დასკვნა მოამზადა 1989 წლის 18 დეკემბრისთვის. მასში ნათქვამი იყო, რომ „არსებულ პირობებში თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სასარგებლო არ იქნებოდა“. კომისიამ მოიყვანა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიზეზები. ასევე, საბერძნეთსა და თურქეთს შორის დავის „ნეგატიური ეფექტი“ და „კვიპროსზე არსებული მდგომარეობა“, თუმცა ევროკავშირი აცხადებდა, რომ უნდა გაგრძელებულიყო თურქეთთან თანამშრომლობა, ხელი უნდა შეეწყობოთ მის ევროპასთან დაახ-

ლოებისათვის, დახმარებოდნენ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის სწრაფ დასრულებაში.

ორმხრივი თანამშრომლობა თანდათან გაღრმავდა. 1995 წლის 6 მარტს ევროკავშირმა და თურქეთის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის შექმნის საბოლოო ეტაპზე გადასვლისა და ფინანსური თანამშრომლობის განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საბჭომ ასევე გადაწყვიტა ურთიერთობათა ახალი სფეროების ათვისება და პოლიტიკური დიალოგის გააქტიურება. 1995 წლის 13 დეკემბერს გადაწყდა საბაჟო კავშირის შექმნა. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს. ინსტიტუციონალურ დონეზე კი შეიქმნა საკონსულტაციო ორგანო - საბაჟო კავშირის ერთობლივი კომიტეტი. ეს ფაქტი მნიშვნელოვან მოვლენად იქნა შეფასებული თურქეთში. როცა 1995 წელს პრემიერ-მინისტრი თ. ჩილერი ბრიუსელიდან ჩამოფრინდა და საზეიმოდ განაცხადა: „თურქეთმა ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას ევროკავშირთან“ თურქეთში ამზობდნენ, რომ თ. ჩილერმა გააკეთა ის, რაც თავის დროზე მ. ქ. ათათურქმა, რომელმაც მიმართა აზიური და ამასთან მუსლიმური ქვეყნის გზა პარიზისა და მთელი ევროპისაკენ“ [100].

ამავე დროს, ევროკავშირის წარმომადგენელი ალენ ჟუპე აცხადებდა, რომ „ევროკავშირის აზრით, თურქეთში მიღწეული პროგრესი არაა საკმარისი, რადგანაც ქვეყანაში ისევ აქვს ადგილი ადამიანის უფლებების დარღვევას, იკრძალება გაზეთების გამოცემა, იდეებებიან ჟურნალისტები და ინტელიგენციის წამომადგენლები, ციხეში სხედან დეპუტატები თურქეთის პარლამენტის ე.წ. საზოგადოებრივი დემარშის გამო“ [101].

შენიშვნების მიუხედავად ანკარა კმაყოფილებას გამოთქვამდა. თურქული პრესა წერდა, რომ საბაჟო კავშირის ხელმოწერის შემდეგ მკვეთრად გამოცოცხლდა ფინანსურ-ეკონომიკური ცხოვრება. ამასთან, თურქეთში აღნიშნავდნენ, რომ

თავს არ იტყუებდნენ ფუჭი იმედებით და რომ მატერიალური დახმარება ქვეყანას თავისთავად წაიყვანდა ევროკავშირისაკენ, ამისათვის კი თურქეთს რეფორმები უნდა გაეგრძელებინა. საბაჟო კავშირის შექმნით და თურქეთთან დაახლოებით ევროპის კავშირმა ისლამურ სამყაროს უჩვენა, რომ ინტეგრაციისათვის რელიგიური განსხვავება არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი. ეს მნიშვნელოვანი მომენტი იყო თურქეთისათვის, ვინაიდან ხშირად საუბრობდნენ ცივილიზაციათა შორის სხვაობაზე, რომ თურქეთი განსხვავებული კულტურის მატარებელი ქვეყანაა და ის უფრო საფრთხეს წარმოადგენს ევროპისათვის. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ს.ჰან-თინგტონის თეორიის გამოქვეყნების შემდეგ ეს დავა უფრო ინტენსიური გახდა. ამ თეორიის მიხედვით თურქეთის პოლიტიკური ორიენტაცია არ შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის კულტურულ ნორმებს, თურქეთი ამ მხრივ წარმოადგენს გახლეჩილ ქვეყანას და მისი ე.წ. ფეთქებათსაშიშ რეგიონებთან სიახლოვის გარდა, თავად ქვეყანაშიც არამყარი ვითარებაა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიზარდოს უთანხმოებაში. ამავე შინაარსის განცხადება გააკეთეს 1997 წლის მარტში ბრიუსელში ევროკავშირის კონფერენციაზე „ქრისტიანულ დემოკრატიული“ პარტიის ლიდერებმა, მათ განაცხადეს, რომ „თურქეთის ადგილი ევროკავშირში არ არის, რადგან იგი არ ფლობს ევროპისთვის დამახასიათებელ კულტურულ და ჰუმანურ ღირსებებს“ [102].

1997 წლის 12 დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტზე თურქეთი კანდიდატ-ქვეყანად დასახელებას ელოდა, ამიტომ უარყოფითმა შედეგმა ქვეყნის ოფიციალური პირების უკმაყოფილება გამოიწვია. პოლიტიკურ ელიტაში დაიწყეს საუბარი ევროპასთან ურთიერთობების შენელებაზე. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ ევროკავშირის ლიდერებისათვის გამართულ სადილზე თურქეთის პრემიერ-მინისტრ მესუთ ილმაზმა მიპატიჟება არ მიიღო და ღიად გამოხატა უკმაყოფილება. მან

გერმანიის მაშინდელ კანცლერს ჰ. კოლს ანტითურქულ განწყობილებაში დასდო ბრალი, რამაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია [103].

სავსებით გასაგებია საბერძნეთის წინააღმდეგობა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, გერმანიის წინააღმდეგობა კი თურქეთის კანდიდატურის მიმართ ძირითადად განპირობებული იყო გერმანიაში თურქი მიგრანტების მოზღვავეებით. თურქული დიასპორა გერმანიაში უკვე რამდენიმე მილიონ ადამიანს ითვლიდა და გერმანიას გარკვეულ შიდა პრობლემებს უქმნიდა. გერმანიაში თურქი მიგრანტების შემოსვლის პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1961 წელს დადებული ორმხრივი შეთანხმებით. მას შემდეგ, რაც გერმანიაში შავ მუშებზე მოთხოვნა გაიზარდა, ქვეყნის მთავრობამ განვითარებად ქვეყნებიდან იაფი მუშახელის მოზიდვა გადაწყვიტა და ღია კარის პოლიტიკის შესახებ განაცხადა. ამას მოჰყვა თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც თურქი მუშები დროებით სამუშაოდ გაიგზავნებოდნენ დასავლეთ გერმანიაში. ასე დაიწყო თურქი მუშახელის უწყვეტი გადინების პროცესი, მაგრამ არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში. დროებით გასული მუშახელის ევროპაში ყოფნამ კი შემდგომ მუდმივი ხასიათი შეიძინა. [104]

ევროპის უმეტეს ქვეყნებში თურქთა თანაცხოვრება ადგილობრივებთან მშვიდობიან ხასიათს ატარებს. მაგალითად, საფრანგეთში ერთ-ერთი ფრანგული სასტუმროს თურქი მენეჯერის თქმით: „გარეთ ფრანგი ვარ, სახლში - მუსლიმი“. ევროპაში მცხოვრები თურქების უმეტესობა ცდილობს ადაპტირდეს მათ გარშემო არსებულ რეალობასთან. სხვა ვითარებაა გერმანიაში. ევროპის ქვეყნებიდან აქ ყველაზე მრავალრიცხოვანია თურქთა რაოდენობა. მათ ახასიათებთ კომპაქტური განსახლება. ისინი არ გამოხატავენ გერმანულ საზოგადოებასთან ადაპტირების სურვილს, უარს ამბობენ გერმა-

ნული ენის შესწავლაზე და ინფორმაციას თურქულ ენაზე იღებენ. გერმანიის ხელისუფლების მცდელობა, დაეარსებინათ ენის შემსწავლელი დროებითი კურსები, თურქული ოჯახების უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდა. მშობლების უმრავლესობა უარს აცხადებდა გერმანულ სკოლებში შვილების შეყვანაზე. გერმანიის თურქულ დასახლებებში გაიხსნა თურქულენოვანი სკოლები. შედარებით მისაღები მდგომარეობაა თურქთა ახალგაზრდა თაობაში. ისინი არ გამოთქვამენ გერმანულ საზოგადოებისაგან მოწყვეტის სურვილს, პირიქით, კმაყოფილი არიან, რომ საშუალება აქვთ განათლება მიიღონ ევროპის ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ფლობენ გერმანულ ენას და აქვთ გარკვეული წარმატებებიც, ასევე ადგილი აქვს შერეული ოჯახების შექმნასაც.

არაერთი თურქი წარმატებით მოღვაწეობს გერმანიის ეკონომიკის, განათლების, პოლიტიკის სფეროში. ხოლო გერმანიის ურთიერთობა თურქეთთან, ოფიციალურ დონეზე, თავშეკავებული და კეთილგანწყობილია. გერმანია დიდ ტექნიკურ დახმარებას უწევს თურქეთს თანამედროვე საბრძოლო იარაღის დამზადებაში. ხორციელდება ერთობლივი პროექტები [105].

ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები თურქეთის რელიგიურ განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა არა ოფიციალურ საუბრებში. ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად თქვა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი. მან განაცხადა, რომ „თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზი რელიგიური განსხვავება - ისლამია“.

ხშირად დავის საგანი ხდება თავად ტერმინი ევროპაც. იგი მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია თუ საერთო ფასეულობების მატარებელი გაერთიანება. მეორე განსაზღვრების შემთხვევაშიც თურქეთის ადგილს ქრისტიანულ სახელმწი-

ფოთა კლუბში ხშირად ვერ ხედავენ. ამ საკითხის ირგვლივ დავა კიდევ უფრო აქტუალური გახდა XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მაშინ როცა თურქეთის ხელისუფლებაში პროისლამური მიმართულების ძალები მოვიდნენ. ეს ევროპას აიძულებდა კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა[106].

თურქეთის პრეზიდენტი თ. ოზალი მიზეზს მუსლიმობაში ხედავდა: „ევროკავშირში არ მიღების ჭეშმარიტი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მუსლიმები ვართ, ისინი ქრისტიანები, მაგრამ ისინი ამას ღიად არ ამბობენ“. ყოფილი პრემიერი თ. ჩილერი ამბობდა: „ევროპის კულტურას ქრისტიანულ-ბერძნულ-რომაული სინთეზი უდევს საფუძვლად. ერთი კედელი უკვე დავანგრეთ, ახალ კედელს ნუღარ ავაშენებთ. ნუ ვივლით რელიგიური დაყოფის გზით. თურქეთი თავისი დემოკრატიული სისტემის და ფასეულობების სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტიაა. ევროპას კი სტაბილურობა ესაჭიროება. აღმოსავლეთს დასავლეთისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს... ჩვენი ევროპელი მოკავშირეები ამჟამად თურქეთს ისეთ ბუფერულ ქვეყანად მიიჩნევენ, რომელიც ევროპისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონებს შორის მდებარეობს. მათ მიერ თურქეთის მუდმივად ბუფერულ რეგიონად მიჩნევა გონივრული გადაწყვეტილებაა, თუმცა სერიოზული ეჭვები მაქვს, რომ თურქები ამ მდგომარეობაში ყოფნას ბოლომდე დასჯერდნენ“.

1998 წლის სექტემბერში ეკონომიკურ კომისიასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის „ევროპული სტრატეგიის“ განხორციელების დეტალების გასარკვევად პირველი ტექნიკური დისკუსია გაიმართა, რამაც თურქეთის მზადყოფნა დაადასტურა თანამშრომლობაზე. ანკარა აღნიშნავდა, რომ ევროკავშირის მომავალი სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნებოდა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებისთვის. მარ-

თლაც, დამაბული ურთიერთობების ფონზე, მდგომარეობა დადებითისაკენ შემობრუნდა. 1999 წლის 10 დეკემბრის ამ სამიტზე თურქეთი სხვა ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის წევრობის სრულუფლებიან კანდიდატ ქვეყნად გამოაცხადდა [107].

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო 2000-2001 წლები. 2000 წლის დეკემბერში ევროკავშირის სამიტზე ბრიუსელში გამოქვეყნდა და თურქეთს დელეგაციას გადაეცა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი „ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხებზე პარტნიორობის შესახებ“. ეს დოკუმენტი შეიცავდა იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომლებსაც თურქეთი გარკვევით უნდა შეესაბამებოდეს. გადასაჭრელ რთულ საკითხებს შორის (კვიპროსის პრობლემა, ეგეოსის ზღვაში საბერძნეთთან ტერიტორიული გამიჯვნა, ქურთების უფლებები), ერთ-ერთი ყველაზე მწვავე იყო კვიპროსის პრობლემა.

თურქეთის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, ასახული დოკუმენტში, იყო ქურთების საკითხი. აქ აღვნიშნავთ, რომ თურქეთის კონსტიტუციაში სიტყვა „უმცირესობის“ გაგება რომელიმე ეთნოსის მიმართ არ არსებობს და ქვეყნის ქურთ მოსახლეობას წართმეული აქვს იურიდიული წინაპირობა, რათა მიაღწიოს თავისი უფლებების დაკმაყოფილებას. 2001 წლის 13 ნოემბერს კომისიის მიერ გამოქვეყნებული იქნა ანგარიში თურქეთთან დაკავშირებით. დასკვნით ეტაპზე გადასვლის შეფერხების მოტივაცია ის იყო, რომ თურქეთი მოლაპარაკების დასაწყებად არ აკმაყოფილებდა პოლიტიკურ კრიტერიუმებს, ამდენად, მას არ შეეძლო დასკვნით ეტაპზე გადასვლაც. კრიტიკის საგნად ისევ დარჩა უშიშროების საბჭოს ფართო უფლებამოსილება, ქვეყანაში სიკვდილის დასჯის შენარჩუნება. ჩიხში იყო კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტის პროცესიც. მთლიანობაში ხაზი გაესვა იმას, რომ თურქეთი

ერთადერთი კანდიტატი ქვეყანაა, რომელმაც არ მიუღწევია კოპენჰაგენის კრიტერიუმებისთვის, გარკვეული ცვლილებების მიუხედავად[108].

თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ 2001 წლის ოქმში დადგენილია შემდეგი მოთხოვნები: თურქეთში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებაზე მორატორიუმის მხარდაჭერა, ხოლო შემდგომში სიკვდილით დასჯის გაუქმება და ადამიანის უფლებების გაუმჯობესება. თურქეთმა „ქვეყანა კანდიდატის“ მანდატით აიღო ვალდებულებები, რომელსაც ის განახორციელებდა. მათ შორის ოთხი ქურთული წარმოშობის ქალი პარლამენტარის გათავისუფლება იყო. 2004 წელს თურქეთის მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება და ათწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა პარლამენტარი ქალბატონები: ორხან დოგანი, ჰათივ დიკოლი, სალჰიმ სადაკი და სახაროვის პრემიის ლაურეატი ლეილა ზანე. მანამდე ოთხმა ადვოკატმა შესაბამისი სარჩელით მიმართა თურქეთის სასამართლოს. სარჩელი დაუკმაყოფილებელი დარჩა. ბრიუსელმა კი ეს ფაქტი გამოწვევად მიიღო: „ევროკავშირი შეურაცხყოფილია, ჩვენ ანკარისაგან დემოკრატიას ვითხოვდით“, - აღნიშნა ევროპარლამენტის წევრმა ლუიჯი ვინჩიმ. მთელი ამ წლების განმავლობაში ეს ოთხი ქურთი პატიმარი ქალბატონი თურქეთში არსებული უკანონობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ევროკავშირი ამ ფაქტზე აქცენტირებით მიუთითებდა, რომ თურქეთი არ იყო მზად ევროკავშირის წევრობისათვის.

2004 წლის ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ისევ განახლდა საუბარი ამ ალიანსში თურქეთის გაწევრიანების შესაძლებლობაზე, მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის ვერ ხდებოდა პოზიციების შეჯერება მათი განსხვავებული დამოკიდებულების გამო. მაგალითად, კლაუდია როზიმ, გერმანიის მთავრობაში ადამიანთა უფლებებზე პასუხისმგებელმა და ხელმძღვანელმა თურქულ-გერმანული მეგობრული ჯგუ-

ფისა, განაცხადა, რომ დაიცავს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას, „რადგანაც გერმანიას სჭირდება ძლიერი თურქეთი“. მან შეაფასა ბოლო პერიოდში თურქეთში განხორციელებული რეფორმები და აღნიშნა: „ერთი პერიოდი ვერც კი წარმომედგინა, რომ თურქეთში გაუქმდებოდა დილით დასჯა“ [109].

ანგელა მერკელმა, როცა ის გერმანიის კანცლერი გახდა, თავისი ევროპული ტურნე საფრანგეთში ჩასვლით დაიწყო (2005 წლის ნოემბერი)[110]. მან პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა პრეზიდენტ ჟაკ აკთან. მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე იგი შეეხო თურქეთსაც და განაცხადა: „თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, მოლაპარაკებები მისი გაწევრიანების შესახებ ხანგრძლივი აღმოჩნდება“. გერმანიის მხარე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და ეკიდება ამ საკითხს.

აშშ ასევე მხარს უჭერს თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. მისი მხარდაჭერა თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) აღნიშნავდა, რომ „თურქეთი ევროპის ძალაა“, ასევე „თურქეთის წევრობა ამავედროულად ისლამის ნაწილსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების წინსვლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს“. ჯ. ბუში თურქეთს ცივილიზაციებს შორის ხიდად მოიხსენიებს: „ისლამის სამყაროში თავისუფლების მომავალი ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ უნდა განისაზღვროს და არა სხვების“[111].

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტ. ბლერმა დადებითი პოზიცია თურქეთის ევროკავშირში იანების თაობაზე BBC-ის პირდაპირ ეთერში გამოხატა. თურქეთის ევროკავშირში მიღების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად, რა თქმა უნდა არაოფიციალურად, ასახელებენ მისი მოსახლეობის რაოდენობას. ამ ეტაპზე ის დაახლოებით 80 მილიონით

განისაზღვრება. დემოგრაფიული სურათის შესწავლის საფუძველზე, თურქეთში უახლოეს მომავალში ვარაუდობენ მისი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას. კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თურქეთი მოიპოვებს უფლებას გავლენა იქონიოს ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე. ევროპის ქვეყნებს კი თურქეთისთვის ამ უფლების მინიჭება (ათის კვოტის ფლობა) არ სურთ. ევროპა ასე ადვილად ვერ შეეგუება მისთვის ამხელა ბერკეტების გადაცემას. თურქეთისათვის მოულოდნელობებით აღსავსე იყო 2004 წლის ევროკავშირის ბრიუსელის სამიტი. ამ სამიტმა თავის მხრივ ევროპას ახალი საზღვრები და ახალი პოლიტიკური რეალობა შესთავაზა და ამ რეალობაში თურქეთის ადგილი და როლი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მოელოდნენ ანკარაში. ევროკავშირის საზღვრებში მოექცა კიდევ ათი ქვეყანა. თურქეთში მტკივნეულად აღიქვეს მასში კვიპროსის ბერძნული ნაწილის გაწევრიანება,^{*} ვინაიდან ამ შემთხვევაში საბერძნეთს ერთით მეტი ხმის უფლება ექნება კავშირში თურქეთის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კანდიდატი ქვეყანაა, ჯერ კიდევ არაა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ქვეყანაში მიმდინარე წარმატებული დემოკრატიული ცვლილებები ეკონომიკის, განათლების, სამართლისა და სხვა სფეროებში, ვერ წყვეტს თურქეთის ევროპასთან გაიგივების, ევროპის ერთიან ცივილიზაციაში მისი მოაზრების საკითხს. ევროკავშირსა და თურქეთს შორის მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ არაერთ თურქ სახელმწიფო მოღვაწეს სკეპტიკური განცხადების გაკეთებისაკენ უბიძგა. მაგალითად, 2002 წელს მეჯლისის თავმჯდომარემ ომერ იზგიმ განაცხადა, რომ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია ალტერნატივა. ამ განცხა-

^{*} კვიპროსის ბერძნული ნაწილი, მალტა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი.

დებით მან ფაქტობრივად მხარი დაუჭირა ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის თუნჯერ კილინჯის მოსაზრებას - „ევროკავშირი თურქეთის ერთადერთი ალტერნატივა არ არის“.

ო. იზგიმ თურქულ-ამერიკული საზოგადოების ფედერაციის პრეზიდენტის ეგემენ ბალიშისა და მისი თანმხლები პირების მიღებისას აღნიშნა: „შესაძლებელია ევროკავშირის არჩევანი თურქეთი არ არის, მაგრამ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია არჩევანი. რასაკვირველია, ეს არეალები ვერ ჩამოყალიბდება მოკავშირეობის ისეთი ფორმებით, როდესაც წევრად, როგორც კილინჯი ამბობს, ირანიც მოიაზრება. მაგრამ თურქეთს თავისი ღერძის გარშემო ყოველთვის აქვს არჩევანი ჰქონდეს დიდი ძალა ისეთი სახით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მისი სისტემის იდეოლოგიას“. თურქი ექსპერტები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და პროგნოზებსაც აკეთებდნენ იმაზე, თუ რა სიკეთის მოტანა შეეძლო მათი ქვეყნის შესვლას ევროკავშირში. მრეწველობისა და ვაჭრობის იმდროინდელ მინისტრ ალი ჯონკუნის განცხადებით, ასეთ შემთხვევაში თურქეთში ინვესტიციების რაოდენობა სწრაფად გაიზრდება. კერძო სექტორის აღორძინებით კი შესაძლებელი გახდება ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების გადაჭრა.

2004 წლის 26-29 ივნისს სტამბოლში გამართულმა ნატოს სამიტმა თურქეთსა და დასავლეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათი აჩვენა. ერთის მხრივ, თურქეთი ნატოს მნიშვნელოვანი წევრია. ამ კონტექსტში ანკარამ გადაამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს რადიკალური ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, ერაყსა და ავღანეთში სტაბილურობის დამყარებაში. მეორე მხრივ, ევროკავშირის დამოკიდებულება მასში თურქეთის გაწევრიანებაზე პესიმისტურია. თუმცა, თავის მხრივ, თურქეთს ისლამურ სამყაროში სტაბილიზაციის დამყარებისა და პოლიტიკურ

ცვლილებებზე უმტკივნეულოდ გადასვლის თვალსაზრისით, შეუძლია მისაბაძი მაგალითი გახდეს. მას ამ მიმართულებით ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს[112].

დღეისთვის თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, მაშინ, როდესაც ეს ქვეყანა აქამდე არნახული ენერჯით აფართოებს საკუთარ კონტაქტებს უმეტესად მუსლიმურ ქვეყნებთან, ამ ფონზე დიდი ხნის განმავლობაში ისმება კითხვა: ხომ არ იხრება ეს მასშტაბური საერო მუსლიმური სახელმწიფო უფრო აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე დასავლეთისაკენ?

როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ბ. ობამა 2012 წლის 25 აპრილს თურქეთს სტუმრობდა (ამ სიმბოლურმა ჟესტმა ხაზი გაუსვა თურქეთის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას), მან განსაკუთრებით აღნიშნა ამ ქვეყნის, როგორც ხიდის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღიარა მისი შუამავლობის მნიშვნელობა არაბ-ისრაელის კონფლიქტში, ასევე, მთელი თავისი პოლიტიკური წონით აშკარად მხარი დაუჭირა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. ზოგიერთი ექსპერტი ვაშინგტონსა და ბრიუსელში ექვეყნებენ თურქეთის, როგორც პარტნიორის სანდოობას. ბევრი თურქი კი საკუთარ თავს ეკითხება, ხომ არ არის უმჯობესი მათ თვითონ თქვან უარი ევროკავშირზე, ვიდრე ამას ბლოკი გააკეთებს. ამას ისიც ემატებოდა, რომ თურქეთი ბოლო ხანებში გარკვეულწილად ნაკლებად ავლენდა სურვილს შეესრულებინა ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებს მანევრებში მონაწილეობაზე უარი უთხრა. ამან კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დამაბა ურთიერთობა ანკარასა და თელავივს შორის, რომელიც უკვე მანამდეც საკმარისად გართულებული იყო. ამის დადასტურებისთვის საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის მძაფრი კრიტიკა, რომლითაც თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი

გამოვიდა შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიოს ლიდერების წინაშე ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესის წინააღმდეგ ღაზას სექტორში თელ-ავივის სამხედრო მოქმედებების გამო.

მაღალჩინოსანი თურქი ჩინოვნიკები ამბობენ, რომ ბატონმა ერდოღანმა, რომელიც ისრაელსა და სირიას შორის შუამავლის როლს ასრულებდა ღაზას სექტორში კონფლიქტის დაწყებამდე სულ რაღაც რამდენიმე კვირით ადრე, ჩათვალა, რომ მას უღალატეს, რამეთუ ისრაელმა წამოიწყომ აგრესია, დასრულებული უდანაშაულო მუსლიმების უაზრო მკვლევობით. იმავდროულად, ზოგიერთ დასავლეთელ დიპლომატს მიაჩნდა, რომ თურქეთმა ირანთან დაკავშირებული ქმედებებით შეშფოთების საფუძველი მისცა მათ.

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ხმამაღლა აპროტესტებდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას და ამტკიცებდა, რომ ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ევროპას არ განეკუთვნება. ამ საკითხზე ასევე ეჭვი გამოთქვა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც. ბევრმა თურქმა მიიჩნია, რომ ევროკავშირში მათი ქვეყნის მიღება არ სურთ მუსლიმების დიდი რაოდენობის გამო. შეკითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა თურქეთი სხვა მიმართულებით, ანალიტიკოსების ნაწილი პასუხობს, რომ ქვეყანას ამისკენ სხვადასხვა კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები უბიძგებენ.

სტამბოლის შეხვედრაზე კი ევროპის საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რობერტ უექსლერმა ზემოაღნიშნულ შეკითხვაზე განაცხადა: „ევროპა დააკვირდი საკუთარ ქმედებებს და საკუთარ მოსაზრებებს“. პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი ერსინ კალაიჩიოღლუ აღნიშნავდა, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს ევროპული ეკონომიკის შემცირება მოჰყვა, რამაც თურქეთს, მსხვილ ექსპორტიორს, ახალი ბაზრების მოძიების დაწყება აიძულა. ამ პოლიტოლოგსაც და მის სხვა კოლეგებსაც მიაჩნდათ, რომ მმართველი „სამართ-

ლიანობისა და განვითარების“ პარტიის, როგორც მუსლიმური ფესვების მქონე სოციალურად კონსერვატიული პარტიის ლიდერები თავს გაცილებით კომფორტულად ერიადში, დამასკოსა და ბაღდადში გრძნობენ, ვიდრე პარიზში, ლონდონსა და რომში, თუმცა დღეს ეს სიტყვები ნაკლებად შეეხება დამასკოსა და ბაღდადს.

დღეს მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში შესვლის შესახებ საკმაოდ გართულებულ ვითარებაშია. ბევრ სხვასთან ერთად, პრობლემად რჩება კვიპროსის საკითხის გადაუჭრელობა, ამას ემატება კიდევ მეტოქეობა საბერძნეთთან ეგეოსის ზღვის შელფის გამო. პირველად მრავალი წლის განმავლობაში საქმიანი წრეების წამყვანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ყოველთვის პროევროპელები იყვნენ, დააფიქსირეს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ევროკავშირში თურქეთის მიღების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჰასან არატმა, თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი დეველოპერული კომპანიის ხელმძღვანელთა წარმომადგენელმა, განაცხადა: „ჩვენ თურქები - ამაყი ხალხი ვართ და არ გვინდა იმ სახლში შესვლა, სადაც ჯერ დაგვპატიჟეს, მაგრამ შემდეგ ყოველ ჯერზე მასპინძელი ცხვირწინ კარს გვიკეტავს“.

ქვეყნის შელახული თავმოყვარეობის მიუხედავად, თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლები და ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ მათი ქვეყანა არ აპირებს დასავლეთის მიტოვებას. თურქეთის იმდროინდელი მინისტრი ევროპის საკითხებში ეჯემენ ბაჯისი არ ეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ თურქეთის პოლიტიკა აღმოსავლეთისკენ იცვლის ორიენტაციას. თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ის აცხადებდა, რომ ზოგიერთი მისი ქვეყნის მხრიდან მეზობლებთან ინტეგრაციის მხარდამჭერი იყო, ახლა კი ეჭვქვეშ აყენებს იმ მოლაპარაკებათა გაგრძელების მიზანშეწონილობას, რომლის დასრულებაც, როგორც ჩანს, ჯერჯერო-

ბით არ განიხილება. მისი სიტყვებით, აღმოსავლეთ ქვეყნებთან კონტაქტების გააქტიურება, სირიასთან საზღვრის გახსნა (ეს იმ დროს ეხებოდა), სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზებაზე ისტორიული შეთანხმების ხელმოწერა (ესეც შეიცვალა), ასევე ირანთან ურთიერთქმედებათა გაფართოება - ეს ყველაფერი თურქეთს მისი დასავლელი მოკავშირეებისთვის უფრო ეფექტურ შუამავლად აქცევს. „ნებისმიერი ხიდი, თუკი მას ერთი საყრდენი მყარი აქვს, მეორე კი სუსტი, დიდხანს ვერ იარსებებს“, - აღნიშნა ბატონმა ბაჯისმა.

თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის იმდროინდელი მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში იბრაჰიმ კალინი ამბობდა, რომ „თურქეთის ახალი, უფრო გახსნილი საგარეო პოლიტიკის დასავლეთელი კრიტიკოსები ორმაგ სტანდარტებს იყენებენ. როდესაც შეერთებული შტატები რუსეთს წინადადებებს სთავაზობს, ამას ყველა ადიდება და დიპლომატიის ახალი ეპოქის დასაწყისს უწოდებს, მაგრამ როდესაც თურქეთი ირანთან საკუთარი კავშირების გაფართოვებას ცდილობს, ყველა კითხულობს, ეს ხომ არ ნიშნავს ორიენტაციის შეცვლასო?“ ბევრი გავლენიანი თურქი სამხედრო დარწმუნებული იყო და არის იმაში, რომ ევროკავშირის მიერ წამოყენებული პირობების უმრავლესობის შესრულება ქვეყნისათვის დამღუპველია. ბოლო დროს მათ ეთანხმებოდნენ საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებიც. ქვეყანაში უფრო და უფრო პოპულარული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში გაწევრიანების პირობით ევროკავშირი ანკარას აცდუნებს და ცდილობს თურქეთი აიძულოს წავიდეს დათმობაზე ქურთების და კვიპროსის საკითხებში, საბოლოოდ გადაწყვიტოს ტერიტორიული დავები საბერძნეთთან ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულების და შელფის გამო შემდეგ კი... კარს მიუხურავს დასუსტებულ და დანაწევრებულ ქვეყანას.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ანკარა ზურგს აქცევს დასავლეთს და აქტიურად დაიწყებს ე.წ. „ნეო-ოსმანიზმის“ საგარეო პოლიტიკის გატარებას. მეორეს მხვრივ, თურქეთს აუცილებლად სჭირდება დასავლეთისკენ კურსის შენარჩუნება, რათა უფრო პატივსაცემი და აღიარებული მოთამაშე გახდეს. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს შევაფასოთ თურქეთის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებისთვის მოხერხებული პლაცდარმი, რაც თურქეთს ევროკავშირისთვისაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის. თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავითოღლუს აზრით, თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა, არ იძლევა რეგიონული პოლიტიკის ფორმირების საშუალებას „თურქეთის გარეშე“ [113].

2013 წლის დასაწყისიდან, როდესაც ირლანდია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების ნახევარსაუკუნოვანი მოგზაურობის გზაზე ახალი პერიოდი დაიწყო. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოიწონეს ევროკავშირის გაფართოების რეზოლუცია, სადაც თურქეთის გრაფაში გამოჩნდა სიტყვა „შესვლა“, რომელიც საფრანგეთის ექს-პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ძალისხმევით არ იხმარებოდა უკანასკნელი წლების მანძილზე. ევროკავშირი მიესალმება თურქეთის მიერ ახალი კონსტიტუციის მომზადების ნაბიჯებს, იწონებს თურქეთის აქტიურ პოლიტიკურ კამპანიას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, ამასთანავე ევროგაერთიანება ყურადღებით ეკიდება ანკარის აქტიურ რეგიონულ პოლიტიკას და სინანულს გამოთქვამს თურქეთის მხრიდან კიპროსის რესპუბლიკის (კუნძულის სამხრეთი ბერძნული ნაწილი) ბოიკოტირების თაობაზე. ევროკავშირის ბოლო რეზოლუციების მიხედვით, ევროკავშირი თურქეთის გაერთიანებაში შესვლაზე მოლაპარაკების დაწ-

ყებაზე მზადყოფნას გამოთქვამს, მაგრამ თურქეთის ევროკავშირში მისაღებად რჩება ისეთი სერიოზული მოუგვარებელი საკითხები, რომელთა მიმართაც ევროპის პრეტენზიები დღევანდლამდე არ იცვლება, ესენია:

- კიპროსის საკითხის მოგვარება და სამხედრო კონტიგენტის გაყვანა;
- სომხეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და გენოციდის აღიარების მოთხოვნა;
- ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარეგულირებასთან ერთად, ქურთების პრობლემის გადაწყვეტა მათთვის კულტურულ-სოციალური ავტონომიის მინიჭების გზით.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ჩანს, ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნები რეგიონული მასშტაბის საკითხებია. განვიხილოთ თითოეული უფრო დაწვრილებით:

კიპროსის პრობლემა - პრობლემა უფრო გამწვავდა 2010 წლიდან, როდესაც კიპროსის რესპუბლიკამ კუნძულის აღმოსავლეთის შელფზე ნახშირწყალბადით მდიდარი საბადოების კვლევა დაიწყო. თურქეთი ამტკიცებს, რომ ამავე შელფზე საბადოების ზიების უფლება თვითონაც აქვს და ნეგატიურად რეაგირებს კვიპროსის რესპუბლიკის ნებისმიერ მცდელობაზე მოიწვიოს უცხოური კომპანიები გეოლოგიურ სამუშაოთა შესასრულებლად.

სომხეთის გენოციდის აღიარების პრობლემა - თურქეთის მთავრობისა და ევროკავშირის ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სომხეთის გენოციდის აღიარება რჩება. აღნიშნულმა საკითხმა 2011-2012 წწ. სერიოზულად დაძაბა ურთიერთობები თურქეთსა და საფრანგეთს შორის, როგორც ცნობილია, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების კატეგორიულ წინააღმდეგებად საფრანგეთი და გერმანია გვევლინებიან.

ქურთების პრობლემის გადაწყვეტა - პრობლემა თავისი არსით დაკავშირებულია თურქეთის გეოპოლიტიკურ ნიუანსებთან და მისი რეგიონული პოზიციების მოტივაციასთან. ერაყის ქურთთა ავტონომიის ნავთობით მდიდარი რაიონი და სირიაში ქურთების წარმატებული ბრძოლა სუვერენიტეტის მოთხოვნებით, თურქეთს აიძულებს დააჩქაროს ევროკავშირთან თავისი ურთიერთობების გარკვევა, ვინაიდან საქმე ეხება ენერგორესურსების მილსადენების დერეფნებს და ნახშირუბანგბადის მდიდარი საბადოების შემდგომ ბედს.

თურქეთის მთავრობა, თავის მხრივ, მაქსიმალურად ცდილობს გააძლიეროს ზეწოლა ევროკავშირში მიღების მოლ-აპარაკების პროცესზე და ღიათ აცხადებს თავისი ქვეყნის აღმოსავლეთის მიმართულებით ორიენტაციის შეცვლის თაობაზე. აღნიშნულის სერიოზულად აღქმისა და ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარების მიზნით, ერდოღანმა რუსეთს ოფიციალურად მიმართა გაუწიოს რეკომენდაცია ე.წ. „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“ გაწევრიანებაზე, რაც ევროგაერთიანების პოლიტიკური ლიდერებისთვის თურქეთის მხრიდან „ცივი წყალის“ გადავლების ტოლფასად იქნა აღქმული. რამდენად მოახერხებს თურქეთი დაჩქარებულ ვადებში ევროგაერთიანების წევრობა ამას დრო გვიჩვენებს.

დასკვნის სახით, თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკურ კურსებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ თურქეთის ასეთი ამბიციური საგარეო პოლიტიკა ლოგიკურად გამოიყურება მისი მზარდი ეკონომიკის ფონზე, რასაც ქვეყნის სამხედრო პოტენციალის და საერთაშორისო პოლიტიკური პროექტის მატებაც მოსდევს. უცნაური არაფერია იმაში, რომ გაზრდილი შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოს საერთაშორისო და რეგიონალურ ასპარეზზე გააქტიურების სურვილი უჩნდება. თუმცაღა ვფიქრობ, გადაჭარბებულია იმის თქმა, რომ დღესდღეისობით თურქეთი რეგიონში იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებას ცდილობს. მართალია

თურქეთის ხელისუფალნი კავშირებს ამყარებენ არა დასავლურ რეგიონებთან და გადასინჯვას უკეთებენ თურქეთის დამოკიდებულებას აშშ-სა და ევროკავშირთან, მაგრამ მათ ინტერესებში სულაც არ შედის დასავლეთთან სტრატეგიულ კავშირებზე უარის თქმა. ერდოღანის ხელისუფლება ამ მხვრივ არ არის ისეთი რადიკალური, როგორც კეთილდღეობის პარტიის ისლამისტი ლიდერი ნეჯმეთინ ერბაქანი, რომელიც „ფიქრობდა ისლამური ალიანსის შეკვრას ისეთ სახელმწიფოებთან, როგორებიც არიან ლიბია, ირანი, მალაიზია და ინდონეზია, როგორც დასავლეთთან კავშირების ალტერნატივა [114].

ამგვარი დასკვნა არც თუ ისე მართებული ჩანს სხვადასხვა მიზეზების გამო. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი არის აშშ-ს მისწრაფება რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი გამორჩეულად წამყვანი პოზიციები დღეს არაბიპოლარულ სამყაროში რომ უკავია. მისწრაფება - რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი ლიდერობა ფაქტიურად ერთპოლუსიან სამყაროში და არ დაუშვას სხვა ზესახელმწიფოს წარმოქმნა (გინდ ჩინეთის, გინდ რუსეთის, გინდ ვინმე სხვის სახით) აიძულებს მას ეძებოს სანდო მოკავშირეები. ერთ-ერთ ამგვარად აშშ-ს თურქეთიც მიაჩნია, ამიტომ ყველანაირად შეეცდება გააძლიეროს ამ უკანასკნელის პოზიციები ევროკავშირში მიღებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს ევროკავშირი და თურქეთი მიგრაციის კრიზისის გეგმაზე შეთანხმდნენ და თითქოსდა დაიწყეს ვიზალიბერალიზაციის პროცესის დაჩქარების გეგმაზე საუბარი[115].

2017 წლის 26 ივლისს, თურქეთ-ევროკავშირის მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის შეხვედრისას, ქ. ბრიუსელში ევროპული ლიდერების მხრიდან დაყენებულ იქნა მთელი რიგი საკითხები, რამაც თურქეთს სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი მომავლის სურათი არგუნა ევროკავშირში შესვ-

ლასთან დაკავშირებით. თურქეთ-ევროკავშირის თანამედროვე ურთიერთობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის მოქმედი ხელისუფლება აგრძელებს თავის შეურიგებელ დამოკიდებულებას თურქეთის ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით.

2018 წლის 6 იანვარს, საფრანგეთის პრეზიდენტმა - ემანუელ მაკრონმა თურქეთის პრეზიდენტის პოლიტიკა მწვავედ გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ „თურქეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მაკრონმა ასევე აღნიშნა, რომ „ფარისევლობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, რომ დღევანდელი მდგომარეობით ვისაუბრო თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივებზე“, რადგან პარიზი მიიჩნევს, რომ თურქეთისთვის პრიორიტეტი აღარ არის თურქეთი გახდეს ევროგაერთიანების წევრი [116].

2018 წლის 8 თებერვალს, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სებასტიან კურცმა ევროსაბჭოში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას განაცხადა, რომ უნდა შეწყდეს თურქეთთან მოლაპარაკებები ქვეყნის ევროკავშირში დაჩქარებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით [117].

ევროპის ლიდერების ზემოაღნიშნული დამოკიდებულებების გათვალისწინებით, აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მოცემული საკითხის ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა საკმაოდ მომგებიანი ჩანს ევროკავშირისთვის, რადგან საშუალებას იძლევა თურქეთმა უფრო მეტად დააფასოს დემოკრატიული ღირებულებები, ქვეყანაში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს არაექსტრემისტული ძალების გავლენა. ეს კი უფრო უსაფრთხოს გახდის ევროპის სამხრეთ საზღვრებს.

§4. თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანში, სომხეთისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღებამ, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიაში გამწ-

ვაგებულმა ჩეჩნეთის პრობლემამ - თურქეთს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად ახალი შესაძლებლობებიც მოუტანა. თურქეთსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღისა და სომხეთა გენოციდის პრობლემები, ორ ქვეყნას შორის დიპლომატიური ურთიერთობები და საზღვრის გახსნა ის საკითხებია, რომლებიც სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ანკარასა და ერევანს შორის დღემდე მოუგვარებელია. საქართველო დამოუკიდებლობისთანავე მზარდი ეთნიკური კონფლიქტების ასპარეზად იქცა. საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზების არსებობის საკითხი (თანაც თურქეთის საზღვრებთან ახლოს), სომხეთის საკითხზე ნაკლებ, მაგრამ თურქეთისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. თურქეთმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ენერგორესურსების მილსადენების საქართველოს ტერიტორიაზე გატარებისა და ანკარის შუა აზიასთან დაკავშირების საკითხს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარა. რაც შეეხება ჩეჩნეთის პრობლემას, პერიოდულად რუსეთი თურქეთს ჩეჩნური შეიარაღებული ძალების მხარდაჭერაში ადანაშაულებდა. თურქეთის მთავრობა ჩეჩნეთის საკითხს რუსეთის საშინაო საკითხად აღიარებდა და ამასთანავე ცდილობდა გარკვეული ზომები მიეღო თურქეთში მცხოვრები ჩეჩნური წარმოშობის თურქი მოქალაქეების მხარდასაჭერად, რომელთა წინააღმდეგ რუსეთს პრეტენზიები გააჩნდა [118].

2000-იანი წლების დადგომასთან ერთად წინა პლანზე გადმოინაცვლა ენერგეტიკული უსაფრთხოების ცნებამ, რამაც კავკასიას, როგორც კასპიის ენერჯის აუზს თურქეთისთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა მიანიჭა. ამავე დროს ამ რეგიონში მდებარეობს აზერბაიჯანიც, რომელიც ისტორიული, ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მსგავსების თვალსაზრისით ყველაზე ახლოა თურქეთთან, სომხეთი კი წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელთანაც თურქეთს არა აქვს

პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობა. ამიტომაც ეს რეგიონი თურქული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხად რჩება [119].

თურქეთისა და კავკასიის ურთიერთობების სრულად შეფასებისათვის საჭიროა დიფერენცირებული იქნას ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ თურქეთ-კავკასიის თანამედროვე პოლიტიკურ ურთიერთობებზე: **ჩეჩნეთის საკითხი:** ვ. პუტინის მიერ ჩეჩნეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებისას, საქართველოს საზღვრებს მიღმა ჩეჩენი პარტიზანების მიერ ბაზების შექმნის გამო რუსეთმა საქართველოზე ზეწოლა გააძლიერა, რამაც ავტომატურად დააფიქრა თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობა და მათ მკაცრი მონიტორინგის დაწესება მოუხდათ ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებზე [120];

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი და მთიანი ყარაბაღის პრობლემა: კონფლიქტის მხარეების გარდა ყველაზე მეტ დაინტერესებას რუსეთი, თურქეთი და ირანი იჩენენ. კონფლიქტის პერიოდში რუსეთმა სომხეთს დაუჭირა მხარი და დღესაც აგრძელებს მხარდაჭერას ამ ქვეყნისთვის, რომელიც კავკასიაში მისი გამოკვეთილი და ერთადერთი მოკავშირეა. თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანის პოზიციას და ყარაბაღის პრობლემას სომხეთთან ურთიერთობის წინაპირობად აყენებს. ირანი, რომელსაც ეთნიკური სტრუქტურის გამო არ სურს ჩრდილოეთ საზღვარზე ჰყავდეს ძლიერი აზერბაიჯანი, მხარს უჭერს კონფლიქტის გაგრძელებას. თითქმის 25 წლის მანძილზე მოუგვარებელი ყარაბაღის პრობლემა ჰგავს ნადმს, რომელიც სამომავლოდ ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების შემთხვევაში რეგიონის ქვეყნები: რუსეთი, თურქეთი და ირანი ჩაითრიოს [121];

ეთნიკური პრობლემები საქართველოში და სეპარატისტული

მოდრაობები: საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების მიერ დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნა დღესაც აქტუალურია. თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აჰმეთ დავუთოლლუ თავის ნაშრომში „სტრატეგიული სიღრმეები“ წერს, რომ „მუსლიმური აჭარის რეგიონის, ლიდერმა ასლან აბაშიძემ უფრო მაღალი დონის ავტონომიის მოთხოვნით ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, მაგრამ პრეზიდენტ მ. სააკაშვილის წარმატებული მანევრების შედეგად იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. სააკაშვილმა, რომელსაც აჭარის პრობლემის მოგვარების შემდეგ სურდა ასეთივე წარმატებას სამხრეთ ოსეთშიც მიეღწია, ანალოგიური სტრატეგიის გატარება დაიწყო, მაგრამ სამხრეთ ოსეთის რეჟიმთან, რომელსაც მხარს რუსეთი უჭერდა, წარმატებას ვერ მიაღწია“. აქ საგულისხმოა, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრი აჰმეთ დავუთოლლუ აჭარას „მუსლიმურს“ უწოდებს, რაც საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე მოქალაქეებში რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივების მიზეზი არერთხელ გამხდარა. მ. სააკაშვილის ხელისუფლებას აშკარად მართებდა ყურადღებით გაცნობოდა ა. დავუთოლლუს ნაშრომებს და ეროვნული უშიშროების საბჭოს დონეზე განეხილათ ზემოხსენებული საკითხი და დამოკიდებულება [122];

აჰმეთ დავუთოლლუს ასევე მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის კიდევ ორი რეგიონია პრობლემური - სომხებით დასახლებული ჯავახეთი და აზერბაიჯანელებით დასახლებული ქვემო ქართლი. ჯავახეთის რეგიონი, რომელიც სომხეთს ესაზღვრება და ამ ქვეყანასთან ინტენსიური ურთიერთობა აქვს, ბოლო წლებში მაღალი დონის ავტონომიის მინიჭებას ითხოვს. დაშნაკთა პარტია, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სომხურ დიასპორაში, პირველ ეტაპზე რეგიონის დამოუკიდებლობას და შემდეგ კი სომხეთთან მიერთებას

ითხოვდა. ამ დროისთვის საქართველოში ეთნიკური პრობლემები და სეპარატისტული მოთხოვნები გაყინულია, თუმცა მდგომარეობა შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს და სერიოზული კრიზისი გამოიწვიოს.

კასპის ენერგეტიკული აუზის საკითხი: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თვალსაზრისით უფრო მეტი მნიშვნელობა ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხს ენიჭება. ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ნავთობსადენმა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენმა აზერბაიჯანსა და საქართველოს სორის ეკონომიკური ინტეგრაცია გაზარდა, ამის საპირისპიროდ ამ პროექტების მიღმა დატოვებული სომხეთი მარტო დარჩა. აღნიშნული მილსადენები ხანგრძლივი დროის მანძილზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სერიოზულ ეკონომიკურ და სტრატეგიულ განსხვავებას წარმოშობს, რასაც გულისყურით აკვირდება „ოფიციალური ანკარა“. აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პერიოდული კვლევებით და ანგარიშებით ნათელი ხდება, რომ თურქეთის ეროვნული უშიშროების სამსახური მის წინაშე მდგარი აქტუალური საკითხების რიგში მოწინავე ადგილას აყენებს ენერგოუსაფრთხოების სფეროს და ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას [123].

ორგანიზაციული დანაშაულებრივი დაჯგუფებები და ტერორიზმი: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში დაწყებულმა კონფლიქტებმა და რეგიონის მთავრობების სისუსტემ ხელი შეუწყო ორგანიზებულ დამნაშავეთა ქსელის ჩამოყალიბებას და იარაღის, ნარკოტიკის კონტრაბანდა და ტრეფიკინგი კავკასიის რეგიონის ბუნებრივ პროცესად იქცა. ამ დანაშაულებრივმა ქსელებმა საერთაშორისო სახე მიიღო და კავკასია აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების ტრანსპორტირებისას ჩრდილოეთ და სამხრეთ გზების გადაკვეთის ადგილი გახდა. 2001 წელს გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ ამერიკელმა პოლიტოლოგმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამბობს,

რომ ბირთვული მასალების კონტრაბანდის პრობლემას კავკასიის რეგიონში ყველაზე ინტენსიური სახე საქართველოში მიეცა“. ამ და მსგავსი განცხადებების არსებობის შემთხვევაში აუცილებელია უსაფრთხოების სამსახურების ანალიტიკური დეპარტამენტების მიერ დროულად მოხდეს ხელისუფლების ინფორმირება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დასაცავად პასუხი მოეთხოვოს ყველა იმ უცხოელ ჟურნალისტსა თუ ექსპერტს რომელიც მტკიცებულებების გარეშე ჩირქს ცხებს ეროვნულ სუვერენიტეტს და მის უსაფრთხოებას;

უსაფრთხოების ქოლგის არარსებობა: სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას საერთო უსაფრთხოების ქოლგის არარსებობა წარმოადგენს. რეგიონი მოქცეულია რუსეთისა და ევროპის უსაფრთხოების სისტემებს შორის და ეს რეგიონული უსაფრთხოების პრობლემას ართულებს. 90-იან წლებში აშშ-ის მხარდაჭერით შექმნილ სუამის ორგანიზაციას, რომელშიც გაერთიანებულია საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა და მოლდავეთი, არა აქვს საკმარისი ძალა შექმნას საკმარისი უსაფრთხოების გარანტიები, რაც ჩემი როგორც დამწყები მკვლევარის აზრით შესაძლოა სამომავლოდ, უსაფრთხოების ქოლგის შექმნისთვის რეგიონში ახალი უსაფრთხოების ქოლგის შექმნის საფუძველი გახდეს;

თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან თანამედროვე ეტაპამდე საკმაოდ საინტერესოდ ვითარდებოდა, რომელშიც ზომიერ, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. უპრიანი იქნება მოკლე ისტორიული ექსკურსით ანალიზი გავუკეთოთ თურქეთის გეოპოლიტიკურ შტრიხებს სამხრეთ კავკასიის მიმართებაში.

1991-1994 წლებში, ოფიციალური ანკარა ძალღონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, მაქსიმალურად ხელსაყრელი ნია-

დაგი. მან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები და ოფიციალური წარმომადგენლობები გახსნა ამ ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, დღემდე სომხეთთან არსებულ ცივ ურთიერთობებს მრავალი ანალიტიკოსი აფასებს, როგორც თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის ფიასკოს [124].

თურქეთის ხელისუფლების ეკონომიკური დატვირთვის მქონე მორიგ ინიციატივას, რომელიც აგრეთვე მიმართული იყო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ, წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის რეგიონში „თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს“ (TIKA) დაარსება, რომლის მეშვეობითაც თურქეთმა ფაქტიურად გზა გაუხსნა თურქ ბიზნესმენებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს პოსტ-საბჭოურ სივრცეში მცირე და მსხვილი ინვესტიციების განსახორციელებლად. TIKA-ს წარმომადგენლობა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ, მეტად მტკივნეული პროცესის დამღვევაში, ამასთანავე მან საფუძველი ჩაუყარა მრავალი ეკონომიკური ხასიათის პროექტების განხორციელებას. (მაგ.: იმერეთის მხარის სოციალ-ეკონომიკური აღორძინება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ლტოლვილებისათვის ასი საცხოვრებელი სახლის აშენება, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის ქვეყნებში ძველი ისტორიული ძეგლების აღდგენა და ა.შ.). მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ არსებით გარემოებას, რომ 1991-1994 წლებში თურქეთი პრაქტიკულად მარტო აღმოჩნდა ხსენებულ რეგიონში მიტოვებული თავისი ტრადიციული მოკავშირეების ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მიერ, რომელთაც იმ დროისათვის ფაქტიურად არ ჰქონდათ

მკვეთრად განსაზღვრული სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა, რაც, რაღა თქმა უნდა უფრო აძნელებდა დასახული ამოცანებისა და მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. ყოველივე ამით ბრწყინვალედ ისარგებლა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციამ, რომელიც ამ დროის მანძილზე შეუდგა ე.წ. „რე-სოვეტიზაციის“ ეტაპობრივი გეგმის განხორციელებას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ ფორმირებით დასრულდა.

დასავლეთმა და ალიანსმა დროის მცირე მონაკვეთში გაითავისა, რომ „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“ (NACC) აღმოჩნდა არაქმედიტუნარიანი აღნიშნულ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ევროპული გეოპოლიტიკური სკოლებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლები 1994 წელს დადგნენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PARTNERSHIP FOR PEACE) კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის წინაშე და „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შემადგენლობაში“ შემავალმა ქვეყნებმა დაიწყეს PFP-ს ხელშეკრულების ხელმოწერის პროცედურა NATO-სთან ერთად [125]. ამას კი, რა თქმა უნდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში აღმოცენებული კონფლიქტების (სამაჩაბლო, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი) ერთიან პოტენციურად საშიშ კერაში კონსოლიდაცია-გაერთიანება მოჰყვა, რის შემდეგადაც თანამედროვე ევროპა დადგა მათი დარეგულირების აუცილებლობის წინაშე.

პარალელურად, თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა 1994 წლიდან იწყებს აქტიურ მუშაობას აღნიშნულ რეგიონებთან უფრო მეტად დაახლოებისა და დაკავშირებისათვის. ამ მიზნით მაქსიმალურად მოკლე დროში შემუშავებულ იქნა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან მიმდინარე თანამშრომლობის განვით-

არება-გაფართოებისაკენ მიმართული მკვეთრად განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემა, რომელიც თავის მხრივ დღემდე ემყარება სამ ძირითად პრინციპს: 1. პოლიტიკური დიალოგის გაფართოება; 2. ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება; 3. დიალოგი უსაფრთხოების საკითხებში[126].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსგავსი ხასიათისა და შინაარსობრივი დატვირთვის სამიტი თურქეთის რესპუბლიკის, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მონაწილეობით გაიმართა თურქეთის შავიზღვისპირეთის ქალაქ ტრაპიზონში 2001 წლის 30 აპრილს, ზემოხსენებული ღონისძიების ფარგლებში, ჩვენი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“[127].

რაც შეეხება უშუალოდ თურქეთისა და საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებს, საჭიროა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1923 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქი თავის ხალხს ყოველთვის მოუწოდებდა საქართველოსთან კეთილმეზობლობის აუცილებლობაზე. მიმდინარე ეტაპზე კი, თურქეთის რესპუბლიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად წარმოადგენს საქართველოს მთავარ მოკავშირე და პარტნიორ ქვეყანას, რაც აისახება როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში დახმარებით.

1992 წლის 30 ივლისს საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო მეგობრობისა და კეთილმეზობლობის პირველი სრულმამტაბიანი ხელშეკრულება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში ურთიერთთანამშრომლობაზე[128].

თურქეთსა და ჩვენს ქვეყანას შორის საგამანათლებლო-სამეცნიერო კონტაქტების, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ადმოსავლური ურთიერთობების შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1994 წელს ხელმოწერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება „საქართველოში ადმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. 1996 წლის 4 აპრილს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ [129]. აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სხვა სამხედრო პროგრამების განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის გრანტის პროგრამა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში და მისი მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვ. [130].

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის საკითხები წარმოადგენდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდულაჰ გიულის ვიზიტის ძირითად მიზანს საქართველოში. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყარსი-ახალქალაქის რინიგზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზიისა და ევროპის ბაზრებს.

2004 წლის თებერვალში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯაფრიძის ანკარაში ვიზიტის დროს მხარ-

ეებმა განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პარალელური მილსადენის მშენებლობის საკითხი, რომელიც რუსული ნავთობის ტრანსპორტირებას ევროპისაკენ უზრუნველყოფს.

საქართველოში 2003 წლის ნოემბრის თვეში განვითარებული მოვლენების ფონზე, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან და იმედიანად განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები კვლავ დარჩება კეთილმეზობლური და წარიმართება სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფინანსური დახმარებაც, რომელიც თურქეთმა გაუწია საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისათვის.

ზემო აღნიშნულთან ერთად საგულისხმოა, რომ თურქეთი კვლავ გახლდათ პირველი სახელმწიფო, რომელმაც მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, 2008 წლის აგვისტოში პირველმა გაუწია საქართველოს რუსეთთან ომის მსვლელობის დროს ჰუმანიტარული დახმარება და მეომარ მხარეებს ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკაზე საუბრისას დღეს უკვე არ შეიძლება არ შევხვით აღნიშნული ქვეყნისა და სომხეთის ურთიერთობების წარსულსა და მომავალ პესპექტივებს. XXI საუკუნის დასაწყისიდან სომხურ-თურქული ურთიერთობების განხილვამ ძალიან ფართო ხასიათი მიიღო, პირველი სერიოზული ნაბიჯი თურქეთ-სომხეთის პოზიციათა დაახლოების მცდელობისა დაიწყო 2003 წლის ივნისში, მადრიდში გამართულ ნატო-ს მინისტრთა შეხვედრისას, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიულიმ ახლო მომავალში სომხეთთან საზღვრის გახსნის შესაძლებლობაზე ისაუბრა. მიუხედავად ამისა მაშინდელი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იმ პერიოდისათვის მკაცრად უსვამდა ხაზს ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლ-

იტყვი ხასიათის პრობლემების, მოგვარების აუცილებლობას, რაც პირველ რიგში დაკავშირებული იყო გენოციდის აღიარების საკითხთან და მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებასთან.

სომეხთა ერთ-ერთი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ოსმალეთში დაიწყო 1908 წელს „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ რევოლუციური გადატრიალების შემდეგ. ქვეყნის სათავეში მოსული ტრიუმვირატის: ჯემალ ფაშას, თალაათ ფაშას და ენვერ ფაშას თაოსნობით. ავანტიურისტმა მმართველებმა 1914 წელს ერზურუმში სომეხებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს წარმომადგენლები, რათა რუსეთ-თურქეთის შეჯახების შემთხვევაში სომეხების პოზიცია გაერკვიათ. როდესაც ყველა შეთავაზებაზე კატეგორიული უარი მიიღეს, მაშინ „ახალგაზრდა თურქთა“ დელეგატებმა საჯაროდ განაცხადეს: „აშკარაა, რომ კავკასიაში სომეხები რუსებს ემხრობიან და თურქეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, თურქეთის წარუმატებლობის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა თქვენ სომეხებს დაგაწვებათ“ [131].

დელეგაციის წევრთა განცხადება სრულ სიმართლეს შეიცავდა. დასავლეთ სომხეთიდან ბევრი იქაური მკვიდრი, მათ შორის დაშნაკები, რუსეთის მხარეს გადადიოდნენ, რომ თურქეთის წინააღმდეგ მის ჯარში ებრძოლათ. აღნიშნულ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით ოსმალეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ გამოსცა ბრძანებულება, რომელშიც ერთგან ნათქვამი იყო: „აშკარაა, რომ როგორი შედეგიდაც უნდა დასრულდეს ეს ომი, სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ისევე წამოიჭრება სომხური საკითხი, რომელიც, უკვე ნახევარი საუკუნეა, საერთაშორისო საკითხად იქცა და თურქეთის გულს ლახვარით ესობა“ [136]. ამიტომ „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობამ გადაწყვიტა, სომხური საკითხის ხელახალი აღმოცენება თავიდან აიცილებინა. სომხური საკითხის არიდება კი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა - თურქეთში სომეხები

ადარ უნდა დარჩენოლიყვნენ. ბრძანების თანახმად, ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა და დეპორტაციების ახალმა ტალღამ 1915 წელს იფეთქა და პერიოდულად გრძელდებოდა 1922 წლამდე.

დღეისათვის თურქი ისტორიკოსები და მათი ევროპელი კოლეგების ნაწილი, მათ შორის აღიარებული მეცნიერები ნორმან სთუნი, ბერნარ ლიუსი, ჟილ ვაინშტაინი უარყოფენ სომეხთა განადგურების მიზანმიმართულ ხასიათს, რაც გენოციდის აღიარების აუცილებელი პირობაა. ისინი თავიანთ აზრს ამტკიცებენ იმით, რომ ამ შინაარსის დოკუმენტები დღეს ფაქტობრივად არ არსებობს, მაგრამ 1978 წლიდან გერმანიაში დევნილის სტატუსით მცხოვრები თურქი ისტორიკოსი თანერ აქჩამი, რომელიც ამ საკითხში ორჰან ფამუქის და რამდენიმე წლის წინ მოკლული სომეხი ჟურნალისტის, გრანტ დინკის თანამოაზრეა, წერს, რომ მსგავსი დოკუმენტების ძიება ერთი შეცდომითაა გამოწვეული: სომეხი და დასავლელი ისტორიკოსები არ იცნობენ ოსმალების ტრადიციულ დამოკიდებულებას წერილობითი დოკუმენტების მიმართ. ეს ტრადიცია მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბრძანებულებების სიტყვიერ ხასიათს გულისხმობს [132].

თავის გახმაურებულ წიგნში „თურქული ეროვნული ცნობიერება და სომხური საკითხი“ აქჩამი საინტერესო და ღრმა ანალიზს გვთავაზობს, თუ რატომ ადევს ტაბუ სომხურ საკითხს დღევანდელ თურქეთში. ეს მიზეზებია: ისტორიული ცნობიერების და მეხსიერების არქონა; ეროვნულ ცნობიერებაში მომხდარი წყვეტა, რისი მიზეზიც რესპუბლიკური პერიოდის თაობების მიერ ყოველივე ოსმალურის ზიზღში, 600 წლიანი ისტორიის ისლამურობისათვის ხაზის გადასმაში, წარსულის დავიწყების სურვილში იმალება; თურქი ერი დემოგრაფიულადაც „ახალგაზრდაა“. თურქეთის რესპუბლიკური პერიოდი მართლაც წინააღმდეგობრივია; ერთი მხრივ, ოსმალური წარსულის სიმძულვილი იკვეთება მეორე მხრივ

ოსმალური პერიოდის დაამაულებათა უარყოფის ან დავიწყების სურვილი. მართალია, თურქეთის ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა რამდენიმე ხნის წინ კამპანია „სომხებო შეგვინდეთ“ წამოიწყო, მაგრამ თურქეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სომეხთა ხოცვა-ჟლეტაზე არაფერი იცის, ხოლო 2008 წელს რ. ერდოღანმა განაცხადა, „ეს დანაშაული ჩვენ არ ჩაგვიდენია და პატიება არავისთვის გვაქვს სათხოვნი“ [133].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს ანკარამ აღიარა სამივე ამიერკავკასიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, თუმცა საქართველოსა და აზარბაიჯანისაგან განსხვავებით, უარი თქვა ერევანთან დიპლომატიური კავშირის დამყარებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ 1990 წელს მიღებულ სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია: „სომხეთი ხელს შეუწყობს 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში და დასავლეთ სომხეთში, სომეხი ხალხის გენოციდის საერთაშორისო აღიარებას“ [134].

თურქეთმა სომხეთთან საზღვრის ჩაკეტვა 1993 წელს გადაწყვიტა, როცა სომხურმა ძალებმა მთიანი ყარაბაღის მოსაზღვრე ქელბაჯარის რაიონი დაიკავეს. გაითვალისწინა რა ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური და სტრატეგიული ინტერესები აზერბაიჯანთან, თურქეთმა დაიწყო სომხეთის ბლოკადა, რომელიც უკვე 16 წელია გრძელდება.

1998 წლის აპრილში შეერთებული შტატების ჩარევის შედეგად სომხეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს უწყებათაშორის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, თურქეთმა სომხეთის საჰაერო ბლოკადა შეწყვიტა. ზუსტად 14 წელიწადში 2009 წლის 22 აპრილს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა „საგზაო რუკას“, რომლის საჯარო დოკუმენტშიც წერია მხოლოდ ის, რომ „სომხეთმა და თურქეთმა შვეიცარიის შუამავლობით, ინტენსიურად იმუშავეს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის და ამ ურთიერთობების კეთილმეზობლურ

და ურთიერთპატივისცემის ჩარჩოებში გადაყვანისთვის. ეს ხელს შეუწყობს მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის დამყარებას მთელ რეგიონში... ამ კონტექსტში მხარეების მიერ განსაზღვრულია „საგზაო რუკა“. უკვე შეთანხმებული საკითხები უზრუნველყოფს ორმხრივი პროცესის გაგრძელების პერსპექტივას“ [135].

აღნიშნული დოკუმენტის შესახებ სომხეთში 23 აპრილს შეიტყვეს, ზუსტად მეორე დღეს, 24 აპრილს, მთელი სასომხეთი და მსოფლიოში მცხოვრები სომხები, 1915-18 წლებში ოსმალეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაღუპული 1,5 მილიონი სომეხის ხსოვნის დღეს აღნიშნავენ. მრავალი წლის განმავლობაში ამერიკის პრეზიდენტები ყოველ 24 აპრილს სიტყვით მიმართავენ თავიანთი ქვეყნის სომხურ ლობს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდარ ტრაგედიას უსამძიმრებენ, რა დროსაც ყოველთვის იყენებდნენ ფრაზას „მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“ [136].

დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატები უშუალოდ არის ჩარეული თურქეთსა და სომხეთს შორის უთანხმოების მოგვარების საკითხში. შეერთებული შტატების აზრით, აღნიშნული ქვეყნების დაახლოება ხელს შეუწყობს კავკასიაში მშვიდობის დამყარებას, ახალი დერეფნების გახსნას დასავლეთში ნავთობისა და გაზის ექსპორტირებისათვის, შეზღუდავს რუსეთის ბატონობას სომხეთში და აღმოფხვრის ვაშინგტონსა და ანკარას შორის ერთ-ერთი კამათის საბაზს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შერიგებას დასავლელებისაგან განსხვავებით რუსი ექსპერტები და პოლიტიკოსები სხვა მხრიდან ხედავენ და განიხილავენ. სწორედ ამიტომ კრემლიც დადებითად არის განწყობილი ისტორიული მტრების შერიგებისადმი და ცდილობს, თვითონაც აქტიურად ჩაერთოს ამ პროექტში, რომ შემდეგ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იგი. ცნობილი გეოპოლიტიკოსი ა. დუგინი თავის ახალ ნაშრომებში და სატელევიზიო გამოსვლებში ხმამაღლა უხდის ბოდ-

იშს თურქეთის რესპუბლიკას იმისათვის, რომ მანამდე თურქებს რუსეთის ფედერაციის მტრად აცხადებდა [137].

მხარეებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლებს: „სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების შესახებ“ და „სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ“.

მიუხედავად პროტოკოლების გაფორმებისა, მთავარი ჯერ წინ არის, რადგან აღნიშნული ხელშეკრულებების რატიფიცირება პარლამენტებმა უნდა მოახდინონ, სადაც თავისთავად წამოიჭრება ურთიერთობებში არსებული პრობლემები: სომხეთის გენოციდის საკითხი და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო გადაუჭრელი კონფლიქტი. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი განცხადებით, მისი მთავრობა შეთანხმებას გზას მისცემს, თუ სომხეთი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან თვისი ჯარის ნაწილს მანც გაიყვანს [138].

თურქულ-სომხურ ურთიერთობებში პროგრესი მხარეებს სხვადასხვაგვარად ესმით. თუ სომხეთისათვის პროგრესი ნიშნავს საზღვრის გახსნას, თურქეთისათვის იგი შეიძლება იყოს ოფიციალური და არაოფიციალური საჯარო შეხვედრები სომხურ მხარესთან. ისინი, ვინც ყოფილი პრეზიდენტის სარქისიანის პოლიტიკას აკრიტიკებდნენ, ამბობდნენ, რომ აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული ვადები ანუ, საზღვარი დაკეტა თურქეთმა და, შესაბამისად, მანვე უნდა გახსნას იგი კონკრეტულ ვადებში.

თურქეთ-სომხეთს შორის „ყინულის დნობის“ პროცესს ფრთხილად აკვირდება და ძალიან დელავს თურქეთის „უმცროსი ძმა“ და სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანი. ბაქოში დღეს უკვე ისმის რადიკალური განცხადებები, რომ თურქეთი თავის „უმცროს ძმას“ აზერბაიჯანს დალატობს. საინტერესოა საქართველოს ფაქტორიც. მოკლევადიან პერსპექ-

ტივაში, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის შედეგად იზარალებს მხოლოდ საქართველო [139], რადგან ტრანზიტული ტვირთების დიდი ნაწილი უკვე სომხეთზე გაივლის, ხოლო ერევანს, რომელიც მხოლოდ საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალებზე იყო დამოკიდებული და საკმაოდ დიდ თანხას იხდიდა საქართველოს ბიუჯეტში, ახლა სხვა მარშრუტზე ექნება.

მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთსა და სომხეთს შორის თუ მოხერხდა საბოლოოდ და სრულყოფილად დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მოსალოდნელია, რომ ეს რიგითი რეგიონალური მოვლენა გადაიზარდოს გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებში [140].

ქართველი ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მ. არეშიძე აღნიშნავს, რომ თურქულ-სომხური შერიგება ამერიკის შეერთებული შტატების პროექტია და იგი პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის ახალი ხედვაა კავკასიის საკითხებში; „ამერიკამ თავი დაანება საქართველოზე მთავარი ორიენტირების გაკეთებას მთელი რიგი მოვლენების გამო და ცდილობს, გლობალური პოლიტიკური თამაშის წევრად მთლიანი რეგიონი გამოიყვანოს“ [141].

ობამას ადმინისტრაცია რუსეთთან ღია დაპირისპირებაზე უარს აცხადებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გააგრძელებს გეოპოლიტიკურ თამაშს და შეეცდება გავლენის სფეროები წაართვას მას [142].

თუ სომხეთი პრორუსულიდან პროდასავლურად გადაიქცევა, ეს იქნება რიმლანდის კიდევ ერთი გამარჯვება ჰართლანდზე და რუსეთის ფედერაცია მთლიანად დაკარგავს გავლენას სამხრეთ კავკასიაში.

თურქეთის მეჯლისში აცხადებენ, რომ რატიფიცირებას იმ შემთხვევაში მოახდენენ, თუ მასში ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ინტერესები იქნება გათვალისწინებული, სომხეთის საზოგადოება და დიასპორაც კატეგორიული

წინააღმდეგია დაახლოებისა, მათვის მთავარ პრობლემად ისევ და ისევ გენოციდის არაღიარების საკითხი რჩება. რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას ამ საკითხის ირგვლივ იკვრება ძალიან საინტერესო კვანძი: ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება? ვინ უფრო წარმატებული იქნება ამ „ჭიდაობაში“; რუსეთი შეძლებს და გადაიყვანს თურქეთს, თუ დასავლეთი შეძლებს და სომხეთს საბოლოოდ გამოგლიჯავს რუსეთს კლანჭებიდან? [143]

რეალურად ამის პასუხს მხოლოდ დრო გვაჩვენებს, ხოლო რამდენად შეეხება ეს პროცესი საქართველოსა და მის ურთიერთობას თურქეთის რესპუბლიკასთან, ესეც მხოლოდ მომავალში განვითარებულ მოვლენებზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, იგი ანკარასთან ეთნიკურად ძალიან ახლო, იდეალური ეკონომიკური და სამხედრო მოკავშირეა, მაგრამ ბოლო ხანს მათი სტრატეგიული პარტნიორობა უპრეცედენტოდ დაზარალდა, რასაც შეიძლება შორს მიმავალი შედეგები მოყვეს. იმ მომენტიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც თურქეთის მმართველმა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ“ განაცხადა, რომ აზერბაიჯანის მოსისხლე მტერთან სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას გეგმავს, ანკარასა და ბაქოს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაცივდა. ბაქო განსაკუთრებით აღაშფოთა თურქეთ-სომხეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე შეთანხმების ხელისმოწერამ. აზერბაიჯანის საზოგადოებამ და ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თურქეთის ცალმხრივი პოლიტიკა დაგმეს. ბევრ საერთაშორისო ექსპერტს მიაჩნია, რომ ანკარამ კიდევ ერთი მეგობრულად განწყობილი მეზობლის შეძენის მცდელობისას, აშკარად გადააჭარბა და აზერბაიჯანთან სტრატეგიული ურთიერთობები დანგრევის პირას მიიყვანა [144].

ცხადია, სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა ბოლო-დრო-ინდელმა მოვლენებმა, ასევე თურქულ-სომხურმა დაახ-

ლოებამ ანკარა-ბაქოს სტრატეგიულ პარტნიორობას წყალი შეუყენა. სტრატეგიული პარტნიორობის გარეშე თურქეთ-ევროკავშირი-ამერიკის შეერთებული შტატების ღერძის არსებობა და მისი გაგრძელება შუა აზიის რეგიონში საჭოჭმანო გახდება. თურქულ-სომხური ურთიერთობების ნორმალიზაციის მომხრე ანკარის, ბრიუსელისა და ვაშინგტონის ოფიციალური პირების მიერ დაშვებულ ამ გეოპოლიტიკურ შეცდომას აზერბაიჯანის ინტერესების გათვალისწინებისა და ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის უპერსპექტივო, ბუმერანგის ეფექტი მოყვება [145].

ამ სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს რკინიგზა, რომელიც რეგიონის შიგნით თბილისისა და ახალქალაქის გავლით, ბაქოს ყარსთან დააკავშირებს. ამ პროექტის იდეა თურქეთის რესპუბლიკას 1993 წლიდან ჰქონდა. თუმცა რეალობაში მისი განხორციელება მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია დაიწყო და პროექტის ოფიციალური გახსნა 2007 წლის ნოემბერში შედგა. ევროპისა და ჩინეთის მზარდი ინტერესების ფონზე ზოგადად ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონების და კონკრეტულად ამ რეგიონებში არსებული ენერჯო რესურსების მიმართ, აღნიშნული პროექტის მნიშვნელობა იმატებს. სწორედ ამიტომ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი უკვე მოიხსენიება, როგორც აბრეშუმის გზის აღდგენის მცდელობა.

ამრიგად, საბოლოოდ არა მარტო რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის იქნება მნიშვნელოვანი დღევანდელ გეოპოლიტიკურ პასიანსში თურქეთის რესპუბლიკის საბოლოო როლი. იმ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ თურქეთის რესპუბლიკამ არ მოახდინა სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრა „ჰარტლანდის“ ანუ ევრაზიულობის სასარგებლოდ, რაც დამლუპველი იქნება, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დემოკრატიული პოლიტიკისა და ღირე-

ბულებებისათვის, ისე თვითონ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის. ხოლო თუ მოვლენები ასე არ განვითარდა და ანკარამ თავისი გეოპოლიტიკური კურსი და ძველი მოკავშირეები შეინარჩუნა, მაშინ ეს გახლავთ უკვე აბსოლიტურად ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტიული ინიციატივების პერიოდი, როგორც ორისო თანამეგობრობისათვის, ისე რეგიონის ისეთი პატარა ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა.

თავი III. თურქეთის საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან XXI საუკუნის დასაწყისში

§1. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანები 1980-2000 წლებში და პოლიტიკური ანალიზი

1980-1983 წწ. თურქეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკის სამხედრო რეჟიმისეული ხედვა და კოორდინირება. სამხედრო რეჟიმი, რომელსაც ურყევი პოზიცია გააჩნდა შიდა დაპირისპირებისა და ტერორის აღკვეთასთან დაკავშირებით, საგარეო პოლიტიკის საკითხებში მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1980 წელს ქენან ევრენის მიერ გეგმის მიღება. ზოგიერთი წყაროს დაყრდნობით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაფერი იცოდა ქენან ევრენის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით [146].

ამ პერიოდის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკის გამოცხადება. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რომ თურქეთის სამხედრო რეჟიმი აბსოლიტურად დამოუკიდებლად მოქმედებდა. 1983 წლის 13 თებერვალს კვიპროსის ბერძნულ ნაწილში ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა კიპრიანუმ პაპანდრეუ, რომელმაც კვიპროსის საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა. ზემოხსენებულმა ფაქტმა თურქეთის გაცხარება გამოიწვია და 1983 წლის 17 ივნისს კვიპროსელ თურქთა ფედერაციული სახელმწიფოს ეროვნულმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება თურქი ხალხის თვითგამორკვევის უფლების შესახებ. 1983 წლის 15 ნოემბერს, სანამ ხელისუფლებაში მოვიდა ოზალის მთავრობა, კვიპროსელ თურქთა ფედერაციული წიფოს ეროვნულმა კრებამ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკა გამოაცხადა[147].

გამოკვეთილი უძრაობა შეინიშნებოდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან ურთიერთობაშიც. ს. დემირელის მთვარობამ ევროპის წინაშე თურქეთის შელახული იმიჯის გამოსწორებდა და პარტნიორობის აღდგენისათვის 1980 წლის 30 ივნისს ჩატარებული პარტნიორობის საბჭოს სხდომის შემდეგ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა, მაგრამ სამხედრო გადატრიალების გამო ეს მცდელობა არ განხორციელებულა[148].

კიდევ ერთი პრობლემა რომლის წინაშეც აღმოჩნდა თურქეთი 1980-1983 წწ. იყო საერთაშორისო „სომხური ტერორი“. საერთაშორისო საზოგადოება არ რეაგირებდა სომეხი ნაციონალისტების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში თურქი ელჩებისა და აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებზე, მაგრამ მას შემდეგ რაც 1983 წლის 5 ივლისს, პარიზში, ორლის აეროპორტში თურქეთის ავიახაზების ბიუროს წინ ბომბის აფეთქებას სამოქალაქო პირების დაღუპვა მოჰყვა, დასავლეთი იძულებული გახდა ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო აქტიური პოზიცია გამოეხატა. ამის შედეგად სომხურმა ლობმა უარი თქვა ტერორის გამოყენებაზე და დაიწყო სომეხთა გენოციდის შესახებ პროექტების მომზადება და მისი გატანა საერთაშორისო ასპარეზზე, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა.

ამ პერიოდის სამხედრო პოლიტიკური რეჟიმი თვითნებურად ახორციელებდა აგრესიისა და დათმობის საგარეო პოლიტიკას, რამაც თურქეთს საგარეო პოლიტიკაში გარკვეული პრობლემები შეუქმნა. გარდა ამისა აღნიშნული პერიოდი შეიძლება შეფასდეს, როგორც 1970-იანი წლებში დაწყებული დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსიდან გადახვევა და დასაწყისი კული პოლიტიკის გავლენისა თურქეთსა და მის მეზობელ რეგიონებზე [149].

1983-1993 წწ. - თურგუთ ოზალის პრემიერ-მინისტრობისა და პრეზიდენტობის პერიოდი.

1983 წლის არჩევნებში, მიუხედავად სამხედრო რეჟიმისა, მოულოდნელად საყოველთაო არჩევნები მოიგო თურგუთ ოზალის მიერ შექმნილმა დედასამშობლოს პარტიამ (Anavatan Partisi) და დაიწყო ახალი პერიოდი თურქეთის უახლოეს ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ პროდასავლურად მოაზროვნე თურქი პოლიტოლოგები და ამერიკელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თურგუთ ოზალის ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროებმა თურქეთის სამხედრო სფეროში და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აქტიურმა მუშაობამ რათა თურქეთში ხელისუფლებაში მოსულიყო პროდასავლურად განწყობილი ეთნიკურათ ქურთი თურქი პოლიტიკოსი - თურგუთ ოზალი [150]. დედასამშობლოს პარტიაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ დაეკომპლექტებინათ საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგრამ სამხედრო რეჟიმი მოერიდა თურგუთ ოზალისთვის საგარეო პოლიტიკის საკითხებში უფლებამოსილების გადაცემას და პირადად ქენან ევრენის მოთხოვნით, საგარეო საქმეთა მინისტრად ვაჰით ჰალეფოღლუ დაინიშნა.

თურგუთ ოზალის პრემიერობის პერიოდში განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან ურთიერთობას [151]. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით შეინიშნებოდა როგორც აღმავლობის, ასევე დაღმავლობის ეტაპები. 1986 წლის 16 სექტემბერს, პარტნიორობის საბჭოს სხდომაზე საბერძნეთი დღის წესრიგში პოლიტიკური საკითხების გატანას ეცადა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მესუთ ილმაზმა აღნიშნულზე მწვავე რეაქცია გამოხატა და სხდომა ყოველგვარი კონკრეტული შედეგის გარეშე დაიშალა.

არ უნდა დავივიწყოთ არც საბერძნეთის ფაქტორი. 1981 წელს საბერძნეთის ხელისუფლებაში პასოკის მოსვლა და

ანდრეას პაპანდრეუს პრემიერ-მინისტრობა თურქულ-ბერძნული ურთიერთობებისათვის დადებითი მოვლენა არ იყო. 1988 წლის 31 იანვარს დავოსში, პაპანდრეუსთან შეხვედრისას თურგუთ ოზალმა ძალისხმევა არ დაიშურა ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისთვის, მაგრამ ბერძენი კოლეგისგან ასეთი დამოკიდებულება ვერ დაინახა. შესაბამისად, 1980-იან წლებში პასოკის დროინდელი საბერძნეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკა (თურქეთთან დაკავშირებულ ყველა საკითხში) შეიძლება შეფასდეს ორი სიტყვით „სარმის გამოკვრა“. ამან განსაკუთრებული კვალი დაატყო ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან თურქეთის ურთიერთობასაც [152].

თურქეთს აკრიტიკებდნენ იმისთვის, რომ ადამიანის უფლებათა საკითხში მისი პოლიტიკა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და ესეც ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ცალკე პრობლემას ქმნიდა. ამ კრიტიკის დასასრულელებლად 1987 წელს თურქეთის მეჯლისმა გარკვეული სიფრთხილით მიიღო ევროსაბჭოში თურქეთის მოქალაქეების ინდივიდუალური მიმართვის უფლება. შემდეგ კი 1990 წელს დაამტკიცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. ამგვარად, 1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მომხდარი მოვლენების შემდეგ, რომელიც ქურთთა უფლებების უხემ დარღვევებს ეხებოდა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ კომპენსაციის მოთხოვნით შეტანილი სარჩელების პერიოდი. ცნობილია, რომ აღნიშნული სარჩელების შედეგად, თუქეთი იძულებული გახდა კომპენსაციის სახით გადაეხადა 33 მილიონ ევროზე მეტი. მართალია ბოლო ხანებში შემცირდა სარჩელების ოდენობა, მაგრამ თურქეთი დღესაც აგრძელებს კომპენსაციების გადახდას [153].

თვალშისაცემია ოზალის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ამერიკაზე აშკარად ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა. 1989 წელს თურქეთმა გაეროში მხარი დაუჭირა აშშ-ის მიერ პანამის დაკავებას. სანაცვლოდ კი სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება 5 წლით გაგრძელდა და ამერიკის კონგრესმა შეპირებული ფინანსური დახმარება 45%-ით გაუზარდა თურქეთს [154].

ამ პერიოდის ერთ-ერთ თავისებურად თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე მკვლევართათვის კვლავ რჩება ოზალის მიდგომა - პროცესებს მიღმა დაეტოვებინა საგარეო საქმეთა სამინისტრო და მთავრობაც. ამ მიდგომის ტიპურ მაგალითს წარმოადენს სპარსეთის ყურის პირველი ომის დროს (1990-1991 წწ.) ერაყში ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ იმდროინდელი აშშ-ის პრეზიდენტისა და ოზალის სატელეფონო საუბრები და პრეზიდენტ ოზალის მიერ გაკეთებული განცხადებები იმის შესახებ, რომ თურქეთი ამერიკის მხარდაჭერით დიდ მოგებას ნახავს („სამს დადებს და ხუთს მიიღებს“) [155].

უფრო მეტიც ამ პერიოდში ირედენტუიზმის გავლენით თურგუთ ოზალმა განაცხადა, რომ აუცილებელია თურქული ჯარის შესვლა მოსულსა და ქირქუქში, მაგრამ სამხედრო ფრთამ აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და გენერალური შტაბის უფროსი - ნეჯით თორუნთაი თანამდებობიდან გადადგა. პერიოდულად როგორც დემირელი, ასევე ოზალი, ადრიატიკიდან ჩინეთის დიდ კედლამდე გადაჭიმულ თურქულ სამყაროზე საუბრობდნენ, მაგრამ ეს თემა მეტად აღარ გაღრმავებულა. ამასთანავე შუა აზიის თურქულენოვანმა რესპუბლიკებმა არ ისურვეს „უფროსი ძმის“ როლში თურქეთის ხილვა და ეს საკითხი მხოლოდ იდეის დონეზე დარჩა. მეორე მხრივ ამ იდეის განხორციელებას ხელს უშლიდა რუსეთი, რომელმაც ამ რეგიონში გავლენა კვლავ შეინარჩუნა [156].

თ. ოზალის შემდგომ პერიოდში თურქეთი უყოყმანოდ თანმხლებოდა დასავლეთის მიერ თავმოხვეულ პროექტებს, ხოლო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორცაა ადამიანის უფლებები და დემოკრატია, მეტისმეტ წინააღმდეგობას უწევდა დასავლეთს. შესაბამისად, იგი თითქოს დასავლეთისგან გარიყული რჩებოდა. ამიტომაც თურქეთის საგარეო პოლიტიკა უფრო მეტად ხდებოდა ამერიკაზე ორიენტირებული.

პარალელურად გაიზარდა აშშ-ს დაინტერესება ისეთი საშუალო სიდიდის სახელმწიფოთი როგორც იყო თურქეთი. აშშ-ს თურქეთი სჭირდებოდა, ერთი მხრივ, ევრაზიისა და კასპიის ენერგეტიკული წყაროების, მეორე მხრივ ერაყის იმდროინდელი ლიდერის სადამ ჰუსეინის გასაკონტროლებლად ოპერაციისათვის „Provide Comfort“. გარდა ამისა, აშშ-ს აზრით, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში თურქეთს ისრაელისთვის უნდა დაეჭირა მხარი [157].

1993 წლის 16 აპრილს, პრეზიდენტ თურგუთ ოზალის გარდაცვალების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი ვინ იქნებოდა პრეზიდენტი, მაგრამ ეს პრობლემა მოკლე ხანში გადაიჭრა და სულეიმან დემირელი ჩანქიას სასახლეში მე-9 პრეზიდენტად შევიდა.

თუ შევაფასებთ სულეიმან დემირელის როგორც პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, განსაკუთრებით საგარეო საკითხებში, დავინახავთ რომ იგი დიდად არ განსხვავდება თურქეთს ოზალის საგარეო პოლიტიკისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორივე პრეზიდენტი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა. დემირელი ოზალისგან განსხვავდებოდა იმით, რომ არ იღებდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და არჩევდა მთავრობასთან კონსულტაციების გამართვასა და კონსენსუსს. შედეგად ოზალის მმართველობისგან განსხვავებით, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის სიტუაცია მოწესრიგდა და ურთიერთობები დათბა.

თუმცა ამ პერიოდში თვალშისაცემი გახდა პრეზიდენტისა და მთავრობის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის განსხვავება. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი ნეჯმეთინ ერბაქანი ცდილობდა ირანსა და ლიბიასთან დაახლოებას. რთულია საუბარი იმაზე, ეთანხმებოდა თუ არა პრემიერ-მინისტრის მცდელობას სულეიმან დემირელი. როცა ნეჯმეთინ ერბაქანის რამდენიმე მცდელობამ ფიასკო განიცადა თურქეთი იძულებული გახდა ისევ საგარეო პოლიტიკის ჩვეულ რეჟიმს დაბრუნებოდა. ასეთი ვითარება შეიქმნა მაშინაც როდესაც პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის ფარული თანხმობით აზერბაიჯანში ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ გადატრიალება მზადდებოდა. პრეიდენტმა დემირელმა როგორც კი გადატრიალების შესახებ შეიტყო განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერდა ალიევის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს და აზერბაიჯანის პრეზიდენტს მაშინვე აცნობა მოსალოდნელი გართულებების შესახებ. ამგვარად პრეზიდენტმა დემირელმა ალიევთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა [158].

კიდევ ერთი საკითხი რომელზე გავლენის მოხდენასაც თურქეთი ცდილობდა იყო იუგოსლავიის დანაწილება, სერბებისა და ხორვატების მიერ, ბოსნია-ჰერცეგოვინის დაპყრობა. მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. თავდაპირველად თურქეთი ჰუმანიტარულ საკითხებში ბოსნია-ჰერცეგოვინისათვის დახმარებას და მხარდაჭერას ეცადა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევით განხორციელდა სამხედრო ოპერაცია და ხელი მოეწერა დეიტონის შეთანხმებას.

ამ პერიოდის აღსანიშნავი მოვლენაა 1996 წლის იანვარში საბერძნეთიდან დაწყებული იმია-კარდაკის კრიზისი. ბოდრუმიდან სამი მილის დაშორებით მდებარე კუნძულ კარდაკთან (ბერძნულად - იმია) თურქული გემის მეჩეჩზე ე.წ. შეჯდომით დაწყებული პროცესი ურთიერთდაპირისპირებამდე მივიდა. თავი რომ დავანებოთ ამ პატარა კუნძულის

გაურკვეველ სამართლებრივ სტატუსს, ამ უმნიშვნელო საკითხმა ორი ქვეყანა ომის ზღურბლთან მიიყვანა. აშშ-ის პროცესებში ჩარევით შეტაკება უკანასკნელ წლებში აღიკვეთა. თუმცა თანსუ ჩილეის მთავრობის მიერ ასეთი საჩოთირო საკითხის შიდაპოლიტიკურ მასალად გამოყენებამ საკითხისადი ზედაპირული მიდგომა გამოაშკარავა [159].

ამ პერიოდში თურქეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას აბდულა ოჯალანი (ქურთთა ლიდერი) ქმნიდა. ცნობილია, რომ ოჯალანი ჰაფიზ ასადის ფარული მხარდაჭერით წლების მანძილზე სირიიდან მართავდა ტერორისტულ ორგანიზაციას - ქურთისტანის მუშათა პარტიას (PKK). თუ თავდაპირველად თურქეთის მცდელობები უშედეგოდ რჩებოდა, 1998 წელს ეს საკითხი უეცრად გამწვავდა და ორი ქვეყანა ომის დაწყების საშიშროებამდე მივიდა. შედეგად აბდულა ოჯალანი იძულებული გახდა სირია დაეტოვებინა და თავი შეეფარებინა ჯერ რუსეთისთვის, შემდეგ კი იტალიისა და საბერძნეთისთვის. საბერძნეთის მთავრობა რისკს მოერიდა და ოჯალანმა კენიის თავშესაფარი მიიღო [160].

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ჩატარებული საერთაშორისო სპეც.ოპერაციის შედეგად ოჯალანი კენიაში დააკავეს და 1999 წლის 15 თებერვალს თურქებს გადასცეს (თვითმფრინავით ჩაუყვანეს ანკარაში). ამგვარად პრობლემა რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა აშშ-ს დახმარებით გადაიჭრა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ამის შესახებ საუბარი არ სურს არც ამერიკულ და არც თურქულ მხარეს, ბადებს ეჭვს რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეებს შორის გარკვეული ვაჭრობა მიმდინარეობდა. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ამერიკის ცენტრალური დაზვერვის სამმართველო ოჯალანის დაკავებითა და თურქეთისთვის გადაცემით ცდილობდა დაეძლია თურქეთის შიში ქურთული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით [161].

თუ ირანის რევოლუციით გამოწვეულ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო გარდაქმნებს შევაფასებთ საგარეო პოლიტიკის ისეთ სიბრტყეში, რომელიც მოიცავს ურთიერთობას ვაჭრობისა და უსაფრთხოების საკითხებში, მაშინ ადვილად დავინახავთ თუ როგორი მდელვარება გამოიწვია აღნიშნულმა პროცესმა [162]. ზემოხსენებული პროცესების შემდეგ შეიქმნა უსაფრთხოების საფრთხეც. ამ პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შეექმნა ეკონომიკური და სოციალური აღორძინების რესურსი და უზრუნველყო ქვეყნის უსაფრთხოება, შეცვლილ პირობებში თურქეთი რეალურად ახალ რეალობას შეეჩხება.

1990 წელს სადამ ჰუსეინის მიერ ქუვეითის ოკუპაციით დაწყებულმა სპარსეთის ყურის კრიზისმა იმოქმედა როგორც თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე [163].

იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთთან დაკავშირებით. იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შემდეგ ეთნიკურ და რელიგიურ კავშირზე დაფუძნებულ გარდაქმნის პროცესში საერთაშორისო სასამართლომ ცნო 1992-1995 წლებში მუსლიმ ბოსნიელთა მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდა და სერბეთის მთავრობა იძულებული გახდა ეს ეღიარებინა [164]. თავდაპირველად, 1995 წელს, აშშ-ის თაოსნობით შეიქმნა თანამშრომლობის პლატფორმა, რომელშიც თურქეთი დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთო და ბოსნია-ჰერცეგოვინის პრობლემის მოგვარებას დეიტონის შეთანხმებით ეცადნენ. ხსენებული შეთანხმების თანახმად, უნდა დასრულებულიყო ომი და ბოსნია-ჰერცეგოვინაში უნდა შექმნილიყო ბოსნიელთა, ხორვატთა და სერბთა საერთო სახელმწიფო. 1999 წელს კი ნატოს სამხედრო/შემკავებელი ძალის გამოყენებით მოხდა კოსოვოს კრიზისში

ჩარევა, რომელშიც თურქეთის მონაწილეობდა როგორც ნატოს წვრი ქვეყანა [165].

უდავოა, რომ თურქეთის მიერ რეგიონულ ძალად წარმოჩენილი ცენტრალური პოზიცია განსაზღვრავდა იმ როლს, რომელიც თურქეთს უნდა შეესრულებინა დასავლურ ძალებთან და რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამ თვალსაზრისს აქტიურად იმეორებენ თურქი თანამედროვე ლიდერები და ზემოხსენებული მოსაზრების გამო უდიდეს პატივს სცემენ პოლიტიკოსს ზ. ბჟეზინსკის. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ თურქეთის მოქმედებს შუა აზიასა და კავკასიის რეგიონში, რომელსაც ჭადრაკის დაფას ადარებდნენ და „ევრაზიის ბალკანეთს“ უწოდებენ, აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით როგორც გაადვილების, გართულების ან შეწინააღმდეგების თვალსაზრისით ამან მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. ამ პერიოდში თურქეთის შესაძლო ზეგავლენას აშშ-ის მიერ წარმოებული გლობალური ლიდერობის პოლიტიკაზე ბრჟეზინსკის გარდა თავიანთ ნაშრომებში ყურადღება მიაქციეს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა - რობერტს გეიტსმა და ამერიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ სკოუკროფტმა [166].

ამავე დროს ეს პერიოდი უნდა განვიხილოთ თურქეთის ევროგაერთიანებასთან / ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ევროგაერთიანებამ თურქეთს უარი უთხრა. თურქეთის გაწევრიანებას ოთხი ფაქტორი უშლიდა ხელს:

1. დემოკრატიის განხორციელებაში არსებული პრობლემები (ე.წ. „არასაკმარისი დემოკრატია“);
2. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები;
3. ეკონომიკური სტრუქტურის უუნარობა;
4. პრობლემები, რომელსაც ქმნიდნენ ქვეყნის ჩამორჩენილი რეგიონები.

თუ განხილულ პერიოდში ერთმანეთს შევადარებთ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს, სადაც გამოჩნდა გლობალიზაციის უარყოფითი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ზემოქმედება, თურქეთში სოციალური სტრუქტურა, რომელსაც საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მიუხედავად ყველაფრისა, კრიზისების მიმართ გამძლე, მოქნილი და მდგრადი აღმოჩნდა. ეს ფაქტი საგარეო პოლიტიკის შემადგენელისამი უმნიშვნელოვანესი სფეროდან ერთ-ერთთან - ეროვნულ გარემოსთან დაკავშირებით შესაძლებელია შეფასდეს როგორც „მტკიცე მონაცემი“ [167].

§2. 2000-2010 წლების თურქეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანები და პოლიტიკური ანალიზი

ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესს პროცესს, რომელმაც თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე დიდი ზეგავლენა იქონია, ჩანქაიას სასახლეში (პრეზიდენტის სასახლე თურქეთში) მომხდარი ცვლილება წარმოადგენდა. პრეზიდენტ - სულეიმან დემირელის მიერ საპრეზიდენტო ვადის გასახანგრძლივებლად რეკომენდებულმა ფორმულამ პარლამენტში ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მიიღო და უფლებამოსილების ვადის დასრულების შემდეგ, 2000 წლის მაისში, ს. დემირელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ჩანქაიას სასახლე. კოალიციამ საპრეზიდენტო კანდიდატად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე - აჰმედ ნეჯდეთ სეზერი წამოაყენა, არჩევნების მესამე ტურში პრეზიდენტად არჩეულმა სეზერმა ჩანქაია დაიკავა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ა.ნ. სეზერი, თ. ოზალისა და ს. დემირელის საპირისპიროდ, ისტორიაში შევიდა როგორც პრეზიდენტი, რომელმაც საგარეო პოლიტიკაში მეტად უმნიშვნელო კვალი დატოვა. ამ თვალსაზრისის პოპულარიზაციასა და გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ ა. სეზერი პროფესიით იურისტი იყო და მისი საპრეზიდენტო ვადის უმეტესი ნაწილი სამართლიან-

ობისა და აღორძინების პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის წლებს დაემთხვა. შესაბამისად აშკარაა, რომ თ. ოზალისა და ს. დემირელის პრეზიდენტობის პერიოდთან შედარებით, ქვეყანაში სხვა კონიუქტურა და ამ კონიუქტურით გამოწვეული სხვა მმართველობის სტილი დამკვიდრდა.

საბოლოოდ, ამ პერიოდის ყველაზე მტკვნიელი მოვლენა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იყო. ამ ტერაქტის შემდეგ აშშ-მა მთელს მსოფლიოში ისლამის სახელით წარმოებულ ტერორიზმს ბრძოლა გამოუცხადა, რომელშიც თურქეთი ამერიკის გვერდით საპატიო ადგილს იკავებდა, როგორც მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა. ამის გარდა, თურქეთს წარმოაჩენდნენ როგორც ისლამისა და დემოკრატიის შეთავსების ერთერთ თვალსაჩინო მაგალითს[168].

თუმცა აქ არ უნდა გამოგვრჩეს ამერიკისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მიდგომათა შორის ძირითადი განსხვავება. აშშ, როგორც ჰეგემონური ძალა, ნებისით თუ უნებლიედ, ვერ ჩაეტეოდა თავის ნაჭუჭში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ოპერაციის განხორციელებას მოისურვებდა. ამ შემთხვევაში შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანი იყო მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა რომ ამ ჩარევას ჰქონდა კანონიერი საფუძველი, მას სურდა ჩარევა გაემყარებინა საერთაშორისო სამართლებრივი თავლსაზრისით. ამ დროს „თურქეთი იყო საშუალო სიდიდის ქვეყანა, რომელმაც ძირითადი პოლიტიკა ააგო სტატუს-კვოს დაცვაზე და ამ სტატუს-კვოს შეცვლა მას შეიძლება აიძულონ მხოლოდ თავდაცვის მიზნით და იმ სახით, რომელსაც საერთაშორისო სამართალი კანონიერად ცნობს“[169]. შედეგად თურქეთი მხარს უჭერს აშშ-ის მიერ სხვადასხვა რეგიონში წარმოებულ ოპერაციას.

2002 წლის 3 ნოემბრის არჩევნების შედეგად სამართლიანობისა და აღორძინების პარტია პარლამენტში შევიდა და პარტიამ მარტო შეძლო მთავრობის შექმნა, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დაწყების მაცნე იყო.

აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტია საგარეო პოლიტიკის საკითხებში დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიდა. მაგალითად მცირე ხნით პრემიერ-მინისტრად დანიშნულმა აბდულაჰ გულმა საგარეო სამეთა მინისტრის პოსტზე იაშარ იაქიში დანიშნა, რომელსაც მიუხედავად იმისა რომ საგარეო საქმეთა სფეროში მუშაობდა მაინც გარკვეული გამოუცდელობა შეეტყო და რეჟებ თაიპ ერდოღანის მეთაურობით შექმნილმა ახალმა მთავრობამ აბდულა გულს ეს პოსტი დაათმობინა.

AKP-მ გაატარა პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რამაც საგარეო სფეროში გარკვეული მიღწევები უზრუნველყო. ახალმა მთავრობამ პირველი გამოცდა 2002 წელს კოპენჰაგენის სამიტამდე დაძლია. რ.თ. ერდოღანმა რომლის მიმართ ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი პოლიტიკური აკრძალვა და მას ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა, ინტენსიური მუშაობა დაიწყო, სამიტამდე ევროპის დედაქალაქები მოიარა და კავშირების დამყარება შეძლო.

საგარეო პოლიტიკის სფეროში ახალი მმართველობის მთავარ მიდგომას წარმოადგენდა „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების“ სტრატეგია, მაგრამ საკმაოდ რთულია ითქვას, რომ ამ სტრატეგიამ მკაფიო და თვალშისაცემი შედეგი მოიტანა, რადგანაც არცერთ ქვეყანასთან არსებული პრობლემა არ გადაჭრილა, მხოლოდ ამ პრობლემების დაფარვა მოხერხდა. მაგალითად, საბერძნეთთან კვლავ გრძელდება ეგეოსთან დაკავშირებული უთანხმოება[170], ამავე სახით ერაყთან ურთიერთობასაც არ შეიძლება ეწოდოს ბრწყინვალე, სომხეთთან ურთიერთობამ ისევ ვერ მიაღწია სასურველ დონეს. რათქმაუნდა აქ საკითხავი ფაქტორი იყო ისიც ჰქონდა თუ არა მეზობელ ქვეყნებს პრობლემების გადაჭრის სურვილი - ამ საკითხის ირგვლივ განსაკუთრებით საინტერესოა სომხეთის შეურიგებლობა. AKP-ის მთავრობისათვის ერთ-ერთი საკითხი, სადაც თურქეთის საგარეო პოლიტიკამ წინ

წაიწია ევროკავშირთან ურთიერთობა იყო. ამ საკითხზე 2003 წლის იანვრიდან გრძელდებოდა ჰარმონიზაციის პაკეტის მიღება და ეს პროცესი 2004 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა. ამ წლებს შესაძლებელია ეწოდოს ევროკავშირთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით „დიდი ნახტომების პერიოდი“. შედეგად, ერთ-ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს - 2004 წლის 6 ოქტომბერს, ევროკავშირის კომისიამ საზოგადოებისთვის გამოცხადებულ რეკომენდაციაში განაცხადა, რომ თურქეთმა კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმები საკმარისად შეასრულა და რეკომენდაცია გაუწია ევროკავშირს თურქეთთან გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დასაწყებად.

დღეს ევროკავშირთან მოლაპარაკებები საკმაოდ დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს[171]. მიუხედავად იმისა, რომ დასრულდა შერჩევის ვადა 2-3 საკითხზე, რომელზეც გერმანიის თვამჯდომარეობის დროს უნდა განახლებულიყო მოლაპარაკება, ჯერაც არ განახლებულა. გარდა კვიპროსის საკითხით დაწყებული ამ პროცესიას, გერმანიასა და საფრანგეთში ხელისუფლებაში მოვიდა ძალები, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, ესეც თურქეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს.

ამ პერიოდში საგარეო პოლიტიკაში შეერთებულ შტატებთანაც გარკვეული პრობლემები შეიქმნა. ეს პრობლემები სათავეს იღებს 1 მარტის ნებართვიდან, აშშ-ის მოთხოვნით, ამერიკელ სამხედროებს ერაყის ომში მონაწილეობის მისაღებად თურქეთის ტერიტორიის გავლა ესაჭიროებოდათ. სხვაგვარად რომ ითქვას თურქეთი უნდა ჩართულიყო ერაყთან ომში და ამერიკელი ჯარისკაცებისთვის მის ტერიტორიაზე გასვლის ნებართვა უნდა მიეცა. მაგრამ, ნაწილობრივ AKP-ს უგერგილობის გამო, ეს საკითხი მომენტალურად გადაიქცა კრიზისად. თავდაპირველად თურქეთმა ამერიკას

მწვანე შუქი აუნთო, მაგრამ მმართველმა პარტიამ კენჭისყრის დროს პარლამენტარებს თავისუფლება მისცა და შედეგად თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ნებართვა არ დაამტკიცა[172]. კენჭისყრაში მონაწილე 533 დეპუტატიდან ნებართვის ხმა მისცა 264 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 250, პასუხისგან თავი კი შეიკავა 19-მა დეპუტატმა. თუმცა ზოგიერთი წყაროს თანახმად, რატიფიცირება არ მოხერხდა რესპუბლიკის პრეზიდენტის, გენერალური შტაბისა და პარლამენტის თავმჯდომარის ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო[173]. საბოლოოდ აშშ-ის თვალსაზრისით, ნებართვის გაუცემლობა მათი ტაქტიკის დასასრულს არ ნიშნავდა. აშშ-მა ოპერაცია, ერაყის ჩრდილოეთიდან უნდა დაეწყო, სამხრეთიდან განახორციელა და ნებართვის გაუცემლობით გამოწვეული პრობლემა ასე გადაჭრა.

თურქეთის მიერ გამოჩენილ ასეთ მერყეობას მხარი დაუჭირეს ევროკავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც ომის დაწყებას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მთავრობა ძალზედ შეშინებული ჩანდა აღნიშნულ საკითხზე აშშ-ის რეაქციის გამო და არაერთხელ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ერაყში აშშ-ის გვერდით თურქი სამხედროების გასაგზავნად. საბოლოოდ ნებართვა, რომელიც ამ საკითხზე მთავრობას უფლებამოსილებას მიანიჭებდა პარლამენტში 2003 წლის 7 ოქტომბერს დამტკიცდა. ამ ნებართვის თანახმად, მთავრობა უფლებამოსილი იყო 1 წლის განმავლობაში ერაყში სამხედრო ძალა გაეგზავნა[174].

მიუხედავად იმისა თუ როგორ შევაფასებთ 1 მარტის ნებართვაზე უარს თურქეთ-ამერიკას შორის ურთიერთობებისთვის დიდი დარტყმა იყო, რის შესახებაც დროდადრო განცხადებას აკეთებდა არაერთი ამერიკელი თანამდებობის პირი, მათ შორის აშშ-ის იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი რამსფელდი. ამას ნაწილობრივ ადასტურებს ჩრდილოეთ ერაყში თურქი სამხედროებისთვის „თავზე ტომრების

ჩამოცმის“ („Guval gecirme olayi“) ფაქტიც. გარდა ამისა, ბოლო ხანებში ბარზანისა და თალაბანის თავმუშევრები გაცხადებებიც მოწმობს, რომ ისინი აშშ-მა შეაგულა. ასევე ბოლო ხანებში აშშ-ის თვალის დახუჭვის პოლიტიკის შედეგად ჩრდილოეთ ერაყის ქურთული დაჯგუფებების ფარული მხარდაჭერითა და სავარაუდოდ, ლოჯისტიკური დახმარებით ბოლო ხანებში მეტად ინტენსიური გახდა ქურთ მუშათა პარტიის ტერორი. ყველა ოპერაცია, რომელიც თურქეთს სურს ქურთ მუშათა პარტიის წინააღმდეგ განახორციელოს, აშშ-ს კედელს ეჯახება და თითქოს თურქეთს რეგიონში ხელები აქვს შეკრული. ამ პერიოდშივე თურქულ-რუსულ ურთიერთობებშიც გარკვეული პროცესები განვითარდა. ამ პროცესების დასაწყისად 2002 წლის 23-24 დეკემბერს პრემიერ-მინისტრი რ.თ. ერდოღანის მოსკოვში ვიზიტია. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დღის წესრიგში დადგა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხები.

აღსანიშნავია თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული ისტორიული კონკურენცია. შესაძლებელია ამ კონკურენციის საფუძველია ის, რომ თურქებსა და რუსებს ერთი და იმავე რეგიონის მიმართ მსგავსი პოლიტიკური მოლოდინი აქვთ და ამ მოლოდინის შესაბამის პოლიტიკას ატარებენ“ [175]. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, რუსეთი თურქეთს საფრთხედ აღიქვამს სამ საკითხში:

1. თურქეთს, რეგიონში მისი როლითა და მოპოვებული გავლენის არეალით, შეუძლია ზიანი მიაყენოს რუსეთის ინტერესებს კავკასიასა და შუა აზიაში;

2. თურქეთს შეუძლია გააერთიანოს რუსეთის ირგვლივ და რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თურქები და შექმნას თურქული გაერთიანება. ამან შესაძლოა რუსეთს დააკარგვინოს ტერიტორიები და იგი იძულებული გახდეს, დაიხიოს ჩრდილოეთისკენ;

3. თურქეთის მეშვეობით შესაძლებელია რეგიონში შემოვიდეს ნატოს სამხედრო ალიანსის ჯარები (ამერიკული სამხედრო ძალა), რითიც რუსეთი რეგიონში დაკარგავს სამხედრო ზეგავლენას.

თურქეთს რუსეთისთვის სტრატეგიული პოზიცია უკავია რუსული ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიოში გატანის თვალსაზრისით. 2007 წლის მაისში რუსეთის ამ შეტევამ შედეგი გამოიღო და ენერჯის ტრანსპორტირების საკითხში ისევ რუსეთი დაწინაურდა. თურქეთმა კი დღემდე ვერ მოახერხა პასუხი გაეცა რუსეთის ამ შეტევისათვის. თვალშისაცემია, რომ უახლოეს პერიოდში თურქეთი რუსეთთან კონკრეტული პოლიტიკის გატარების ნაცვლად ავითარებს თანამშრომლობის სტრატეგიას, ახალ ინიციატივებს სთავაზობს რუსეთს რეგიონის ქვეყნების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მხარს უჭერს თურქულ კომპანიებს, რომლებიც რუსეთსა და რეგიონში ინვესტიციებს ახორციელებენ.

საბოლოოდ თუ შევაფასებთ 2002-2010 წლებში თურქეთის მთავრობის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას, მისი ძირითადი ხაზი წარმოგვიდგება როგორც დასავლური, სტატუს ქვოს მომხრე და სამართლებრივი [176]. ამ პრინციპების შესაბამისად, თურქეთმა დიდი ძალისხმევა დახარჯა, კვიპროსის ან განსხვავებული საგარეო პოლიტიკის საკითხში მოემეხნა პრობლემის გადაჭრა ევროკავშირი-აშშ-გაეროს სიბრტყეში. ამავე სახით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტატუსქვოს შენარჩუნებისა და ბალანსის დაცვის მოტივით, მან აშშ-ის მიუხედავად გარკვეული ურთიერთობა დაამყარა სირიასა და ერაყთან [177].

დასკვნა

უკანასკნელ პერიოდში თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი ყველა პოლიტიკური კვლევითი ცენტრებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. რათქმაუნდა მეზობელ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების შესახებ მუდმივი ინფორმირება უპირველეს ყოვლისა საჭიროა საქართველოსთვის, რათა ხელისუფლების უმაღლეს პირებს ჰქონდეთ ადეკვატური წარმოდგენა მეზობელ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ირგვლივ, რაც მათ საშუალებას მისცემს სწორი და ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო სტარტეგია შეიმუშაოს ესოდენ მნიშვნელოვან მეზობელთან ურთიერთობის პროცესში.

უკანასკნელი წლების მანძილზე თურქეთის ხელისუფლებაში მმართველი პოლიტიკური ძალის - „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და მისი ქარიზმატული პრეზიდენტის - რ. თ. ერდოღანის მართველობისას თურქეთი სრულიად ახალ, ისლამისტური ელფერის მქონე საგარეო პოლიტიკურ კურსს გვთავაზობს, რომლის აბსოლუტურად ყველა ვერტიკალი საშინაო პოლიტიკაში არსებული პრობლემების ფონზე ყალიბდება.

შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ რ.თ. ერდოღანის პოლიტიკური ძალა მყარად დგას ხელისუფლების სათავეში და მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვან სტრუქტურას, ეს იქნება სამთავრობო დონის აღმსარულებელი რგოლები, თუ სამხედრო მიმართულება და სპეც. სამსახურებიც, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში

დში მიღებული შიდა ნორმატიული აქტებით პრეზიდენტმა დაიქვემდებარა.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტების სხვადასხვა მიმართულებებით შესწავლის პროცესში დასკვნის სახით შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი მიზეზები, რამაც რ.თ. ერდოღანის პოლიტიკურ ძალას არჩევნებში გამარჯვებაში დაეხმარა და რითიც დღემდე აქტიურად იყენებს ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს მმართველი პარტია თურქეთში საარჩევნო აგიტაციებსა თუ პოლიტიკურ დებატებში:

- თურქული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა იყო უკმაყოფილო წინა ხელისუფლებაში მყოფი საჯარო მოხელეების კორუფციული მმართველობით;
- ქვეყანაში შექმნილი იყო ინფლაციის მანამდე არ ნახული ნიშნული;
- ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცესში შეინიშნებოდა აშკარა სტაგნაცია, რაც პროდასავლურ ძალთა უკმაყოფილებას იწვევდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში და სტუდენტებში;
- ქვეყანაში თითქმის არ ხორციელდება საერთაშორისო ინვესტიციები, არ შემოდის უცხოური კომპანიები და ქვეყანაში არსებული ბიზნესები გადანაწილებული ჰქონდათ ხელისუფალთა ახლობელ-ნათესავებს;
- სათამაშო ბიზნესზე, ფუფუნების საგნებზე, თამბაქოსა და ალკოჰოლის აქციზებზე დაწესებული იყო წარმოუდგენლად დაბალი გადასახადები, რომელიც მონოპოლიზირებული ჰქონდათ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენებს. ამ ფონზე, ერდოღანის ახალგაზრდულმა პოლიტიკურმა ძალამ მმართველობის საწყის ეტაპზე შედარებით მეტი პატიოსნებითა და ხალხთან სიახლოვით მოიგო ამომრჩევლის გული, გაზარდა გადასახადები როგორც აზარტული ტამაშების ბიზნესზე, ასევე თამბაქოსა და ალკოჰოლის აქციზებზე, რამაც მყისიერად გამოიყო პოზიტიური შედეგები;

- აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რ.თ. ერდოღანმა მმართველობის პირველივე წლებიდან თურქეთის ისტორიაში შეძლო აქამდე არნახული რამ - სრულიად დაამხო და პოლიტიკურ ძალაუფლება შეუზღუდა თურქეთში რიულად გამაფებულ ე.წ. „ალტერნატიულ ხელისუფალთ“, რომელშიც იგულისხმება თურქეთის სამხედრო ელიტა. ისინი ერთპიროვნულად, დამოუკიდებლად განკარგავდნენ ქვეყნის თავდაცვის სტრუქტურას, რის საწინააღმდეგოდაც ერდოღანმა მარჯვედ გამოიყენა ე.წ. - „ერგენექონის“ საქმე, რომლის საფუძველზეც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ სამხედრო ელიტის წარმომადგენლები. სამხედრო სფეროში რეპრესიების პარალელურად პრეზიდენტმა სპეც.სამსახურებში დააწინაურა მისი მომხრე პოლიტიკოსები და კადრები, რამაც სრულიად მასზე დაქვემდებარებული გახადა სამხედრო ელიტა;

- რ. თ. ერდოღანის მმართველობისას განსაკუთრებული გავლენით სარგებლობს „თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველო“ (ე.წ. „დიანეთი“), რომლის ყოველწლიური ბიუჯეტი გათანაბრებულია ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო უწყებების ბიუჯეტთან როგორებიცაა თურქეთის ენერგეტიკისა და თავდაცვის სამინისტრო. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მმართველი პოლიტიკური ზალა აქტიურად აფინანსებს ქვეყანაში მედრესე-პანსიონების მშენებლობას. 2002 წლიდან დღემდე თურქეთში 8000-მდე ახალი მუსულმანური სალოცავი გაიხსნა. გარდა ზემოხსენებულისა რ.თ. ერდოღანი რელიგიურ სწავლულთა გულის მოგებას ცდილობს იმ ფაქტით, რომ ის გულუხვად აფინანსებს საზღვარგარეთ პროთურქულ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებშიც მოსწავლე მუსლიმებზე ხშირად ხუმრობს, რომ „მედრესეებში ჩარიცხული მუსლიმები ის მერცხლები არიან, რომლებიც თურქეთში სამომავლოდ ახლებულ გაზაფხულს“ მოიყვანენ, რაც რათქმაუნდა ყურადღება მისაქცევია და ეს ფაქტი აუცილებლად არის გასათვალისწინებელი საქართველოს სპეც.სამსახურების მუშაო-

ბაში, რათა კომპლექსური ღონისძიებები დაიგეგმოს ზემოხსენებული საკითხის კონტროლისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისი ჩვენთვის სასარგებლო შედეგების მიღების თვალსაზრისით;

- რელიგიური სექტების ღია მხარდაჭერის პარალელურად თურქეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სასწავლებლებში იმპერატიულ დისციპლინად შეიტანეს - თეოლოგია. ასევე მოიხსნა საგანმანათლებლო წარმომადგენლობებში თავსაბურავით გადაადგილების შეზღუდვა, რამაც რელიგიური პირების კმაყოფილება გამოიწვია და შეიძლება ითქვას თანამედროვე თურქეთში ერდოღანის პოლიტიკური ძალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს სწორედ სწორედ რელიგიური სექტების წარმომადგენლები წარმოადგენენ;

- საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარების შემდეგ (როცა პრეზიდენტი პირველი ფიგურა გახდა და ეს პოსტი უპრობლემოდ მოირგო ერდოღანმა) დაიწყო ავტორიტალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რის გამოც პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები ერდოღანს დიქტატორულ მისწრაფებებში სდებენ ბრალს;

- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თურქეთში ხშირად იმართება ისეთი მიტინგები, როდესაც მონაწილეებს გამოაქვთ ქემალ ათათურქის კარიკატურები და მათ თავს უწოდებენ „ათათურქის ჯარისკაცებს“. თურქეთში საკმაოდ ფართო სპექტი უკვე ღიად ემიჯნება ერდოღანის აშკარა გამოკვეთილ ისლამისტურ მმართველობას. უპირველეს ყოვლისა ამ ფენას წარმოადგენენ ხელოვანები, მუსიკოსები და სტუდენტები, რომლებაც ისე როგორც არასდროს თურქეთში აშკარა პროდასავლური ღირებულებები გააჩნიათ. საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სადაზვერვო სამმართველოს კავკასიის მიმართულების ანალიტიკოსების დასკვნით, თურქეთის ხელისუფლებას სამომავლოდ შესაძლოა სწორედ სტუდენტურმა ძალებმა შეუ-

ქმნან პრობლემები, და სწორედ სტუდენტებმა დაიწყოს ის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკურ მმართველობას ვადამდე-
ელ არჩევნებამდე და საარცევნო ყუთებთან მიიყვანს.

ერდოღანის მიმართ პოლიტიკურ დამოკიდებულებას რო გავცდეთ უდავოა, რომ მას საოცარი პოლიტიკური ნიჭი აქვს, თუმცა მისი ქარიზმატული ხასიათიდან გამომდინარე უშვებს უპატიებელ შეცდომებსაც, რომლებიც ადრე თუ გვიან აუცილებლად ბუმერანგივით დაუბრუნდება. ჩემი ანალიზით, ერდოღანის ხელისუფლების მიერ უკანასკნელ წლებში დაშვებულია შემდეგი შეცდომები:

- საპროტესტო აქციების სისტემატიური დარბევა და მომიტინგეების ძალისმიერი მეთოდებით დაშლა (მიტინგების დაშლას ხშირად მოჰყვა მსხვერპლი, დასახიჩრება, ადამიანების დაინვალიდება და ა.შ.);
- გააუცხოება ახალგაზრდა თაობასთან და პროდასავლური ღირებულებების უგულბელობა;
- სამხედრო სამსახურში გაწვევის წესით გართულება და ახალგაზრდა თაობის წინადადების გაუთვალისწინებლობა;
- აშშ-სთან პოლიტიკური გაუცხოების პროცესი;
- ევროკავშირთან მიმართებაში ფაქტიურად საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის არარსებობა;
- ორიენტირება მხოლოს თურქეთის საშინაო პოლიტიკაზე და აშკარად გამოხატული ორიენტირები ხელისუფლების შენარჩუნლების მიმართულებით. ამ უკანსკნელზე აქცენტის გაკეთებით საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთის იმიჯზე მუშაობის აქტივობის შემცირება და საგარეო პოლიტიკაში ნაკლები წარმატებები;
- რუსეთთან „არშემდგარი“ ახალი პარტნიორობა, რის გამოც გაიუარესა ურთიერთობები აშშ-სთან და პროდასავლურ ქვეყნებთან;

- რელიგიური ნიშნით დიკრიმინაციის საქმეებზე ევრო-სასამართლოში გამამტყუნებელ განაჩენთა კასკადი და სხვა მრავალი სხვა;

თურქეთში არსებული საპროტესტო განწყობები მოქმედი ხელისუფლებისათვის უკვალოდ არ ჩაივლის. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პროცესების შეფასებისას მყარი პროგნოზების გაკეთება მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ, მიმაჩნია, რომ შესაძლებელია გარკვეული პროგნოზები მაინც გაკეთდეს.

ნაშრომის განხილული თავების ანალიზის შედეგად შესაძლებელია თურქეთის საგარეო პოლიტიკის სამომავლო კონცეფციაზე გარკვეული პროგნოზების გაკეთება, კერძოდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თურქეთმა დაიწყო ახალი საგარეო პოლიტიკის აგება, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ისრაელთან ურთიერთობების გაწყვეტა და არაბულ სამყაროში გეოპოლიტიკური რეიტინგის ამაღლება და ამის ფონზე აშშ-სთან ურთიერთობების დამაბზვა;
- რუსეთთან უფრო აქტიური პოლიტიკის წარმოება, მარტო ბირთვული ენერგეტიკული პროექტის, „როსატომენერგოს“ ხელშეწყობით, განხორციელებაში მრვალმილიარდიანი დოლარის განხორციელება. საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომში ისეთივე პოზიციების დაკავება როგორც ათათურქის თურქეთმა დაიკავა 1921 წლის საქართველოს გასაბჭოების პერიოდში - თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მობილიზაცია აჭარის სანაპიროებთან, რამაც გამოიწვია საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობის გარკვეული მობილიზაცია აჭარის სანაპიროების დაცვის მიზნით;
- ამერიკული სამხედრო ხომალდებისთვის მნიშვნელოვან პერიოდში შავი ზღვის აკვატორიაში შესვლის უფლების დაბლოკვა, რომელიც საქართველოსკენ მიემართებოდა (ფაქტიურად ოფიციალურმა ანაკარამ ნება მისცა ამ ხომალდს შავ ზღვაში შესვლისთვის, როდესაც რუსეთის სამხედრო-

საზღვაო ფლოტმა დაასრულა ფოთის პორტის სრული „ათვისება“ და ა.შ.);

- დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება ცენტრალური აზიის მიმართულებით, ერთიანი „თურანული გეოპოლიტიკური სივრცის“ შესაქმნელად.

დასასრულს, თურქეთის საგარეო პოლიტიკური ასპექტების კვლევის ბოლო პერიოდში თურქეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. 2018 წელს რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვარ.თ. ერდოღანმა და სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ. თუ როგორ განვითარდება 2018 წლის შემდეგ თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკა ეს ალბათ მომავლის საქმეა და ამ საკითხზე სამომავლოდაც აქტიურად ვაპირებ რომ გავაგრძელო მუშაობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭიღვარია გ., თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე“. 2014, 3-6;
2. გეგეშიძე ა., გეოპოლიტიკა, თბილისი 1998. გვ., 197.;
3. Çeçen A., Türkiye ve Avrasya, Ankara, 2006, გვ., 253;
4. მკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XX საუკუნის 90–იანი წლები, ბათუმი. 2000. გვ., 8.;
5. Hale W., Turkish Politics and the Military, London 2014. გვ., 103-104.;
6. თურქეთის შეიარაღებული ძალების გენ. შტაბი. - www.tsk.mil.tr.;
7. თურქეთის პრემიერ მინისტრის აპარატი - www.basbakanlik.gov.tr.;
8. NATO Update: TURKEY and Greece celebrate 50 years of NATO www.nato.int/docu/.../e0218a.htm;
9. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბ., 2000. გვ., 37.;
10. Шахиндлер М.Ю., Кемализм, Москва, 1998 გვ. 143.;
11. Kramer H., A Changing Turkey; A Challenge to Europe and the United States Washington, 2.;
12. თურქეთის შეიარაღებული ძალების გენ. შტაბი. - www.tsk.mil.tr.;
13. დონაძე ვ., მენტეშაშვილი ალ., ცინცაძე ი. – აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. ნაწილი II, თბილისი, 1970. გვ., 70.;
14. Мииллер А.Ф., Турция. Актуальные проблемы новой и новейшей истории, Москва, 1983. გვ., 137.;
15. Oran B., Türkdışpolitikasi, Cilt 2, Istanbul. 2002. გვ., 341.;

16. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2008. გვ., 183.;
17. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, XX საუკუნის 90-იანი წლები, ბათუმი, 2000. გვ., 21.;
18. Хлюпив В., Война Ислам и Геополитика: Мир XXI века, Москва, 2000. гв., 189.;
19. NATO Update: TURKEY and Greece celebrate 50 years of NATO.;
20. 1982 წლის თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, თურქულიდან თარგმნა გ. სორდიაშ. თბილისი, 2000.;
21. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.გვ., 532.;
22. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.გვ., 533.;
23. Búgúnkú Türkiye 1980-2003 (ისტორია და დოკუმენტების კრებული) Istanbul, 2007. გვ., 1289.;
24. ოზლენ ჩელები, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების მკვლევარი, მეცნიერ-თანამშრომელი, ელექტრონული სტატია www.mfa.gov.tr/dispolitikasi თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი.;
25. Özlen Küñcek, The Policy of United States Towards The Gulf: 1979-1989, A Case Study, Basılmamış Yüksek Lisans Tezi, ODRÜ, Ankara, 1989 (შესწორებული გამოცემა - 2009).;
26. <http://www.jimmycarterlibrary.org/documents/speeches.;>
27. Çağrı Erhan, `ABD'nin Orta Asya Politikası ve 11 Eylül Sonrası Yeni Açılımları`, http://www.tradigma.com/turkce/kasim2003/vziyon_say110.pdf;

28. Faruk Sönmezoğlu, II. Dünya Savaşı'ndan Günümüze Türk Dış Politikası, İstanbul, Der Yayınları, 2006, s. 293.;
29. İlhan Uzgel., `ABD ve NATO'yla İlişkiler~, Baskın Oran (der.) Türk Dış Politikası, Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar, Cilt II: 1980-2001, İletişim, Ankara, 2011.;
30. İlhan Uzgel., `ABD ve NATO'yla..., s., 57.;
31. http://www.stradigma.com.turkce/kasim2003/vizyon_sayi_10.pdf.;
32. <http://www.jimmycarterlibrary.org/documnets/speeches/su80jec.phtml>.;
33. ერსინ ონულდურანი - ანკარის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი, Turkish Foreign Policy in Post Cold War Era, United Staates, 2014; special Edition; ss 32-34.;
34. Steven A. Cook ve Elizabeth Sherwood-Randall, Generatig Momentum for a new Era In U.S.-Turkey Relations. CSR No. 15 June 2006, s., 6-8.;
35. Los Angeles Times, Soner Çağaptay, Pew Global Attitudes Survey rakamlarina atfen, 15.3.2008.;
36. Türkiye 1952 den beri NATO ittifakının üyesidir.;
37. ჰასრეთ ზომაქი, ქოჯაელის უნივერსიტეტის პროფესორი, „Turkish Migration Conference 2015 Selected Proceedings, London, 2015.;
38. <http://www.nato.int/N> NATO resmi sitesi.;
39. http://www.mfa.gov.tr/MFA_tr/DisPolitika/UluslararasıKuruluslarlalliskiler.;
40. www.defence.gov - U.S.A. Department of Defence/Secretary of Defence/speeches.;
41. www.hurriyet.com/tr.;
42. AdemCetinkaya - „What is FETO“, 2017, Ankara, s., 27-28.;

43. MithatAtabay - „Türk Dis Politikasi“, 2014, s., 243-246,;
44. [www. AnadoluAgency.com/tr/feto.](http://www.AnadoluAgency.com/tr/feto;);
45. <http://www.nato.int/N NATO resmi sitesi.>;
46. http://www.mfa.gov.tr/MFA_tr/DisPolitika/UluslararasıKuruluslarlaİlişkiler/NATO/Türk Dışışleri Bakanlığı resmi sitesi.;
47. <http://www.msb.gov.tr/Birimler/GnPPD/GnPPDBeyazKBo2Kis1.htm> Milli Savunma Bakanlığı resmi sitesi.;
48. www.en.wikipedia.org/wiki/partnershipforpeace.;
49. www.mit.gov.tr - თურქეთის ეროვნული სადაზვერვო სააგენტოს ოფიციალური ვებ.გვერდი.;
50. <http://www.tsk.mil.tr/uluslararası/natogenis.htm> TürkSilahlıKuvvetleri'nin NATO hakkındaki web sayfası.;
51. www.cia.gov/news-information/press-releases-statements.;
52. ომერ გოქსელ იშიარი - ულუდაღის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.;
53. Duygu Bazoğlu Sezer, “Türk-Rus İlişkileri: Düşmanlıktan “Fiili Yakınlaşma’ya”, Türkiye'nin Yeni Dünyası: Türk Dış Politikasının Değişen Dinamikleri, Alan Makovsky ve Sabri Sayarı (der.), İstanbul, Alfa, 2002, s., 125-156, s. 131.;
54. Ömer Göksel İşyar, “Türkiye'nin Azerbaycan-Ermenistan Uyuşmazlığına Yönelik Politikaları: 1992-2004”, Geçmişten Günümüze Dönüşen Orta Asya ve Kafkasya, yelda Demirağ ve Cem Karadeli (der.), Ankara, Palme Yayıncılık, 2006, (s. 241-310), s., 252-253.;
55. Bu konuda ayrıntılı bilgi için bkz., Ayhan Kamel, “2. Dünya Savaşı'nın Bitiminden Günümüze Kadar Türk-Rus İlişkileri”, Dış Politika, Dış Politika Enstitüsü,

- http://www.foreignpolicy.org.tr/tr/makale/akamel_01.html.;
56. Fırat Purtaş, “Soğuk Savaş Sonrası Türk-Rus İlişkileri: Dışlanmışlar Ekseni mi? Avrasyacı Yakınlaşma mı?”, Global Strateji, Yıl 2, Sayı 6, Yaz 2006, s., 40-55, s. 43.;
 57. Araz Aslanlı, “Türkiye-Rusya İlişkileri ve Kafkasya: Rekabet Kaçınılmaz mı?”, Tusam, 13.12.2004, <http://www.tusam-net.makaleler.asp?id=111&sayfa=37>.;
 58. Ertan Efeğil, “Türk-Rus İlişkileri: Bölgesel İşbirliği veya Stratejik Kazanç?”, 21. Yüzyılda türk Dış Politikası, (Genişletilmiş 3. Baskı), İdris Bal (der.), Ankara, Lalezar Kitabevi, 2006, s., 373-391, s. 375.;
 59. Mihail Meyer, “18. Yüzyıldan Rusya ve Türkiye İlişkileri”, Dünya Bugüne Türkiye ve Rusya: Politik, Ekonomik ve Kültür İlişkiler, Gülten Kazgan ve NatalyaUlçenko (der.), İstanbul, İstan- bul Bilgi Üniversitesi Yayınları, 2003, s., 3-15, s. 14.;
 60. Nurşin Ateşoğlu Güney, “Rusya Federasyonu’nun Yeni Güvenlik Politikası Çerçevesinde Türkiye’ye Bakışı”, Türkiye’nin Komşuları, Mustafa Türkeş ve İlhan Uzgel (der.), Ankara, İmge Kitabevi, 2002, s., 333-376, s., 346.;
 61. Mustafa Aydın, “Rus Siyasetinde Türkiye, Türk Siyasetinde Rusya Nasıl Görünüyor?”, otu- rundaki konuşması, Türkiye-Rusya Federasyonu Avrasya Stratejik Diyalog Toplantısı, (Anka- ra, 20-22 Ocak 2003), Nazim Cafersoy (der.), Ankara, ASAM Yayınları, 2003, s., 39.;
 62. Umut Arık, “Türk-Rus İlişkileri”, Global Strateji, Yıl 2, Sayı 6, Yaz 2006, s., 89-94, s., 93.;
 63. Erel Tellal, “Rusya’yla İlişkiler”, Türk Dış Politikası: Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar, Cilt II, (2Baskı), Baskın Oran (der.), İstabnul, İletişim Yayınları, 2002, (s., 540-550), s., 544.;
 64. Türel Yılmaz,” Rusya Federasyonu Dış Politikasında Türkiye

- ve İran”, Stratejik Arařtırmalar Dergisi, Yıl 3, Sayı 5, Temmuz 2005. (s.,183-203), s., 198.;
65. Cořkun řahinoęlu, “Türkiye ve RF İliřkilerinin Milli ve Stratejik Açıdan Deęerlendirilmesi”, Belgelerle Türk Tarihi Dergisi: Dün/Bugün/Yarın, Sayı 87, Nisan 2004. (s., 125-128), s., 126, 128.;
66. Robert Olson, Türkiye’nin Suriye, İsrail ve Rusya ile İliřkileri: 1979-2001, Süleyman Elik (çev.), Ankara, Orient Yayınları, 2005. s., 92.;
67. Bkn., Tuncay Özkan, Operasyon, İstanbul, Doęan Kitapçılık A.ř., řubat 2000.;
68. Bkz., Fiona Hill ve Ömer Tařpınar, “Russia and Türkiye in the Caucasus: Moving Together to Preserve the Status Quo?”, Ifri Recherche Programme, Russia/NIS, Ocak 2006. s., 11.;
69. Nazim Cafersoy, “Türkiye-Rusya İliřkileri ve Separatizm Faktörü”, 13 řubat 2006, [http:// www.turksam.org/tr/-yazilar.asp?yazi=787&kat=1.](http://www.turksam.org/tr/-yazilar.asp?yazi=787&kat=1;);
70. Oleg A. Kolobov, Aleksandr A. Kornilov ve Fatih Özbay, Çaędař Türk-Rus İliřkileri: Sorunlar ve İşbirlięi Alanları (1992-2005), Elnur Osmanov et. Al. (çev.), istanbul, Tasam Yayınları, 2006. s.,249.;
71. Nazlı Maç. “Türkiye’de Enerji Sektörü”, Konya Ticaret Odası Etüd-Arařtırma Servisi Arařtır- ma Raporu, Sayı 2006-42/39, 27 Ocak, 2006.;
72. 1990 öncesi doęalgaz anlaşmaları mal deęişmine dayanan kliring sistemine göre bir ödeme sistemi öngörüyorlardı. Fırat Gazel, Mavi Akım: Avrasya’da Çözumsuzlüęün Öyküsü, İstan- bul, Metis Yayınları, 2004. s. 160.;
73. Sinan Oęan, “Mavi Akım Projesi: Bir Enerji ve Stratejisi ve Statejisi ve Stratejisizlięi Örne-ęi”, Stradigma.com, Sayı 7,

- Ağustos 2003. s., 2.;
74. Mihail Zıgary, “Proekt Putin i Druzya”, Vlasty, Sayı 50, 19 Aralık 2005. s., 28.;
 75. Mensur Akğün ve Turan Aydın, Türkiye-Rusya İlişkilerindeki Yapısal Sorunlar ve Çözüm Önerileri, TY/191/1999, İstanbul: Tüsiad Yayınları, No. TÜSİAD-T/99-264, Haziran 1999. s., 53-54.;
 76. Mehmet Bardakçı, “Russian Interests in The Caspiab Region and Turkey”, Dokuz Eylül Üni- versitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Cilt 5, Sayı 2, 2003. (s., 1-28), s., 11.;
 77. Atakan Gül ve Ayfer Yazgan Gül, Avrasya Boru Hatları ve Türkiye, İstanbul, Bağlam Yayın- cılık, 1995. s., 40.;
 78. Gülten Kazgan, “Batlı ile İlişkilerin Gölgesinde Türkiye- Rusya İlişkileri”, Dünden Bugüne Türkiye ve Rusya: Politik, Ekonomik ve Kültür İlişkiler, Gülten Kazgan ve Natalya Ulçebko (der.), İstanbul, İstanbul Bilgi Üniversitesi Yayınları, 2003. (s., 147-181), s., 154-166.;
 79. Orhan Morgil, “The Turkish-Russia Bilateral Economic Relation”, Dış Politika, Cilt 29, Sayı 3-4, 2002. s., (39-44), s., 43.;
 80. Mischa Gabowitsch, “Rusya ile Türkiye Arasında Kültürel Bir Mavi Akımın Osmayışının Nedenleri”, Filiz Nayır (çev.), Eurozine, 21.12.2005, <http://www.eurozine.com>.;
 81. Cihangir Gürkan Şen, “Türk-Rus Ekonomik İlişkileri: Mevcut Durum Sorunlar ve Perspektif- ler”, TürkRus, 2007, <http://www.turkrus.com/content/view/20/112>.;
 82. მანჭხაშვილი მ. „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013. გვ. 160.;

83. İlyas Kamalov, Putin'in Rusya'sı KGB'den Devlet Başkanlığına Vladimir Putin, Kaknüs Yayınları, İstanbul, 2004. s.,158.;
84. Yulia petrovskaya, "Lavrov UKreplyayet Svyazi s Ankaroy", Nezavisimaya Gazeeta, 1 Haziran, 2006.;
85. Faruk Akkan, "Türkiye'den Rusya'ya Sürpriz Teklif: Siz de Nabucco'ya Dahil Olun", Zaman, 21 Şubat 2008.;
86. Timofey Borisov, "Komu Na Rusi Ne Jity", Rossiyskaya Gazeta", 8 Ağustos 2006.;
87. „Putin Sravnil Kosovo s Turetskoy Respublikoy SEvernoğo Kipra", 14 Şubat 2008, [http:// www.novopol.ru/text36-861.html](http://www.novopol.ru/text36-861.html).;
88. Suat Kıkınoğlu, „Türk-Rus ilişkilerinin Anatomisi", Avrasya Dosyası, Türk Dünyası-Çın, Sayı 1, 2006. s.,100.;
89. İlyas Kamlov/Hsan Kanbolat, "NATO ve AB'nin Genişlemesi Çemberinde Rusya Federasyonu: Soğuk Savaş Devam mı Ediyor?", Staratejik Analiz, Sayı 51, Temmuz 2004. s.,49-58.;
90. İlyas Kamlov, "BDT Coğrafyasındaki Devrimler ve ABD-Rusya İlişkileri", Zaman, 28 Mart, 2005.;
91. Vadim Masalyskiy, "Vstupleniye Turtsiyi v Yevrosoyuz i Opaseniya Russiyi", 5 Ekim 2005, <http://www.voanews.com/russian/archive/2005-10-05-voa4.cfm?testmode=0>.;
92. Suat Kınıkoglu, "Türk-Rus İlişkilerinin Anatomisi", s., 100.;
93. Bu konu için bkz. Suat Kınıkoglu, "Türk-Rus İlişkilerinin Anatomisi", s.,115-117.;
94. მანხაშვილი მ., „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.;
95. Hans-Peter Schwarz, Das Gesicht des Jahrhunderts, Munich 2001. s., 646-664.;

96. Turkiye'nin Avrupa Toplulugu'na Katilma Basvurusu ile ilgili At Komisyonu Gorusu, 2009.;
97. Cliv Archer, The European Union, London and New York, 2008, s., 29-31.;
98. კობახია მ., „თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, 2000. ნომერი 41, გვ., 11.;
99. რონი ალექსი, „ევროკავშირის ფაქტების წიგნი“, თბილისი, 2002, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი.;
100. დიკ ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო, თბილისი, გაერთიანება ჯისიაი, 2000. გვ., 49.;
101. ანთელავა გ. „თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია“ (1960-1990 წლები), თბილისი, 2004. გვ., 21.;
102. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.;
103. მენტეშაშვილი ზ., თურქეთ-გერმანიის ურთიერთობანი თანამედროვე ეტაპზე, ახლო და შუა აღმოსავლეთი, შრომათა კრებულის პირველი ნაწილი, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 2002. გვ., 123-124.;
104. სვანიძე მ., „თურქეთის ისტორია“, 1299-2000 წ.წ. თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2005. გვ., 247-249.;
105. მენტეშაშვილი ზ., „საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია XXI საუკუნეში“, საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ტომი 1, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2004.;
106. Arndt Kunnecke – Turkei und EU, 2016. s., 87-93.;

107. გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, თბ., ბ. სულაკაურის გამომცემლობა, 2013 წლის შესწორებული გამოცემა.;
108. გვილია ი., საერთო თურქული გეოპოლიტიკური ფაქტორის შესახებ თანამედროვე ეტაპზე, ისტორია, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1998.;
109. Anet Stromer – EU und Turkei – Passt die Turkei zur EU? Nurnberg, 2017. s., 23.;
110. სურმავა თ., „თურქეთის ევრკავშირთან ურთიერთობა და რეგიონული ლიდერობა“, თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტური კონფერენცია, 2013.;
111. [www.mfa.gov.tr/turkey-africa-relations.en.mfa.;](http://www.mfa.gov.tr/turkey-africa-relations.en.mfa.)
112. [www.humboldt-Foundation/de/web/home.;](http://www.humboldt-Foundation/de/web/home.)
113. Кахидзе Н., Турция-Балканы и кризис в бывшей Югославии (первая половина 90-х годов) М., Изд. Научная книга, 1997.;
114. [www.reuters.com.;](http://www.reuters.com.)
115. [www.diplomatie.gouv.fr/en/country/turkey-france.;](http://www.diplomatie.gouv.fr/en/country/turkey-france.)
116. [www.hu-berlin.de/turkey und Eu.;](http://www.hu-berlin.de/turkey und Eu.)
117. მანჩხაშვილი მ., რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში, სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები, ბათუმი, 2010.;
118. Ercan Özer, "The Black Sea Economic Co-Operation and Regional Security" Preceptions Eylül- Kasım 2007.;
119. Freddy De Pauw, „Turkey’s Policies in Transcaucasia“, Bruno Coppieters (der.), Contested Borders in the Caucasus, Brüksel, VUB, 1996.;
120. Güner Özkan, "Türk-Amerikan İlişkilerinde Kafkasya Faktörü, Avrasya Dosyası, Cilt 11, Sayı 2, 2005.;

121. Davutoglu Ahmet, Stratejik Derinlik, 2007.s., 205-207.;
122. „Gürcistan Ülke Raporu”, Türkiye İşbirliği ve Kalkınma İdaresi Başkanlığı, 20 Nisan 2007, http://www.tika.gov.tr/yukle/dosyalar?ULKERAPORLAR/Gurcistan_UlkeRaporu.pdf.;
123. მელიქიშვილი ა., თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს თურქი ექსპერტი შაბან ქარდამი მიმოიხილავს... 17.07.09. [www.voanews.com/geopgian/...2009-07-17-voa7.cfm?...07.](http://www.voanews.com/geopgian/...2009-07-17-voa7.cfm?...07;);
124. მოლოდინი გ., „რას მოასწავებს რუსეთ-თურქეთის დაახლოება?,” რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტი, 2009. www.presa.ge/print.php?/=7043.;
125. თურქული გამბიტი: თურქეთი ყოველთვის განიხილავდა კავკასიას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროდ – 11.10.09 rakurs.ge/geo/2009/11/10/.;
126. „სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ”, ქ. ანკარა, 3 ნოემბერი, 2008.;
127. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ. ქ. თბილისი, 30.07.92.;
128. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში და სავიზო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის. ქ. ანკარა, 04.04.96.;
129. İbadov H., İbrahimov Ş., Ağasiyev H – Türkiye Gürcistan İlikileri, Çveneburi, İstanbul, ocak-mart 2003.;
130. სომხური საკითხი: უპასუხო კითხვა.;

131. www.shokoladi.ge/node/237?page=3;
132. Akçam T., Dialogue across on international divide: Essays towards a Turkish-Armenian dialogue, Zoriyan Insitute, 2001. s., 231.;
133. Akçam T., İnsan haklar ve Ermeni sorunu: İhtihat ve Terakki'nden Kurtuluş Savaş'ına, Istanbul, 1999. s., 1998.;
134. Taner Akçam – Armeniapedia.org [www.armeniapedia.org/index.php?..Taner Akçam](http://www.armeniapedia.org/index.php?..Taner_Akcam) თურქული პრესა: ინტერვიუ დ. შმიდთან – 31.10.09, თურქული პრესის მოკლე მიმოხილვა. www.trt.net.tr/international/newsDetail.aspx?HaberKodu;
135. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2008. გვ., 371.;
136. Дугин А. - Основы Евразийства, Москва, 2008. ст.,237.;
137. თურქი პოლიტოლოგი: „სომხეთთან საზღვარი მხოლოდ ყარაბახის დეოკუპაციის შემთხვევაში უნდა გავხსნათ,” თბილისი – 01.11.09 „ჯი-ეიჩ- ენი” www.ghn.ge/news-1572.html 11 somxeti.;
138. „თურქეთ-სომხეთის დაახლოება – რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივა,” 16.11.09.; www.kavkasia.ge/index.php?action=more&id=58...geo;
139. ბაბიჯვი ა., „თურქეთ-სომხეთის ურთიერთობა და მისი გავლენა რეგიონის გეოპოლიტიკაზე,” 17.10.09. www.tavispleba.org/content/article/1854388.html 9somxebtan.;
140. არემიძე მ., „თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების აღდგენით კავკასიაში ძალთა გადანაწილება შეიცვლება,” თბილისი 27.04.09. www.ghn.ge/news-317.html;
141. მელიქიშვილი ა., თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს თურქი ექსპერტი შაბან

- ქარდაში მიმოიხილავს... 17.07.09. www.voanews.com/geopgian/...2009-07-17-voa7.cfm?...07;
142. არემიძე მ., „თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების აღდგენით კავკასიაში ძალთა გადანაწილება შეიცვლება,“ თბილისი 27.04.09. [www.ghn.ge/news-317.html;](http://www.ghn.ge/news-317.html)
143. ბაბიცი ა., „თურქეთ-სომხეთის ურთიერთობა და მისი გავლენა რეგიონის გეოპოლიტიკაზე,“ 17.10.09.- www.tavispleba.org/content/article/1854388.html 9somx-ebtan.;
144. თურქი პოლიტოლოგი: „სომხეთთან საზღვარი მხოლოდ ყარაბახის დეოკუპაციის შემთხვევაში უნდა გავხსნათ,“ თბილისი – 01.11.09 “ჯი-ეიჩ-ენი” www.ghn.ge/news-1572.html 11 somxeti.;
145. დოქტორი ერჯუმენ თეზჯანი - გალათასარაის უნივერსიტეტის ეკონომიკის მართვის ფაკულტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის საგაზეთო სტატია.;
146. იბდულჰამით ბილიჯი, გაზეთი - „ZAMAN“ სახელწოდებით: „იდლეგრძელე ფაშა, მაგრამ ნურც როჯერსის გეგმას დაივიწყებ“, 13.12.2006.;
147. Uzgel, ilhan, „abd ve nato”, in turk dis politikasi, itanbul 2007. cilt II, s., 34-42.;
148. Nasuh, Uslu, „Kibris sorunu turk dis politikasi“, Ankara, 2006. s., 331-336.;
149. Ozcan, Mehmet, „1990 sonrasi ABD-Turkiye Iliskileri“, Istanbul, 2001. s.,131-141.;
150. S.Ridvan, Karluk – Avrupa birligi ve Turkiye, Istanbul, 2002. s., 83-101.;
151. Ozcan, Gencer, Turk dis politikasinda olusum sureci, in turk dis politikasinin analizi, Istanbul, 2004. s., 829-864.;
152. Ozal, Turgut – La Turquie en Europe, paris, 2008.;

153. Oran, Baskin, - seksen yıllık dış politikasının teori ve pratiği, s., 3-109.;
154. Oran, Baskin, - 1980-1990 batı bloku ekseninde Türkiye 2, in Türkiye dış politikası, İstanbul 2001. s., 9-33.;
155. Laciner, Sedat, „Özal dönemi Türkiye dış politikası“, (www.Turkishweekly.net), 12.05.2007.;
156. Fırat, Melek, „Yübabistan’la ilişkiler, in Türkiye dış politikası“, İstanbul 2001. 102-123.;
157. Erhan Çağrı ve Arat, Tugrul, ilişkiler in Türkiye dış politikası“, İstanbul 2001. s., 83-101.;
158. Demirtaş-Coskun, Birgül, „Değişen dünya dengelerinde Türkiye-Yunan ilişkileri“, Ankara, 2006. s., 273-292.;
159. CIA - Greek Intelligence and the Capture of PKK Leader Abdullah Öcalan in 1999; 2006. EDITION.;
160. www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications.;
161. İbrahim, Canbolat – Avrupa Birliği ve Türkiye, İstanbul, 2006. s., 124-127.;
162. www.state.gov/www.regions/eur/bosnia.html.;
163. Kramer, Heinz, die Turkey zwischen Europa, Asien und dem nahen Osten-eine aufstrebende Regionalmacht, 1992-2002, Kapt. II, s., 129.;
164. ზბიგნეჲ ბჟეჲინსკი - „დიდი საქადრაკო დაფა“, გამოცემლობა „არტანუჯი“, 2014. გვ., 187-227.;
165. Timothy, Ash. International Guardian, 10.05.2007.;
166. Baker, James, US perspective on the global economy, 2002. s.,2.;
167. Hüseyin Bağcı, - 11 Eylül sonrası dönemde Türkiye dış güvenlik politikalarındaki gelişmeler ve yeni parametreler, Ankara, 3. Baskı, 2006. s., 939-944.;

168. Baskin Oran, Seksen Yillik Turk Dis Politikasinin Teori ve Pratigi, www.karakutu.com/moduls (14.05.2007).;
169. Erol Kurubas, Turk-Yunan Iliskileri ve sorunlarin Cozumu uzerune, Ankara, 2006. s., 313-330.;
170. Nasuh Uslu, Kibris sorunu in Idris Bal, Ankara, 2006. s., 331-372.;
171. Idris Bal, Turkiye ABD iliskileri ve Bu Konuda daha fazla ayrinti icin bkz, s., 168-170.;
172. Idris Bal, Turkiye ABD iliskileri ve Bu Konuda daha fazla ayrinti icin bkz, s., 171-175.;
173. Baskin Oran, Turk Dis Politikasinin; Ankara, 2007.;
174. Ertan Efezil, Turk-Rus iliskileri bolgesel isbirligi veya strateji k kazanc, Ankara 2006. s., 371-391.;
175. Ari Tayyar, Gecmisten gunumuze Turkiye'nin Orta Dogu Politikasinin Analizi ve iliskileribelirleyen dinamikler, Ankara 2009.s., 30-31.;
176. Laciner Omer, Irak Krizinde son asama AKP'nin dis Politikasi, Ankara, s.,166.;